ლიბერალი

№ 77 / 23 - 29 მაისი / 2011

აშშ-ს მხარდაჭერა: სააკაშვილს თუ საქართველოს? გვ. 06

წინასწარი პატიმრობა – უალტერნატივო განაჩენი გვ. 34

მოჩვენებითი ლიბერალიზაცია გვ. 38

ისედაც ყველამ ვიცით, რომ კრემლი ცუდია გვ. 46

DSK - ცდუნება ფრანგულად თუ შეთქმულების თეორია? გვ. 08

სასურველი რევოლუციის მოლოდინში გვ. 56

მარტოობის საუკუნე გვ. 40

კანი: ფალოცენტრიზმის დასასრული გვ. 48

დალოცეთ პროლეტარი მგლები და წითელქუდა ფემინისტები! გვ. 50

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ვისია ოლიგარქი?

გვ. 14

მთავარი თემა

მათი ქალაქი

ყველაზე დიდი ფარმაცევტული სუპერმარკეტი!

სითი ფარმა **CITY PHARMA**

მის.: კოსტავას ქ.75 (მორეინალის ტერიტორია)

Facebook: city pharma – სითი ფარმა

ლიბერალი

№ 77 / 23 – 29 მაისი / 2011

იმელის ამჟამინდელი სახე, მაისი 2011

ფოტო: მარიამ ქურციკიძისა

ნომერში:

02 „ლიბერალის“ ვებგვერდიდან
04 მოკლედ
06 **ორი აზრი**
ახანგრძლივებს თუ არა ამერიკის მხარდაჭერა საქართველოსადმი მიხეილ სააკაშვილის გუნდის მმართველობას?
ეროსი კიწმარიშვილი VS ირაკლი ალასანია
მსოფლიო
08 DSK - ცდუნება ფრანგულად თუ შეთქმულების თეორია?
10 **ვიკილიქსი არქტიკაზე**
ახალი „ცივი ომი“ ცივი რეგიონის დასაუფლებლად
მეზობლები
12 „ევროვიზია“ ბაქოში
პოლიტიკა
14 ვისია ოლიგარქი?
ინტერვიუ
20 „ანტიამერიკული რიტორიკა არ ნიშნავს პრორუსულობას“
მთავარი თემა
22 მათი ქალაქი
ჟურნალისტური გამოძიება
34 წინასწარი პატიმრობა – უალტერნატივო განაჩენი
ადამიანის უფლებები
38 მოჩვენებითი ლიბერალიზაცია
საზოგადოება
40 მარტოობის საუკუნე
თვალსაზრისი
44 ტექსტი სხვა ცხოვრებიდან
სიმონ ჯანაშია
46 ისედაც ყველამ ვიცით, რომ კრემლი ცუდია
მარკ მალენი
კულტურა
48 ფალოცენტრიზმის დასასრული
50 დალოცეთ პროლეტარი მგლები და წითელქუდა ფემინისტები!
52 **ტექნოლოგიები**
სპორტი
54 როგორი ამინდი იქნება ხვალ?
გიო ახვლედიანი
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
56 სასურველი რევოლუციის მოლოდინში

გარეკანზე:
ვისია ოლიგარქი?
ფოტო: ინტერპრეს ნიუსი / ნოდარ ცხვირაშვილი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ღია წერილი რობერტ სტურუასა

ისე, რა მაინტერესებს იცით? ორ თუ სამ სპექტაკლს რომ გააკეთებ მხოლოდ კარგს, მაინც იმდენად დიდ რეჟისორად ითვლები, რომ სისულელეების ლაპარაკი უარეს სულელ ადამიანთან, საპატიებელია?

უნა

წერილი კარგია. მაგრამ მე იმან გამაოცა, რომ რობერტ სტურუასგან ასეთი რამ გაგიკვირდათ. როგორც ჩანს, მას არ იცნობს ავტორი და არც მისი გამოსვლებისთვის უდევნებია თვალი, მაგალითად „საკანში“ გია გაჩეჩილაძესთან. სტურუას კრიტიკა მაშინ დაიწყო, როდესაც სოციუმების დისკრედიტაცია სცენაზე დაიწყო. მაშინაც, როდესაც სააკაშვილს დასცინა, დასცინა არა მის პოლიტიკურ სტრატეგიას, არამედ ჩვევებს, ფიზიკურ ნიშნებს და ა.შ. სტურუას უარესი განცხადებები აქვს გაკეთებული ბოლო 5 წლის განმავლობაში. რატომღაც ეს კრიტიკა ოპოზიციამ მონათლა როგორც რეჟისორთან ბრძოლა, რადგან ის არ უთანაგრძნობდა ნაციონალურ მოძრაობასა და სახელისუფლებო ძალებს. სტურუას უხეში გამოსვლები სწორედ ამ ვითომ ოპოზიციურ-პატრიოტული პათოსით იქნა გადაფარული. რასაც თავადაც შეუწყო ხელი, როდესაც საჯარო გამოსვლებში მის შევიწროებაზე საუბრობდა, რისი ფაქტებიც არ არსებობს.

სოფო

რამდენიმე სიტყვა ახალგაზრდულ ლაბორატორიაზე და მის პრობლემებზე

გმირი ის იქნება, ვინც საქმეს გააკეთებს. სირთულეებს ვინც ვერ გადალახავს, ის საქმეს ვერ გააკეთებს. დაიწყონ, გააჩმახონ, და სტუდკავშირელმა თანაკურსელმა მცემაო, ნუ იტირებენ. თუ არადა, ეგ თაობაც ჩაივლის და ახალს მეტი გამოუვიდეს, იქნება.

სტუმარ-მასპინძელი

უნდა მოახერხონ, უნდა შექმნან, უნდა გააკეთონ... გმირების ავტობიოგრაფიებით ხიბლში ჩავარდნილი ადამიანები ვერ მოახერხებენ, ვერ გააკეთებენ, ვერ შექმნიან. გმირი გრძნობს სიტუაციას და მოდის. არ არის გმირი, არ არის ადამიანი, რომელიც საზოგადოებას გრძნობს. ალბათ, ჰქონდათ ქართველ ახალგაზრდებს სიტუაცია, როცა შეიძლებოდა მოსვლა. ახლა კი გოდოს მოლოდინში ვართ.

პაპავა

დედის რძესავით შერგებულ სიყალბესა და გამბედაობაზე

თავისუფლების გარეგანი გამოვლინება ჩემი აზრით, ძალიან ხშირად უკავშირდება ამ ცნების არასწორ გაგებას. ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანს ჰგონია, რომ თუ ის ყველაფრის უფლებას აძლევს საკუთარ თავს და ეს საკუთარი თავისთვის ყველაფრის მიცემის უფლება გამოიხატება ქცევით თუ ენობრივ დონეზე, ამით თავისუფალია. არა და სწორედ მაშინაა ის მონა, კერძოდ კი ცოდვის მონა. შინაგანი თავისუფლება კი სულის ისეთი მდგომარეობაა, რომელიც სიტყვებით ძალიან ძნელად გადმოიცემა. ამას, ალბათ, უნდა გრძნობდე.

ანა

კლანურობა – ჩვენი საზოგადოების მთავარი პრობლემა

ჩემთვის „რაც ცუდები ვართ, ქართველები ვართ“ დამოკიდებულება იმდენადვე მიუღებელია, როგორც „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“. ამასთან ერთად არ ვეთანხმები იმ დისკურსს, რომ ჩვენთან რატომ უნდა ავიტკიოთ თავი ისეთი პრობლემების მოგვარებით, რომლებიც სხვა, გაცილებით უფრო განვითარებულ ქვეყნებშიც კი არსებობს. უბრალოდ, ეს მხოლოდ ქართული სენი არ არის და ამის ობიექტური აღნიშვნა სტატიას ან მსგავსი ტიპის სტატიებს არ დააკნინებს.

Absurdistan

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნანა საჯაია** / ვებგვერდის რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**
ჟურნალისტები: მაია წიკლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონტრიბუცია: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარეული, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექიშვილი, დანიელ ნიჩი, ნიკო ნერგაძე
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ღონღაძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

ლია წერილი ჰობერტ სტუჩუას

ნინო ბექიშვილის ბლოგი

ბატონო რობერტ! მერამდენეჯერ ჩავხედე ინტერვიუს ტექსტს – იქ შავით თეთრზე წერია: „– [მიშა] სომეხია და რა ვქნათ... ეს ხომ არ არის დამალული?“

უცნაურია, რამ გიბიძგათ ეს ფრაზა გეთქვათ! თქვენ ხომ პოლიტიკოსი არა ხართ – ასეთ რამეებს საქართველოში, როგორც წესი, გაკოტრებული ან პირზერძეშეუმშრალი პოლიტიკოსები ამბობენ, რათა საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენების მხარდაჭერა მოიპოვონ. სამწუხაროდ, ამგვარი რამ ჩვენში ჯერ კიდევ ჭრის.

დიდი მემკვიდრეობა დგას თქვენი სახელის უკან. წესით, სწორედ იმას უნდა შეეჩერებინეთ, რასაც უკვე ათწლეულებია, აკეთებთ. მახსნდება ჩემი მეგობარი სომხები – თქვენ ყველანი გიცნობენ. ვინც აქ არ ცხოვრობს, ალბათ, ვერც გაიგებენ ამ ინტერვიუს შესახებ, მაგრამ ხვალ რომ შემხვდეს, როგორ უნდა გავუსწორო თვალი არაჩვეულებრივ ადამიანსა და მწერალს გივი შაჰნაზარს? თქვენი სიტყვების გამო ნამდვილად შემრცხვება. მით უმეტეს, ვიცი, როგორ უხაროდა ქართული თეატრის ყველა წარმატება, როგორ გგულშემატკივრობდათ. ასეთი კი ძალიან ბევრია თბილისელ თუ არათბილისელ სომეხთა შორის.

მეუხერხულება, მაგრამ მაინც უნდა შეგახსენოთ – რუსთაველის თეატრი მეცხრამეტე საუკუნეში სწორედ სომეხი მეცენატის, ივენე პიტოევის შეწირული თანხებით აშენდა. აშენდა თბილისისთვის, ქართული კულტურისთვის, საქართველოსთვის. თეატრის პირველი დირექტორიც პიტოევი იყო.

სერგო ფარაჯანოვი თავის გენიალურ ფილმებს თბილისში სწორედ მაშინ იღებდა, როცა თქვენ სპექტაკლებს დგამდით. წარმოიდგინეთ, უცხოეთში ხართ და ვინმე ფარაჯანოვზე გეკითხებათ. ნუთუ შეიშმუშნებით და იტყვით, ლაპარაკიც არ ღირს, ეგ ხომ სომეხიაო?!

მიშა ქართველია – ეთნიკურადაც და მოქალაქეობრივადაც და მისი კრიტიკაც იოლია: პრეზიდენტმა ვერ შეძლო წარმატებული ქვეყნისთვის ჩაეყარა საფუძველი – სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ომის თავიდან აცილება ვერ შეძლო. კიდევ სხვა უამრავი რამეც – თქვენ ამაზე მიანიშნეთ და თქვით, რომ გამჭვირვალე შენობების მიღმა დიდი უსამართლობა იმალება და ხალხმა ყველაფერი იცის. ამერიკაშიც ბევრი იციან საქართველოზე – სახელმწიფო დეპარტამენტის წლევანდელ მოხსენებაში საუბარია პოლიტიკური ნიშნით დევნაზე, ელიტურ კორუფციაზე, ნახევრად თავისუფალ სასამართლოსა და მედიაზე, საკუთრების უფლების დარღვევაზე, აყრილ დევნილებზე და კიდევ ათას რამეზე. ამერიკა სრულიად ადეკვატურად

ფოტო: ლევან ხარბილავა

აფასებს საქართველოს თავისი ნაკლითა და ღირსებით.

სააკაშვილს ჯერჯერობით ერთი უპირატესობა აქვს – მისი პოლიტიკა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში ფრთხილია და შეესაბამება იმ საერთაშორისო ნორმებს, რასაც დასავლეთი და ფორმალურად, რუსეთიც კი აღიარებს. შობას და აღდგომას კათოლიკეებთან და პროტესტანტებთან მიდის და ულოცავს; მუსლიმურ დღესასწაულებზე მეჩეთებსაც მოინახულებს ხოლმე; ის კარგი ფრაზაც თქვა – სომეხისთვის სომეხი ვარ, აზერბაიჯანელისთვის – აზერბაიჯანელიო.

რაც ქართველებმა 90-იანებში სიმწარე, ომი და უბედურება გამოვიარეთ, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად პრეზიდენტ გამსახურდიას და იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილის ვიწრონაციონალისტურმა რიტირიკამაც მოიტანა. დღევანდელი ოფიციალური პროპაგანდა ცდილობს, არ ახსენოს, რატომ თანაუგრძნობდა მაშინდელი ინტელიგენციის ნაწილი გამსახურდიას მოწინააღმდეგეებს – პრესა ზიზღის ენით საუბრობდა, ადამიანებს სამსახურიდან ეთნიკური წარმომავლობის გამო უშვებდნენ, ათობით ოსური სოფელი აიყარა. დარწმუნებული ვარ, მაშინ ეს ყველაფერი არ მოგწონდათ. ახლა რა მოხდა?

მახსოვს, წლების წინ ზურაბ ჟვანიას ოპონენტებს მის წინააღმდეგ ერთი მთავარი არგუმენტი ჰქონდათ – სომეხი და ჰომოსექსუალიაო. მე კი გულუბრყვილოდ მეგონა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში თუ არ დამთავრდებოდა, შემცირდებოდა მაინც ეთნიკური და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია.

ადამიანის ეთნიკურობის გამო დამცირებიდან ფაშიზმამდე ერთი ნაბიჯია. ის მშიერი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, რომელთათვისაც სპექტაკლიც ითამაშეთ და დააპურეთ კიდეც, სწორედ ფაშიზმს ებრძოდნენ. თუ ჩვენ ყველანი ძალიან არ გავფრთხილდით, თითოეული სიტყვა თუ არ მოვზომეთ, ფაშიზმი შეიძლება ისევ დაგვატყდეს თავს – თავსმოხვეული და უცხო კი არა, ჩვენი, ეროვნული, ქართული ფაშიზმი.

მგონია, რომ დიდი რეჟისორი რობერტ სტურუა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს სიტყვას და არა მხოლოდ იმ სიტყვას, რომელიც სცენიდან ისმის.

მოდით, დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი – ინტერვიუ ძალიან ცუდი იყო. ცხადია, არ შევჩერდები ინტერვიუერის არც აზრთა მდინარებაზე და არც ლექსიკაზე, რადგან მგონია, ის შემთხვევაა, როცა საუბარიც არ ღირს.

ფოტო: ლევან ხარბედია

„ქართული პარტიის“ მიტინგი ამერიკის საელჩოს წინ, თბილისი, 16 მაისი 2011

"ქართული პარტია" აშშ-ის პოლიტიკას აკრიტიკებს

„ქართული პარტია“ ამერიკის შეერთებულ შტატებს სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. ვაშინგტონისთვის ხმის მისაწვდენად პარტიის ლიდერებმა საელჩოს წინ აქცია გამართეს და პრეზიდენტ ობამას სახელზე მიმართვა დაწერეს: „ძალიან სამწუხაროა, რომ სააკაშვილის რეჟიმის უგუნური და ადამიანის უფლებების შემლახავი ქმედებები ნებსით თუ უნებლიეთ უკავშირდება ამერიკასაც და ორი ქვეყნის ურთიერთობებისთვის საზიანო შეხედულებების გაღვივებას უწყობს ხელს. „ქართული პარტია“ მოგიწოდებთ, შეწყვიტოთ სააკაშვილის მხარდაჭერა და მხარი დაუჭიროთ საქართველოს,“ – ნათქვამი იყო მიმართვაში. „ქართული პარტია“ მიმართვაში აშშ-ის პრეზიდენტს იმ სოციოლოგიური კვლევების შესახებაც აცნობებს, რომელთაც ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები NDI და IRI საქართველოში ატარებენ. პარტიის ლიდერები მიიჩნევენ, რომ ეს ორგანიზაციები დამახინჯებულად წარმოაჩენენ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ სურათს, რასაც, თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილი სხვადასხვა სპეკულაციებისა და მანიპულაციებისთვის იყენებს. აშშ-ის საელჩოსთან აქციას წინ უძღვოდა გამოსვლები ბათუმში. მიტინგის მონაწილეთა უმრავლესობას „ქართული პარტიის“ მხარდამჭერთა კოლონას ჩამოყოლილი ადამიანები შეადგენდნენ. აქციის უმეტესი ნაწილი ზოგადი ლოზუნგებით შემოიფარგლა. ლევან გაჩეჩილაძე ხალხს რევოლუციას დაჰპირდა და ამის წარუმატებელ მცდელობასაც გამოეხმაურა: „ძალიან ბევრჯერ ვიყავით წაქცეულები, მაგრამ ავდექით. ვინც წაქცეული და შეშინებულია, ყველა ააყენეთ, ჩემი თხოვნაა. სამშობლოა მხოლოდ მარადიული, სოცოცხლე მოკლეა.“

მიუხედავად იმისა, რომ აქციას ბათუმში არცთუ ისე ბევრი ადამიანი შეუერთდა, ეროსი კიწმარიშვილი ჩატარებული აქციით კმაყოფილი იყო: „ჩვენი ამოცანა არ იყო ბათუმში დიდი მიტინგის გამართვა. ჩათვალეთ, რომ „ქართული პარტიის“ პრომო აქციას ვატარებთ, რათა კარგად დაინახოთ ამ ბრენდის შინაგანი თუ გარეგანი მზადყოფნა ამოცანების გადასაჭრელად“.

ირაკლი ოქრუაშვილის ღია წერილი ჯარისკაცებს

„ქართული პარტიის“ ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ღია წერილით მიმართა. წერილში ოქრუაშვილი საკუთარ თავს მოიხსენიებს, როგორც პოლიტიკოსს, რომელსაც „ყველაზე მეტად აქვს გათავისებული სამხედროების და მთლიანად ჯარის სატკივარი.“ ის ჯარისკაცებს „ცოტა ხანში“ ხალხის გვერდით დადგომას სთხოვს. „ორი წლის განმავლობაში ნათლად დავინახე, რომ ვერც ერთი სხვა მოხელე, იქნება ეს პოლიციელი თუ მეციხოვნე, ტოლსაც ვერ გიდებთ წესიერებაში, ღირსებასა და ქვეყნის სიყვარულში. თუმცა შესაბამისი დაფასება ბოლო წლების განმავლობაში ნამდვილად არ გქონიათ. თქვენი ეშინოდა ორივე მთავარსარდალს – შევარდნაძესაც და სააკაშვილსაც. 2008 წლის ომის შემდეგ, სააკაშვილმა იმდენად შეგიძულათ, რომ მხოლოდ სამხედრო აღლუმებზე ჩასატარებლად გიყენებთ. ან ცოტა უფრო მეტი, სხვის ომში – ერაყსა თუ ავღანეთში... რამდენიმე დღეში ქართველი ხალხი ბარიკადებს მიღმა აღმოჩნდება სააკაშვილთან და მის ხელისუფლებასთან. ამ დროს მე ჩემი ხალხის გვერდით ვიდგები, ფიზიკურად და სიცოცხლის რისკის ფასად. თქვენი არჩევანი საქართველოს გადაარჩენს, თუ დადგებით ხალხთან.

ღმერთი იყოს ჩვენი და საქართველოს მფარველი!“ – ნათქვამია ირაკლი ოქრუაშვილის ღია წერილში.

2008 წლის მოვლენებმა ჩუსეთს "სიძლიერე" აბრძნობინა

18 მაისს სოჩოვოში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში ყველაზე ფართომასშტაბიანი პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც მედიის 800-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა. ყველაზე დიდი მოლოდინი მედვედევის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განცხადებას ახლდა თან. თუმცა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ასეთი განცხადების გასაკეთებლად წინაპირობები ჯერჯერობით არ მომწიფებულა. მედვედევმა თავისი მიღწევების ჩამონათვალში „გამობრძმედილი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება დაასახელა" და აღნიშნა, რომ 2008 წელს რუსეთი თავის დამოუკიდებლობას იცავდა. კითხვაზე – იქნება თუ არა საშიში საზოგადოებისათვის ციხიდან ხოდორკოვსკის გამოსვლა – მედვედევმა ასე უპასუხა: „თუკი კითხვა ასეთი მოკლე იყო, პასუხიც მოკლე იქნება: არა, არ იქნება." პრეზიდენტი უკრაინასთან ურთიერთობებსაც შეეხო. მედვედევი მიიჩნევს, რომ დროა, უკრაინამ პოლიტიკური ორიენტაცია განსაზღვროს. „ყველგან ყოფნა შეუძლებელია. ან აქ უნდა იყო, ან იქ," – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ინსიდენტი საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს

საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს 18 მაისს მომხდარი ინციდენტისას ორი ახალგაზრდა დაიჭრა. „საჩხერის რაიონის სოფელ ჭალოვანში მცხოვრები ხუთი ახალგაზრდა მამაკაცი ჯონჯოლის შეგროვების მიზნით საოკუპაციო ხაზის უშუალო სიახლოვეს იმყოფებოდა. საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა მათი დაკავება სცადეს. ახალგაზრდებმა გაქცევა დააპირეს, რაზეც სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა ცეცხლი გახსნეს," – აცხადებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ინციდენტის შესახებ განსხვავებული ვერსია აქვს სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას, რომელიც აცხადებს, რომ საზღვრის დარღვევის გამო საქართველოს ოთხი მოქალაქე დააკავეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ არცერთი პირი დაკავებული არ არის და ინციდენტში მონაწილე ხუთივე ახალგაზრდამ გაქცევა მოახერხა.

საქართველო სინგაპურელებს ჰიდროელექტროსადგურებში ინვესტირებას სთავაზობს

22 მაისს სინგაპურში ვიზიტისას საქართველოს პრემიერ–მინისტრი ნიკა გილაური სინგაპურის სახელმწიფო საინვესტიციო კომპანიებს საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებში და ნავთობის გადამუშავების ბიზნესში ინვესტირების შესაძლებლობის შესწავლას შესთავაზებს. „სინგაპურელებთან კონკრეტული შეთავაზება გვექნება. ჰიდროელექტროსადგურებზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რადგანაც ვიცით, რომ მათ სურთ ენერგეტიკაში ინვესტიციების განხორციელება. სახელმწიფო საინვესტიციო კომპანია Temasek–ს და საინვესტიციო ფონდ GIC–ს პროექტებს ორი მიმართულებით შევთავაზებთ: ჰიდროელექტროსადგურები და ნავთობის გადამუშავება," – განაცხადა საქართველოს პრემიერ–მინისტრმა.

ციფრები

40,000,000

დოლარს ჩადებს USAID 4-წლიან პროგრამაში საქართველოში კერძო სექტორის განვითარებისთვის.

250 000

ადამიანი შემოვიდა 2010 წელს საქართველოში თბილისის, ბათუმის და ქუთაისის აეროპორტებით

სიტყვები

„ცოტა ხანში თქვენ დადგებით ურთულესი არჩევანის წინაშე. ასეთი მომენტი იშვიათად დგება ადამიანის ცხოვრებაში. რამდენიმე დღეში ქართველი ხალხი ბარიკადებს მიღმა აღმოჩნდება სააკაშვილთან და მის ხელისუფლებასთან. ამ დროს მე ჩემი ხალხის გვერდით ვიდგები, სიცოცხლის რისკის ფასად."

„ქართული პარტიის" ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი

„ჩვენ შევძელით საკუთარი თავის დაცვა და დღესაც შეგვიძლია თავი დავიცვათ. დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა და ჩვენი სუვერენული მიდგომები. ვგულისხმობ ყველაზე რთულ მოვლენებს, მათ შორის 2008 წლის ამბებსაც. ეს რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რათა ქვეყანა არ ჩამოშლილიყო და თავი ძლიერად ეგრძნო".

დიმიტრი მედვედევი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი

კი
ეროსი კიწმარიშვილი
„ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი

აშშ-ის მხარდაჭერა ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო უახლეს ისტორიაში. ამერიკული დახმარება პოზიტიურად აისახა ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მრავალ პროცესზე.

„ვარდების რევოლუცია“, რომელიც მთელმა მსოფლიომ აღიარა ხავერდოვან, დემოკრატიულ და დასავლურ ფასეულებებზე ორიენტირებულ რევოლუციად, საქართველოში ლიბერალური ფასეულობების დასამკვიდრებლად ამერიკული დახმარების არაპირდაპირი შედეგი იყო. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მოსული დემოკრატიული კოალიციისაგან სულ რამდენიმე თვეში მივიღეთ უზურპატორი ადამიანი, რომელმაც ხელში ჩაიგდო ხელისუფლების ყველა შტო და ავტორიტარ მმართველად ჩამოყალიბდა.

სააკაშვილმა, დემოკრატიული ლოზუნგების და დასავლეთისთვის მისაღები რიტორიკის საშუალებით, შექმნა საქართველოში მიმდინარე პროცესების ვირტუალური გარსი. ბუშის ადმინისტრაცია 2008 წლის ბოლომდე იმყოფებოდა ილუზიის ქვეშ, თითქოს, საქართველოს ხელისუფლება დასავლური ღირებულებებისკენ ისწრაფვის.

ამ ილუზიების და ბუშის მხარდაჭერის შედეგად, სააკაშვილმა არაერთი ავანტურისტული ნაბიჯი გადადგა: 2007 წელს დაუპირისპირდა სამოქალაქო საპროტესტო აქციების მონაწილეებს, დახურა თავისუფალი, დამოუკიდებელი ტელევიზია, გააყალბა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის აგვისტოში ქვეყანა რუსეთთან ომის უფსკრულში გადაჩეხა...

ობამას გამარჯვების შემდეგ, სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულება მთელ მსოფლიოში მკვეთრად შეიცვალა. 2009 წელს ქართულ-ამერიკული ქარტიის ხელმოწერის შემდეგაც სააკაშვილს არ გადაუდგამს არცერთი ნაბიჯი დემოკრატიზაციისკენ. ამიტომ, ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ სააკაშვილს სერიოზული პრეტენზიები და მოთხოვნები წაუყენა.

თუმცა ამის მიუხედავად, საქართველოს უპირობოდ ეძლევა უზარმაზარი ფინანსური დახმარება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დახმარება, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ობამას ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ამერიკელი გადამხდელებისგან მიიღო, სააკაშვილმა, ფაქტობრივად, თავისი რეჟიმის, თავისი სკამის შესანარჩუნებლად გამოიყენა.

„ქართული პარტია“ გამოხატავს პატივისცემას ამერიკელი ხალხის მიმართ განეული დახმარებისთვის და კიდევ ერთხელ მიმართავს ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას: დროა, გადატვირთოთ ურთიერთობა! დაწყებულია რუსულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვა, მთელი მსოფლიო ელოდება ამერიკულ-არაბული ურთიერთობების გადატვირთვას, ჩვენ კი, ქართველი ხალხის სახელით, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვას ვითხოვთ. მხარი დაუჭირეთ ხალხს და არა – რეჟიმს!

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

„ქართული პარტიის“ მიტინგი ამერიკის საელჩოს წინ, თბილისი, 16 მაისი 2011

ახანგიძლივებს თუ არა ამერი[illegible] მიხეილ სააკაშვილის

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დახმარება, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ობამას ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ამერიკელი გადამხდელებისგან მიიღო, სააკაშვილმა, ფაქტობრივად, თავისი რეჟიმის, თავისი სკამის შესანარჩუნებლად გამოიყენა.

...ის მხარდაჭერა საქართველოსადმი ბუნდის მმართველობას?

ვისაც ჰქონია შეხება საერთაშორისო ურთიერთობებთან, ნამდვილად გულუბრყვილოდ ჩათვლის მოსაზრებას, რომ აშშ თავის სტრატეგიულ ინტერესებს ახორციელებს კონკრეტული პიროვნებებიდან გამომდინარე.

არა

ირაკლი ალასანია
„ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე

ვისაც საერთაშორისო ურთიერთობებთან ჰქონია შეხება, ნამდვილად გულუბრყვილოდ ჩათვლის მოსაზრებას, რომ აშშ თავის სტრატეგიულ ინტერესებს ახორციელებს კონკრეტული პიროვნებებიდან გამომდინარე.

1990-იანი წლების ბოლოს, როდესაც საქართველოში კორუფციამ ეპიდემიის მასშტაბებს მიაღწია და კრიმინალის თარეშს აღარ ჰქონდა საზღვარი, აშშ-ის ადმინისტრაციამ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ ტონი შეცვალა. ჰქონდა თუ არა ამერიკელებისთვის მნიშვნელობა ედუარდ შევარდნაძის პიროვნებასა და მის ავტორიტეტს? რა თქმა უნდა, კი. ჰქონდა თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა? რა თქმა უნდა, არა.

ასევეა მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაშიც. ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოსადმი აშშ-ის მხრიდან გაწეული დახმარება იყო უპრეცედენტო. ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვნად განაპირობა სააკაშვილის მთავრობის მკაფიოდ დეკლარირებულმა რეფორმატორულმა კურსმა. საწყის ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებამ ნამდვილად გადადგა პირველი ენერგიული ნაბიჯები. ბრძოლა კორუფციასთან, კრიმინალთან, მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის, პენსიებისა და ხელფასების მიწოდების პრობლემის მოწესრიგება, შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციაში დაწყებული რეფორმა მოწონებასა და მხარდაჭერას იმსახურებდა.

სამწუხაროდ, სააკაშვილის ხელისუფლებამ მალევე გადაუხვია რეფორმატორული კურსიდან. გაჩნდა ავტორიტარული მმართველობის პირველი სერიოზული ნიშნები, სასამართლო ხელისუფლება სრულად მოექცა გენერალური პროკურატურის ზეგავლენის ქვეშ, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, სააკაშვილმა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, შესაძლებელი გახადა, რომ საქართველო ჩათრეული ყოფილიყო რუსეთთან ომში.

მართალია, პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციამ განაგრძო საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობების გაღრმავებაზე ზრუნვა, მაგრამ აშშ-სთვის შეუმჩნეველი არ რჩება არც ერთი პრობლემა.

ამ კითხვაზე ყველაზე ნათელი და მკაფიო პასუხი აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა გასცა, როდესაც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს ქართველ ხალხს და თანამშრომლობს იმ მთავრობებთან, რომელსაც ირჩევს ხალხი.

აქვს თუ არა ამერიკელებისთვის მნიშვნელობა, თუ ვინ იქნება საქართველოს ხელისუფლების სათავეში? რა თქმა უნდა კი. აქვს თუ არა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა? რა თქმა უნდა, არა.

სექს-სკანდალი

DSK - სდენება ფჩანგუღად თუ შეთქმულების თეორია?

საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მთავარი კონკურენტის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი დირექტორის, დომინიკ სტრაუს კანის სექსუალური ძალადობის მცდელობის ბრალდებით დაკავების ამბავი დეტექტიური ჟანრის წიგნის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. უცხოური მედია შეთქმულების თეორიაზე საუბრობს.

დიანა ჩაჩუა

„მსოფლიოს უდიდეს მსესხებელ ორგანიზაციას ესაჭიროება ერთი მმართველი დირექტორი. შესაფერისი კანდიდატი უნდა იყოს საუცხოო დიპლომატიური უნარების მქონე გამოცდილი პოლიტიკოსი. სექსუალური მისწრაფებებით და ცდუნებებით გამორჩეულ პირებს გთხოვთ, არ გამოგვეხმაუროთ," – საერთაშორისო სავალუტო ფონდში (IMF) მმართველი დირექტორის გამოთავისუფლებულ ვაკანსიას ინტერნეტში მსგავსი კომენტარებით გამოეხმაურნენ.

IMF-ის ყოფილ დირექტორს, სოციალისტ დომინიკ სტრაუს კანს თანამდებობის დატოვება მას შემდეგ მოუწია, რაც 14 მაისს ნიუ-იორკის პოლიციამ ის Midtown Manhattan-ის 3,000 დოლარიან აპარტამენტებში „აბაზანიდან შიშველი გამოსვლის" შემდეგ „მოახლის წინააღმდეგ განხორციელებული სექსუალური ძალადობის მცდელობის" ბრალდებით დააკავა.



სავალუტო ფონდის ყოფილი დირექტორი დომინიკ სტრაუს კანი

ფოტო: REUTERS

„განუსაზღვრელი მწუხარებით, იძულებული ვარ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) აღმასრულებელ საბჭოს წარვუდგინო მმართველი დირექტორის თანამდებობიდან გადადგომის განცხადება. მე, პირველ რიგში, ჩემს მეუღლეზე ვფიქრობ, რომელიც ყველაფერს მირჩევნია, ჩემს შვილებზე, ოჯახზე და მეგობრებზე. ვფიქრობ ასევე ჩემს თანამშრომლებზე, რომლებთანაც ბოლო სამ წელიწადში არაერთი დიდი მიღწევა მაკავშირებს. მინდა გითხრათ სრული პასუხისმგებლობით, რომ უარვყოფ ჩემს მიმართ წამოყენებულ ბრალდებებს. მინდა დავიცვა ეს ინსტიტუტი, რომელსაც ღირსებით და ერთგულად ვემსახურებოდი. მთელ ჩემს ძალას, დროს და ენერგიას მივუძღვნი საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას," – ნათქვამია დომინიკ სტრაუს კანის მი-

მართვაში, რომელიც 19 მაისს, 6 დღიანი პატიმრობის შემდეგ ნიუ იორკის უზენაესმა სასამართლომ 1 მილიონი დოლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ და 24 საათიანი მეთვალყურეობის ქვეშ სახლის პატიმრობის პირობით გაათავისუფლა. ამას გარდა, დომინიკ სტრაუსს საკუთარი ხარჯებით ერთი შეიარაღებული დაცვის აყვანა და 5 მილიონი დოლარის გარანტიად ჩადება მოუწევს. სტრაუსის მეუღლემ ანა სინკლარმა მანჰეტენზე უკვე იქირავა ბინა, სადაც სასამართლო პროცესის დასრულებამდე საკუთარ ქმართან ერთად იცხოვრებს.

2007 წელს IMF-ის დირექტორის პოზიციაზე სოციალისტი დომინიკ სტრაუს კანის კანდიდატურას ყველაზე აქტიურად საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი უჭერდა მხარს. სახიფათო მეტოქის დროებით ოკეანის მიღმა ყოფნა სარკოზის ხელს აძლევდა. უკვე მაშინ კეთდებოდა განცხადებები, რომ სტრაუს კანს, ანუ DSK-ს როგორც მას ეძახიან, შესაძლოა ვაშინგტონსა და პარიზს შორის არსებულ კულტურულ განსხვავებებთან შეგუება გასჭირვებოდა. გამოცემა "Les Secrets"-ში გამოქვეყნებულ სარკოზის და სტრაუსს შორის გამართულ საუბარში კარგად ჩანს, როგორ არიგებდა პრეზიდენტი ვაშინგტონში ახალი მოვალეობის შესასრულებლად მიმავალ DSK-ს:

„ისინი იქ ასეთ საკითხებზე არ ხუმრობენ. შენი ცხოვრება გამადიდებელი შუშის ქვეშ გატარდება. მოერიდე ლიფტში ასვლისას სტაჟიორებთან ერთად დარჩენას. საფრანგეთი ვერ დაუშვებს სკანდალს."

ამ საუბრიდან 3 წელიწადში, DSK სასტუმროს 32 წლის მოახლემ სექსუალური ძალადობის ბრალდებით ნიუ-იორკის პოლიციაში ამხილა. ამით სტრაუს კანი IMF-ის დირექტორის თანამდებობასთან ერთად ქვეყნის პრეზიდენტობაზე ოცნებასაც გამოემშვიდობა.

მომავალ თვეში სოციალისტების პრაიმერზე კანდიდატობის წამოსაყენებლად დომინიკ სტრაუს კანს ყველაფერი მზად ჰქონდა. კვლევები მოწმობდა, რომ ის სოციალისტური პარტიის ყველაზე რეიტინგული წარმომადგენელი იყო, რომელსაც პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზის დამარცხების რეალური შანსები ჰქონდა.

DSK-ის სკანდალი პარიზის პოლიტიკური წრეებისთვის შოკისმომმგვრელი იყო. საზოგადოებაში კი აზრი ორად გაიყო. CSA-ის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მოქალაქეების 57 პროცენტს სჯერა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი დირექტორი „შეთქმულების მსხვერპლია", მემარცხენე ამომრჩევლების პასუხებში ამ პოზიციას გაცილებით მეტი – 70 პროცენტი უჭერდა მხარს.

ის, რომ სტრაუსს კანს, ბილ კლინტონის მსგავსად, „ელვის პრობლემა" ჰქონდა, ფრანგებისთვის სიახლე არ ყოფილა. თუმცა მეორე მხრივ, DSK გამორჩეულად ჭკვიან და განათლებულ ადამიანად მიიჩნევა: ეკონომიკის ყოფილი ლექტორი და ფინანსთა მინისტრი, პოლიგლოტი და ჭადრაკის პროფესიონალი მოთამაშე. ამ ყველაფერთან ერთად თუ მისი პრეზიდენტობის რეალურ შანსებსაც გავითვალისწინებთ, უცხოურ მედიაში ნაკლებად დამაჯერებლად მიაჩნიათ, რომ კარიერის ასეთ გარდამტეხ ეტაპზე, კლაუსს სასტუმროს ოთახში შიშველს ევლო და დამლაგებელზე ძალა ეხმარა.

> **საფრანგეთში სექსუალური თავგადასავლები, განქორწინებები და სასიყვარულო სამკუთხედები არ უკვირთ და ეს პოლიტიკური კარიერის დასასრულის მიზეზი არასოდეს გამხდარა. თუმცა, DSK-ს არ გაუმართლა – მას ბრალი სიყვარულში კი არა, ძალადობაში ედება.**

სასამართლოს მიერ ბრალდებულის გამართლების შემთხვევაშიც კი, მომხდარი ფაქტი და სტრაუსის პირადი ცხოვრებიდან ამოტივტივებული ძველი დეტალები, მის საპრეზიდენტო ამბიციებს შანსს არ უტოვებს.

ჯერ კიდევ ნიუ-იორკის ისტორიამდე, ფრანგული მედია დარწმუნებული იყო, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო კამპანია იაფფასიან პოლიტიკურ ბრძოლაში გადაეშვებოდა. ბოლო კვირების განმავლობაში, ფრანგული მედია სტრაუს კანის პირადი ცხოვრების დეტალებს ახმაურებდა: მდიდრული პარიზული ბინების და მრჩევლის „პორშეში" მოკალათებული სტრაუსის ფოტოები გაზეთების პირველ გვერდებს ამშვენებდა. ამ ფოტომ საფრანგეთში განაახლა დებატები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის შესაძლებელი იყო მდიდარი და თან მემარცხენე.

პარტიის გარდა სტრაუსის სექსუალური სკანდალი IMF-ის საქმიანობას და საბერძნეთს, ესპანეთს და სხვა კრიზისულ ევროპულ ეკონომიკებსაც შეაფერხებს. დაკავებიდან რამდენიმე დღეში სტრაუსი გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს და პორტუგალიის, საბერძნეთისა და ევროზონის კიდევ რამდენიმე ქვეყნის ფინანსთა მინისტრებს უნდა შეხვედროდა, სადაც სახელმწიფო ვალების ირგვლივ შექმნილი კრიზისული მდგომარეობა უნდა განეხილათ. შეხვედრებზე სტრაუსის შემცვლელის გაგზავნის შემთხვევაშიც კი, ფონდში მძიმეწონიანი ფიგურის დაკარგვის გამო ვარაუდობენ, რომ ევროპის ქვეყნების ვალების ქაოსის მოგვარებაში ორგანიზაციის გავლენა საგრძნობლად იკლებს.

DSK ისტორიაში შევა, როგორც პირველი ფრანგი პოლიტიკოსი, რომლის კარიერაც არა ფინანსურმა, არამედ სექსთან დაკავშირებულმა სკანდალმა შეიწირა. საფრანგეთში სექსუალური თავგადასავლები, განქორწინებები და სასიყვარულო სამკუთხედები არ უკვირთ და ეს პოლიტიკური კარიერის დასასრულის მიზეზი არასოდეს გამხდარა. თუმცა, DSK-ს არ გაუმართლა – მას ბრალი სიყვარულში კი არა, ძალადობაში ედება. სიყვარულსა და ძალადობას შორის განსხვავება კი, როგორც ჩანს, ფრანგებსაც კარგად ესმით.

ვიკილიქსი არქტიკაზე

ახალი "სივი ომი" სივი ჰებრონის დასაუფლებლად

„ვიკილიქსის“ ინფორმაციას, რომ არქტიკის ბუნებრივი რესურსების ხელში ჩასაგდებად დიდი შეიარაღებული კონფლიქტი იგეგმება, 12 მაისს გრენლანდიაში გამართულმა არქტიკული ქვეყნების სამიტმა ერთდროულად მეტი დამაჯერებლობა და ინტრიგა შემატა.

ვასო კუჭუხიძე

არქტიკა

არქტიკის ბუნებრივი რესურსებით დაინტერესებას რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს. თუმცა ყველა მცდელობას მკაცრი ბენებრივი პირობები და რესურსების მოპოვების მაღალი ხარჯები დასაწყისშივე აფერხებდა.

გლობალური დათბობით გამოწვეულმა ყინულის ფენის გათხელებამ, პოლარულ ზონაში შეღწევადობა გააიოლა. ამას თან დაერთო მსოფლიოში ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა, რამაც არქტიკული რესურსები კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა.

ამერიკელი გეოლოგების უხეში გათვლით, მსოფლიოს დარჩენილი გაზისა და ნავთობის მარაგის დაახლოებით 30% სწორედ არქტიკის რეგიონზე მოდის, იქვეა ოქროსა და ურანის ხელუხლებელი საბადოებიც.

არქტიკის საკითხი საერთაშორისო კონვენციების მიერ არ არის გადაწყვეტილი. ეს კი გაურკვევლობისა და კონფლიქტების საბაბი ხდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე საკმაოდ დიდი რაოდენობის ბუნებრივ რესურსს ეხება, ადვილი მისახვედრია, რომ არქტიკის საბადოებისთვის მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოები იბრძვიან.

რეგიონში საკუთარი გავლენის გაზრდას განსაკუთრებით კრემლი ცდილობს, რაშიც მას გეოგრაფიული მდებარეობა უწყობს ხელს. რუსეთს არქტიკასთან მსოფლიოში ყველაზე გრძელი საზღვარი აკავშირებს. გარდა ამისა, თუკი სხვა ქვეყნების არქტიკული ზოლი თითქმის უკაცრიელია, რუსეთი მურმანსკის სახით რეგიონში შეღწევისთვის საკმაოდ სერიოზულ პლაცდარმს ფლობს.

„ოცდამეერთე საუკუნეში რესურსებისთვის ბრძოლა პიკს მიაღწევს და ჩვენ ამ ბრძოლისთვის მზად უნდა ვიყოთ, რათა ის არ წავაგოთ“ – ეს სიტყვები რუსეთის ელჩს ნატოში, დიმიტრი როგოზინს ეკუთვნის. მალე-ვე, მოსკოვი სიტყვიდან საქმეზეც გადავიდა. 2007 წელს რუსეთის მმართველი პარტიის დავალებით არტურ ჩილინგაროვის ექსპედიციამ ჩრდილოეთ პოლუსის მახლობლად ოკეანის ფსკერზე რუსეთის ტიტანის დროშა აღმართა. რეგიონის სხვა მოსაზღვრე ქვეყნების მხრიდან რუსეთის პროვოკაციულ ნაბიჯს საკმაოდ დიდი პროტესტი მოჰყვა. კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პიტერ მაკკეიმ უკმაყოფილება გამოთქვა: „ახლა მეთხუთმეტე საუკუნე არ არის, მსოფლიოს გარს უარო, დროშები აღმართო და ეს ტერიტორიები შენს საკუთრებად გამოაცხადო“.

ჩრდილოატლანტიკური ქვეყნების აღშფოთებას რუსეთის რიტორიკისა და მანევრების შენელება არ მოჰყოლია. პირიქით, ისლანდიის ტერიტორიაზე არსებული კეფლავიკის ამერიკული საზღვაო-საჰაერო ბაზის დახურვის შემდეგ, კრემლი კიდევ უფრო გათამამდა და რუსულმა თვითმფრინავებმა ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილშიც კი დაიწყეს საჰაერო დაზვერვა. არქტიკის მიმართ რუსეთის განსაკუთრებულმა ინტერესმა ბრიტანეთისა და სკანდინავიის ქვეყნების

მობილიზაცია გამოიწვია.

გასულ კვირას, ცნობილი ვებგვერდი, „ვიკილიქსი“, საიდუმლო დოკუმენტებზე დაყრდნობით წერდა, რომ ნატოს შტაბბინაში სერიოზული განგაშია გამოცხადებული და სამხედრო ოპერაციების გეგმებიც კი მუშავდება. „ვიკილიქსის“ ცნობით, ამ საკითხის მიმართ თვით ალიანსის შიგნითაც აღარ არის ერთობა. წევრი ქვეყნები მხოლოდ ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

მოკავშირეთა შორის არსებული არაერთსულოვნება კარგად გამოჩნდა 12 მაისს ნუუკში გამართულ სამიტზეც. კანადის პრემიერმა სტეფან ჰარპერმა გააპროტესტა ინიციატივა, რომელიც არქტიკის რუსეთისაგან დაცვას ნატოს საშუალებით ითვალისწინებს. მისი თქმით, ალიანსის ამ საქმეში ჩართვა გამოიწვევს ორგანიზაციის იმ წევრების გააქტიურებას რეგიონში, რომლებსაც ტერიტორიული საკუთრებიდან გამომდინარე, იქ არაფერი ესაქმებათ. ჰარპერის აზრით, რეგიონის დაცვა მხოლოდ ჩრდილოეთის ქვეყნებმა უნდა მოახდინონ საკუთარი ძალებითა და ერთად დგომით. კანადას მხარი დაუჭირეს სკანდინავიის ქვეყნებმაც, რომლებიც სამხედრო ბიუჯეტის/პოტენციალის სერიოზული გაზრდითა და ჩრდილოეთის ბლოკის ფორმირების საშუალებით გეგმავენ რუსეთის დაბალანსებას.

უთანხმოებაა სკანდინავიურ ბლოკსა და შეერთებულ შტატებს შორისაც. „ვიკილიქსის“ თანახმად, ვაშინგტონი ცდილობს გრენლანდიაში სეპარატიზმი გააღვივოს, იგი დანიას ჩამოაცილოს და მოგვიანებით თავად გაზარდოს იქ საკუთარი გავლენა. ამერიკის რეგიონით უკიდურესად დაინტერესებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ნუუკის სამიტზე თეთრმა სახლმა სახელმწიფო მდივანი გაგზავნა. არქტიკული საბჭო, რომელიც 8 წევრისგან შედგება (აშშ, კანადა, რუსეთი, შვედეთი, ფინეთი, ნორვეგია, დანია, ისლანდია) 1996 წელს დაარსდა და მას შემდეგ მართავს სამიტებს, თუმცა აშშ-ის მხრიდან ასეთი მაღალი რანგის წარმომადგენლის ვიზიტი წელს პირველად დაფიქსირდა.

ბუნებრივი რესურსების გარდა, რეგიონთან მიმართებაში ჩრდილოეთის სახელმწიფოებს სხვა მიზნებიც ამოძრავებთ. მათ შორისაა თევზჭერა, ტურიზმი და რაც ყველაზე მთავარია, ყინულის დადნობის შემთხვევაში, ის გახდება ყველაზე ახლო გზა, რომლითაც ევროპა, აზია და ჩრდილოეთ ამერიკა ერთმანეთს დაუკავშირდებიან. ანალიტიკოსთა გათვლით, ეს ახალი გზები სუეცისა და პანამის არხების მსგავს დატვირთვას მიიღებენ და მათ მაკონტროლებელ ქვეყნებს დიდ გეოპოლიტიკურ გავლენასა და ეკონომიკურ მოგებას მოუტანენ.

სახელმწიფოთა მხრიდან აქტიურ ქმედებებს ტრანსნაციონალურმა კომპანიებმაც აუბეს მხარი. გავრცელებული ინფორმაციით, ბრიტანული Cairn Energy უკვე მზადყოფნას გამოთქვამს გრენლანდიაზე საქმიანობის დასაწყებად. Shell-ი ალასკის მიმდებარე ტერიტორიებს იკვლევს. BP კი კრემლთან ცდილობს მოლაპარაკებას არქტიკის რუსულ ზონაში შესაღწევად.

შექმნილი მდგომარეობა ბუნებისდამცველთა განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს. მათი თქმით, სახელმწიფოთა ლიდერებმა გლობალური დათბობით გამოწვეული ყინულის დნობაც კი თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. როგორც Greenpeace-ის წარმომადგენელმა ბენ ეილიფმა განაცხადა: „ენერგორესურსების გადამეტებულმა გამოყენებამ გამოიწვია ყინულის დნობა, ახლა კი გამდნარი ფენის ქვემოდან ისევ ენერგორესურსების ამოღებას გეგმავენ, ეს კი დარჩენილი ყინულის დადნობასაც გამოიწვევს. ყოველივე, რაც ხდება, ცეცხლზე ნავთის დასხმას მაგონებს.“

Radio Commersant
marketing@commersant.ge
+995 32 505 955

ბიზნესის პერსონალური რადიო
Commersant.ge

აზერბაიჯანი

"ევროვიზია" ბაქოში

აზერბაიჯანში „ევროვიზია 2012“-ისთვის სამზადისი უკვე დაიწყო. უნდა მიეცეს თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება სომხურ დელეგაციას, ეს განხილვის მთავარი თემაა.

შაჰინ რზაევი, ბაქო

„ევროვიზია 2011“-ზე აზერბაიჯანული დუეტის Ell& Nikki ტრიუმფი

„ევროვიზია 2011“-ზე აზერბაიჯანული დუეტის Ell& Nikki-ის მოულოდნელი გამარჯვება ნიშნავს იმას, რომ მომავალ წელს ბაქო ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საერთაშორისო სასიმღერო კონკურსს უმასპინძლებს.

იმ ღამეს, როცა „ევროვიზიაზე“ გამარჯვებული გამოვლინდა, ბაქოს არ ეძინა. ახალგაზრდები ქუჩებში დროშებითა და გამარჯვების შეძახილებით დაჰქროდნენ. პოლიცია, რომელიც, ჩვეულებრივ, ნებისმიერი სახის ემოციების გამოვლენის მიმართ ძალიან სასტიკია, ამჯერად მოვლენებს შორიდან აკვირდებოდა.

თუმცა, აზერბაიჯანში კონკურსის ჩატარება ისე მარტივი არ არის, როგორც ეს, მაგალითად, ფინეთში, ან გერმანიაში იქნებოდა.

გარდა ინფრასტრუქტურული საკითხებისა, რომელთა მოგვარებაც ქვეყანას 2012 წლის გაზაფხულისთვის ათასობით უცხოელი სტუმრის მისაღებად მოუწევს, აზერბაიჯანული საზოგადოების წინაშე სხვა პრინციპული კითხვებიც დგას.

მედიასა და სოციალურ ქსელებში უკვე გაჩაღდა დისკუსიები იმაზე, თუ რამდენად არის მზად აზერბაიჯანი სომხური დელეგაციის მისაღებად? მისაღებია თუ არა ბაქოში გეების და ლესბოსელების აღლუმების მოწყობა, რაც, ტრადიციულად, ყოველ წელს ახლავს ხოლმე ევროვიზიის ფინალს?

კონკურსზე აზერბაიჯანის გამარჯვების შესახებ აზრი ორადაა გაყოფილი. აზერბაიჯანელთა დიდი ნაწილი, მიუხედავად პოლიტიკური კუთვნილებისა, მიიჩნევს, რომ ეს დიდი გამარჯვება და სტიმულია ქვეყნისთვის.

სხვები ამბობენ, რომ „ამ უგემოვნო კონკურსში“ გამარჯვება დიდი ვერაფერი წარმატებაა და მხოლოდ ფულის ტყუილად გაფლანგვას ნიშნავს, რის ფუფუნების უფლებაც არა აქვს ქვეყანას, რომელსაც ბევრად უფრო სერიოზული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები აქვს და სხვა თუ არაფერი, ტერიტორიული მთლიანობა აქვს დარღვეული.

კრიტიკოსები ამბობენ, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება ცდილობს დუეტის გამარჯვება პირად მიღწევად გაასაღოს და დასავლეთს თვალში ნაცარი შეაყაროს – თითქოს აზერბაიჯანი ყველა მიმართულებით წარმატებული ქვეყანაა.

თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, აზერბაიჯანის ხელისუფლება ნამდვილად ტყუის. ევროვიზიაში მონაწილეობა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ამ კონკურსში აზერბაიჯანი მეოთხედ მონაწილეობს და ყოველი კონკურსის წინ ოპოზიცია, ლიბერალური საზოგადოების წარმომადგენლები და კონკურენტი ქვეყნების მედია იმ უზარმაზარ თანხებზე მიუთითებენ, რასაც ნავთობით მდიდარი აზერბაიჯანი კონკურსში მონაწილე მომღერლების მომზადებისთვის, პოპულარიზაციასა და ლობირებისთვის ხარჯავს. მეტიც, საუბრები იმაზეც იყო, რომ აზერბაიჯანი მაღალი ქულების ყიდვასაც ცდილობდა.

„მზად ვარ სომხური დელეგაცია შავი ხიზილალით და კასპიური ზუთხით პირადად მოვამარაგო, რომ შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულებს ჩვენზე არავითარი პრეტენზია არ ჰქონდეთ“.

მაგალითად, შარშან რუსული მედია ბევრს წერდა აზერბაიჯანის მიერ „ევროვიზიაში“ ჩაყრილ მილიონებზე. მაშინ აზერბაიჯანული დელეგაციის წარმომადგენელმა უარყო ეს ბრალდებები და განაცხადა, რომ მომღერალ საფურა ალიზადეს „ევროვიზია 2010“-ზე წარსადგენად 1 მილიონ 560 ათასი მანათი (დაახლოებით 2 მილიონი დოლარი) დაიხარჯა.

აზერბაიჯანის საზოგადოებრივი არხის გენერალური დირექტორის ისმაილ ომაროვის განცხადებით, წელს გამარჯვებული წყვილის მოსამზადებლად აზერბაიჯანმა უფრო ცოტა ფული დახარჯა, ვიდრე შარშან.

თუმცა ომაროვის ამ განცხადების ცოტა ვინმეს თუ სჯერა. სოციალურ ქსელებში უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ წელს „ევროვიზიაზე“ აზერბაიჯანული დუეტის წარსადგენად ბაქომ, არც მეტი, არც ნაკლები, 8 მილიონი დოლარი დახარჯა.

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა, რომელიც დიდი დისკუსიის საგანი გახდა. ვინაიდან კონკურსი მომავალ წელს ბაქოში გაიმართება, არის ერთი ქვეყანა, რომლის კონკურსში მონაწილეობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ სომეხი ეროვნების ადამიანებისთვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან ისინი, აზერბაიჯანის საზღვარი მტკიცედ არის ჩაკეტილი.

უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სომხებს აზერბაიჯანში შესვლის და კონკურსში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეთ, რაც მთელი მსოფლიოსთვის აზერბაიჯანული სტუმართმოყვარეობისა და ტოლერანტობის დემონსტრირება იქნება. მაგალითად, 30 წლის ბიზნესმენმა ალია ხარვერდიმ თქვა: „მზად ვარ სომხური დელეგაცია შავი ხიზილალით და კასპიური ზუთხით პირადად მოვამარაგო, რომ შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულებს ჩვენზე არავითარი პრეტენზია არ ჰქონდეთ“.

სომხების აზერბაიჯანში შემოშვების მოწინააღმდეგეთა გუნდს ცნობილი არმენოფობი „ყარაბაღის განმანთავისუფლებელი ორგანიზაციის“ ლიდერი აკიფ ნაგი ხელმძღვანელობს. „ჩვენი ორგანიზაცია კატეგორიული წინააღმდეგია სომხების ნებისმიერი სახის ვიზიტის აზერბაიჯანში, ვიდრე ეს ქვეყანა არ გაათავისუფლებს ჩვენს ტერიტორიებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ „ევროვიზია 2012“-ზე სომხებმა მონაწილეობა არ მიიღონ“.

ორი წლის წინ, მრავალი წლის განმავლობაში პირველად, აზერბაიჯანს სომეხ სპორტსმენთა დელეგაცია ესტუმრა, რომლებიც ბაქოში მძლეოსნობაში ევროპის ჩემპიონატზე დასასწრებად ჩავიდნენ. მაშინ ერთ-ერთმა სომეხმა სპორტსმენმა მესამე ადგილი დაიკავა და დარბაზში სომხეთის დროშაც კი აღმართეს.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ტრადიციების მიმდევარ აზერბაიჯანულ საზოგადოებას აწუხებს, ის არის, რომ „ევროვიზიის“ ფინალს, როგორც წესი, გეებისა და ლესბოსელების აღლუმები ახლავს თან. სავარაუდოდ, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები ბაქოშიც დააპირებენ მსგავსი ღონისძიების გამართვას.

„ეს ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელია. ჩვენ ტრადიციული ქვეყანა ვართ. „ევროვიზიას“ მომავალ წელს ბევრი ახალგაზრდა დაესწრება და სულ არ მინდა, ჩემმა შვილებმა ამ გარყვნილებას უყურონ,“ – ამბობს ბაქოელი ქალბატონი ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტში.

პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა „ევროვიზიაში“ გამარჯვებას მთელი ერის წარმატება უწოდა და მომავალ წელს კონკურსის მასპინძლობისთვის სამზადისი უკვე დაიწყო.

ჯერჯერობით, ხელისუფლება იმის გადაწყვეტას ცდილობს, თუ სად უნდა გაიმართოს კონცერტი. ტოფიკ ბახრამოვის სახელობის რესპუბლიკური სტადიონის დირექტორმა განაცხადა, რომ მზადაა სტადიონი დროებით საკონცერტო მოედნად გადააქციოს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამ ღონისძიებისთვის ახალი ობიექტი ააშენონ. აზერბაიჯანს საამისო ფული ნამდვილად აქვს.

რაც შეეხება სასტუმროებს, ეს ბიზნესი ბაქოში ყვავის. უკვე არსებულ შვიდ ხუთვარსკვლავიან სასტუმროს წელს კიდევ ხუთი დაემატება.

რიგითი აზერბაიჯანელები, რომლებიც უკვე ნელ-ნელა გამოდიან გამარჯვების ეიფორიიდან, ხუმრობენ, რომ წელს სანახაობა არ მოაკლდებათ, ახლა მთავარია, პურიც ჰქონდეთ.

ოლიგარქი

ვისია ოლიგარქი?

ბიძინა ივანიშვილი – ქართველი გრაფი მონტე კრისტო თუ კიდევ ერთი ოლიგარქი, რომელმაც ვერ გაუძლო პოლიტიკის ცდუნებას?

მანანა ვარდიაშვილი

ბიძინა ივანიშვილის საცხოვრებელი სახლი სოლოლაკის თავზე

ფოტო: ალბერტ ქოჩარიანი

11 მაისს „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების დაფინანსებაში დაადანაშაულა. მთავარი ლეიბორისტის ბრალდების საპასუხოდ „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურმა ჯერ სპეციალური განცხადება გაავრცელა, მოგვიანებით კი შალვა ნათელაშვილს ღია წერილი გაუგზავნა. ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ჩრდილიდან გამოვიდა – მან საქართველოს ხელისუფლებასთან დაპირისპირების ფაქტი საჯაროდ გაამხილა და პირველი პოლიტიკური შეფასება გააკეთა.

„თუკი თვალს გადავავლებთ პოლიტიკურ ძალთა ახლანდელ განაწილებას, არსებობს სახელისუფლებო პარტია, ოპოზიცია და ეგრეთ წოდებული ფსევდოოპოზიცია, არსებობს ასევე სტაბილური დაბალანსებული ურთიერთობები მათ შორის და ეს ვითარება სამთავრობო გუნდის ხელისუფლებაში ყოფნის სავარაუდო წინაპირობაა. ახლანდელი ხელისუფლება ასეთ სიტუაციაში ძალზე კომფორტულად გრძნობს თავს და საქმე მშვენივრად აქვს აწყობილი: სიტუაციას აბალანსებს, ბიზნესს აკონტროლებს; თავისი მანიპულაციებით მიაღწია იმას, რომ ფსევდოოპოზიციას – საპარლამენტოსაც და არასაპარლამენტოსაც – შესანიშნავად მართავს... ნამდვილ ოპოზიციურ მოძრაობას საკმაოდ უჭირს სათანადო წინააღმდეგობის გაწევა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადებაში მოყვანილია ეკონომიკური ექსპერტების გათვლები, რომელთა მიხედვითაც, სააკაშვილს მსხვილი ბიზნესის გაკონტროლებით წელიწადში 300-400 მილიონი დოლარის შოვნა შეუძლია:

„მხოლოდ ნათელაშვილისნაირი არასერიოზული პოლიტიკური ჯგუფის განცხადებებს რომ არ დავეყრდნოთ, ოპოზიციაში მყოფი თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენლების აზრითაც, ახლანდელი ხელისუფლება მთლიანად აკონტროლებს საქართველოში არსებულ ძირითად სტრატეგიულ ბიზნესს და ქართველ ბიზნესმენებს. საქართველოში ელიტური კორუფციის არსებობაზე ლაპარაკია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშშიც.

თუ ეს მართლაც ასეა, თავს უფლება მივეცით და კონსულტაციისთვის მივმართეთ ეკონომიკურ ექსპერტებს, რამდენი შეიძლება იშოვოს სააკაშვილმა არსებული ბიზნესებისგან. მათი გათვლები ასეთია: სააკაშვილის ხელისუფლებას მსხვილი ბიზნესის გაკონტროლებით (ნავთობი, სატრანზიტო გადაზიდვები და სხვ.), თვეში საშუალოდ 30-40 მილიონის შოვნა შეუძლია, რაც წელიწადში, ასევე დაახლოებით, შეიძლება 300-დან 400 მილიონამდე იყოს“.

ივანიშვილი საუბრობს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მედიასაშუალებებსა და სასამართლო სისტემაზე.

„თუკი ნათელაშვილის ადრინდელ განცხადებებს ბეჭდური მედია და მეორეხარისხოვანი ტელეარხები აშუქებდნენ

ხოლმე; ამჯერად მისი ბრიფინგის შესახებ სიუჟეტი ხელისუფლების მიერ კონტროლირებადმა ყველა არხმა – „რუსთავი 2“-მა, „იმედმა“ და „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ დღის განმავლობაში რამდენჯერმე გადასცა“.

ბიზნესმენი ღიად აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება აგენტურული ქსელის მეშვეობით ცდილობს ივანიშვილის გარემოცვიდან კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას:

„თქვენს ბოლო ინტერვიუში მიგვითითებთ, „ამოქექონ იმ „ქართუ ბანკის“ დოკუმენტაცია, სადაც ღარიბოვი და ვილაც ჰყავთ წევრებად, ამ დოკუმენტაციაში ჩანს ყველანაირი გადარიცხვა“. ამით თქვენ აშკარა მინიშნებას აკეთებთ, რომ გყავთ თქვენი აგენტურული ქსელი და ფლობთ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

თუმცა, მეორე მხრივ, რამდენადაც სააკაშვილი და მერაბიშვილი მთლიანად აკონტროლებენ ქართულ ბიზნესს და ამის შესახებ არაერთი განცხადება გაკეთებულა, ვინ დაგიჯერებთ, რომ მერაბიშვილმა დაგიტოვათ კონტროლი აგენტურულ ქსელზე და შეეღია მონოპოლიას ამ საკითხში?! ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ თქვენ თქვენი აგენტები კი არა გყავთ, არამედ ამ ინფორმაციას სწორედ მერაბიშვილისა და მისი აგენტებისგან იღებთ. ალბათ, სწორედ მერაბიშვილისგან ინფორმაციის მიღების იმედით გვემუქრებით, რომ კიდევ ბევრი რამის თქმა შეგიძლიათ.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რაც ჩვენ პირველ წერილში გამოვთქვით – თქვენ კონკრეტულად სააკაშვილისა და მერაბიშვილის დაკვეთებს ასრულებთ“.

შალვა ნათელაშვილის სახელზე გაგზავნილი ღია წერილიდან ირკვევა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის დაპირისპირება 2008 წელს დაიწყო – მას შემდეგ, რაც ცნობილ ბიზნესმენს „გაუჩნდა ეჭვი, რომ სააკაშვილმა მეორედ გაპრეზიდენტება გაყალბებული არჩევნებით მოახერხა“ და მასთან ურთიერთობაზე უარი თქვა.

ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებას ადანაშაულებს მის წინააღმდეგ 2008 წელს გაზეთ „ალიას“ ფურცლებიდან აგორებული კამპანიის ორგანიზებაში.

მან ღიად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის დახმარებით მისთვის პრობლემების შექმნას ცდილობს:

„სწორედ ახლანდელ ხელისუფლებას არ აძლევს ხელს არსებული ბალანსის დარღვევა, განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, რომ ბიძინა ივანიშვილმა ვინმე არ დააფინანსოს და რომელიმე პოლიტიკურ ძალას მხარში არ ამოუდგეს იგი.

სწორედ სააკაშვილის მთავრობა ცდილობს, დაიხმაროს ქართველი ხალხი და ასევე დაარწმუნოს რუსეთის მთავრობაც, რათა მოიშოროს ივანიშვილი და მისგან თეორიულად მოსალოდნელი შესაძლო ხიფათი თავიდან აიცილოს“.

ბიძინა ივანიშვილი

ვინ არის ბიძინა ივანიშვილი?

საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, რომელიც სიცოცხლეშივე მითურ პიროვნებად და ლეგენდად იქცა, ხალხში თითქმის არასოდეს ჩნდება. საზოგადოება მას რუსული გაზეთის – „ვედომოსტისთვის“ – 2005 წელს მიცემული ერთადერთი ინტერვიუთი და რამდენიმე ფოტოთი იცნობს. „მე არ ვარ საჯარო ადამიანი. არ მიყვარს ჟურნალისტებთან შეხვედრა და საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობა. ასეთ შეხვედრებზე ნიღაბი უნდა გაიკეთო. მე კი ფორმალობებს ვერ ვიტან. მატერიალისტი ვარ და სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობის არ მჯერა. ცხოვრება ისედაც ხან-

მოკლეა. არ მინდა ისეთი რამე გავაკეთო, რაც ჩემს თავისუფლებას შეზღუდავს. არ მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. არ მიყვარს დღესასწაულები. საკუთარ დაბადების დღესაც კი არასოდეს აღვნიშნავ“, – ამბობს ის „ვედომოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ის, ”ფორბსის” მონაცემებით, მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სიაში 185-ე ადგილზეა. მისი ქონება 5,5 მილიარდ

ბიძინა ივანიშვილის რეზიდენცია სოფელ ჭორვილაში

ფოტო: მარიკა ქურციკველი

დოლარად არის შეფასებული. თუმცა, ამბობს რომ ფული მისთვის დიდი ფასეულობა არ არის: „ფულს ჩემთვის ღირებულება არ აქვს. ზედმეტი ფული იგივეა, რაც ზედმეტი ქონი ადამიანისთვის: ის გამძიმებს და დამატებით პრობლემებს ქმნის.“

ბიძინა ივანიშვილი 1956 წლის 18 თებერვალს, საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩააბარა. პარალელურად, კამოს სახელობის „ჩარხმშენებელ“ ქარხანაში დამლაგებლად მუშაობდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა იმავე ქარხანაში განაგრძო, ჯერ უფროსი ინჟინრის, ხოლო შემდეგ ლაბორატორიის უფროსის თანამდებობაზე. 1982 წელს მოსკოვში გაემგზავრა, სადაც ასპირანტურაში ჩააბარა და საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „მეცნიერული ორგანიზაცია და შრომის ეკონომიკა“.

დისერტაციის დაცვის შემდეგ ის საქართველოში დაბრუნდა. კამოს სახელობის ქარხანაში შენობა იჯარით აიღო და კოოპერატივი დაარეგისტრირა, სადაც საღამოობით ხელსაწყოებს თვითონ

„მე არ ვარ საჯარო ადამიანი. არ მიყვარს ჟურნალისტებთან შეხვედრა და საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობა. ასეთ შეხვედრებზე ნიღაბი უნდა გაიკეთო. მე კი ფორმალობებს ვერ ვიტან. მატერიალისტი ვარ და სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობის არ მჯერა. ცხოვრება ისედაც ხანმოკლეა“.

ჩარხავდა. ახალი ბიზნესის დაწყების იდეაც აქ დაიბადა.

„ვიცნობდი თბილისელ ებრაელებს, რომლებიც იმ დროისთვის საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ. მათ კომპიუტერები გამომიგზავნეს. პირველი მყიდველი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია იყო. მაგრამ, ჩემი აქტიურობა საქართველოს პროკურატურას არ მოეწონა. არ მოეწონათ, რომ პირველივე შეკვეთაზე ჩემი კოოპერატივის ანგარიშზე 1 მლნ მანეთი ჩაირიცხა. ანგარიში დამიყადაღეს. მივხვდი, რომ პრობლემები არც მომავალში მომაკლდებოდა და გადავწყვიტე მოსკოვში გადავსულიყავი“.

1988 წელს ბიძინა ივანიშვილმა საქართველო დატოვა. 1990 წელს მოსკოვში ბანკი „რასიისკი კრედიტი“ დააფუძნა. მისი ფინანსური იმპერიის შექმნაც სწორედ აქედან დაიწყო. ამჟამად მის აქტივებში შედის „რასიისკი კრედიტის“ აქციების 67%, კომპანია „უნიკორი“, საფინანსო კომპანია „ინტერფინ ტრეიდი“, აგროსამრეწველო კორპორაცია „სტოილენსკაია ნივა“, სადაზღვევო კომპანია „რკ-გარანტი“, შპს „ერკაფარმი“ (სააფთიაქო ქსელი „დოქტორ სტოლეტოვი“), „აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობკომპანიის“ აქციების 28.5%, სასტუმრო „მინსკი“ და „ცენტრალნაია“, სატრანსპორტო კომპანია „წიაღისეულის გადაზიდვის ცენტრი“. გარდა ამისა, ივანიშვილი „გაზპრომისა“ და „ლუკოილის“ მეწილეა.

მასზე ამბობენ, რომ ძლიერი ფინანსისტი, კარგი სტრატეგი და საუცხოო ორგანიზატორია. ის ყოველთვის თავად არჩევს თავის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მმართველ კადრებს. ბიძინა ივანიშვილი თავად არის ყველა იდეის გენერატორი და დაწყებული საქმე აუცილებლად ბოლომდე მიჰყავს. მისთვის სპორტული ინტერესი და აზარტი რთულ სექტორში წარმატებული კომპანიის შექმნაა.

ივანიშვილის აქტივების 2/3 რუსეთშია განთავსებული. საქართველოში მას ბიზნესი, პრაქტიკულად, არ აქვს. ივანიშვილის ქართულ აქტივებში იყო: კვების პროდუქტების კომპანია „თოლია“, ბანკი „ქართუ“, ტელეკომპანია „მე-9 არხი“, სამშენებლო კომპანია, სოფლის მეურნეობის კომპანია, 600 ჰა მიწის ნაკვეთი და 300 ჰექტარზე გაშენებული ვენახი, საქართველოში ყველაზე დიდი ღვინის მარნით....

2005 წელს მან საქართველოში არსებული ბიზნესების გაყიდვა გადაწყვიტა. „ვედომოსტისთან“ საუბარში ქართული აქტივების გაყიდვის მიზეზს ასე განმარტავს: „მალე 50 წლის ვხდები. ახლა საჭიროა მთავარზე კონცენტრირება, ყველაფრის სამართავად ძალა აღარ მაქვს“. ივანიშვილმა საქართველოში არსებული აქტივებიდან მხოლოდ „ქართუ ბანკი“ დაიტოვა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ბიზნესმენისთვის, რომელიც 5,5 მილიარდიან ქონებას წარმატებით მართავს, ქართული ბიზნესაქტივი განსაკუთრებულ სი-

მძიმედ იქცა. სირთულე, ალბათ, ხელისუფლებასთან ურთიერთობა უფრო იყო. ივანიშვილი საქართველოში ბევრჯერ მოატყუეს. ხელისუფლების უპირობის ყველაზე ნათელი მაგალითი ტელეკომპანია „მე-9“ არხია.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, როცა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა მაყურებლის ნდობა დაკარგა, ტელევიზიის გადარჩენის მიზნით მფლობელებმა მისი საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნა გადაწყვიტეს.

„რუსთავი 2“-ის მაშინდელი გენერალური დირექტორი ეროსი კიწმარიშვილი სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტ ნინო ზურიაშვილისთვის მიცემულ კომენტარში ამბობს, რომ ივანიშვილი მზად იყო, „რუსთავი 2“-ის მფლობელებისგან საკონტროლო პაკეტი გამოესყიდა და შემდეგ ის საჩუქრად სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრებისთვის და ჟურნალისტთა გუნდისთვის გადაეცა. გეგმის თანახმად, ივანიშვილს „რუსთავი 2“-ის ვალი უნდა დაეფარა, დაეხურა „მე-9 არხი“ და მის კუთვნილი ტექნიკა და სიხშირე „რუსთავი 2“-სთვის მიეცა. ცნობილ ბიზნესმენს ერთადერთი მოთხოვნა ჰქონდა: გარიგებაში მისი მონაწილეობა საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ამ გარიგების შესახებ მხოლოდ სააკაშვილმა, კიწმარიშვილმა და ივანიშვილმა იცოდნენ.

2004 წლის პირველ აპრილს ტელეკომპანია „მე-9 არხი“ მართლაც დაიხურა. არხის კუთვნილი ტექნიკა „რუსთავი 2“-ში გადაიტანეს. მაგრამ წილის გამოსყიდვის პროცესი ჩაიშალა. კიწმარიშვილი ამბობს, რომ გარიგების ჩაშლის მთავარი მიზეზი ივანიშვილის მოთხოვნის შეუსრულებლობა იყო: საიდუმლო გარიგების შესახებ ინფორმაცია ბადრი პატარკაციშვილთან მოხვდა, რომელმაც ამის შესახებ ივანიშვილს შეატყობინა. დღეს კიწმარიშვილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილმა თავად ჩაშალა ეს გარიგება, რადგან ეს სქემა მისთვის ხელსაყრელი არ იყო.

ტელევიზიას, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში არ მაუწყებლობდა, მარეგულირებელმა კომისიამ ლიცენზია არ ჩამოართვა. მოგვიანებით, „მე-9 არხის“ 100%-იანი წილის მეპატრონე „მაგი სტილის“ დამფუძნებელი და „რუსთავი 2“-ის მაშინდელი გენერალური დირექტორი ირაკლი ჩიქოვანი გახდა.

შემდეგი დიდი პროექტი, რომელშიც ბიძინა ივანიშვილმა ფული დააბანდა, ბაკურიანის, როგორც სათხილამურო კურორტის განვითარება იყო.

„2002 წელს ბაკურიანის განვითარების იდეა ბიძინა ივანიშვილს შევთავაზე“, – იხსენებს პოლიტიკოსი და ბიზნესმენი

ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა, უნივერსიტეტის აღდგენა, მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრების რეაბილიტაცია, რესპუბლიკური საავადმყოფოს კეთილმოწყობა. ის ყოველთვიურ დახმარებას აძლევს ძველ ინტელიგენციას, მათ, ვისაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა რამდენიმე წლის წინ „ჩარეცხილები“ უწოდა.

გოგი თოფაძე, „დაინტერესდა და ბაკურიანში წავედით. მთის წვერზე ყველაზე ადრე ბიძინა ავიდა. ისეთი ამინდი იყო, კავკასიონის მთელი ქედი ჩანდა. საოცარი სილამაზე იყო. რომ ჩამოვედით, თქვა, გადაწყვეტილია, ბაკურიანს საერთაშორისო დონის კურორტად ვაქცევო. თქვა და საქმეც დაიწყო. სათხილამურო ტრასის და საბაგიროს გარდა სხვა პროექტებიც აქვს. კინოთეატრი გააკეთა, პოლიციის შენობა ააშენა, კანალიზაციის სისტემა მოაწესრიგა“.

საკურორტო სეზონი და ახალი ინფრასტრუქტურა პრეზიდენტმა სააკაშვილმა გახსნა. თავად ბიზნესმენს, მისი ჩაკეტილი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, პრეზენტაციაზე არც ელოდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ოლიგარქი მაინც გააკვირვა იმან, რომ სადღესასწაულო ღონისძიებაზე ბაკურიანში ის არავის გახსენებია.

„ბაკურიანი-2“-ის მშენებლობაზე ბიძინამ 18 მლნ ევროზე მეტი დახარჯა. მაგრამ, როცა პრეზიდენტმა ახალი საბაგირო გზა გახსნა, ერთი სიტყვაც არ თქვა იმაზე, ვინ გააკეთა ეს ყველაფერი“, – ამბობს გოგი თოფაძე.

ივანიშვილი გაურბის საქართველოს ბიზნეს-პოლიტიკური კლასის წარმომადგენლებთან ურთიერთობას. ის არ ხვდება პრეზიდენტ სააკაშვილს: „ქართუ ჯგუფის“ მიერ შალვა ნათელაშვილისთვის გაგზავნილ ღია წერილში ვკითხულობთ: „2008 წელს, სააკაშვილის ინაუგურაციის წინა დღეს, ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის შედგა ბოლო საუბარი, რის შემდეგაც მათ შორის ყველანაირი ურთიერთობა გაწყდა. ეს მოხდა ივანიშვილის ინიციატივით მას შემდეგ, რაც ბატონ ბიძინას გაუჩნდა ეჭვი, რომ სააკაშვილმა მეორედ გაპრეზიდენტება გაყალბებული არჩევნებით მოახერხა. თუმცა ამის შემდეგ სააკაშვილის მხრიდან იყო ივანიშვილთან სატელეფონო საუბრისა და შეხვედრის რამდენიმე მცდელობა, მაგრამ ბატონი ბიძინასგან მკაცრი უარი მიიღო“.

ბიძინა ივანიშვილი 2004 წლიდან ოჯახთან ერთად მშობლიურ სოფელ ჭორვილაში ცხოვრობს. მისი მეუღლე და ოთხივე შვილი საფრანგეთის მოქალაქეა. თვითონ მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს. ერთდროულად არის საქართველოს და რუსეთის მოქალაქე. ჭორვილა ივანიშვილის სამფლობელო-სამეფოა.

ბრიტანულმა გამოცემა Prospect-მა 2010 წელს ბიძინა ივანიშვილის შესახებ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, სათაურით – „კარგი ოლიგარქი". ჟურნალისტი ვენდელ სტივენსონი წერს, რომ ბიზნესმენი სამშობლოში „პერსონიფიცირებულ სოციალიზმს" მისდევს.

„პოლიციის ახალი შენობა, 20-ზე მეტი სკოლა საჩხერის რაიონში, სახანძრო სამსახური, ადგილობრივი სამხედრო ბაზა, საფეხბურთო სტადიონი, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი... ივანიშვილმა გომის გზა და წყალმომარაგების ნაგებობა აღადგინა და 2009 წლის დადგომამდე რეგიონის 60 000 მოსახლე უფასო გაზითა და ელექტროენერგიით უზრუნველყო. ჯანდაცვა კი საჩხერის ყველა მკვიდრისთვის ხელმისაწვდომი გახდა, საავადმყოფოც განაახლა. მან დაუწესა ყოველთვიური პრემიები ექიმებსა და მასწავლებლებს, მოხუცებს კი პენსები... ჭორვილაში თითქმის ყველა შენობა ივანიშვილის აღდგენილია. წარმოუდგენელია, რომ ეს სახლები საქართველოში დგას: ეს ყველაფერი გერმანიისა და შვეიცარიის რომელიმე მხარეს უფრო ჰგავს", – წერს ვენდელ სტივენსონი.

ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღდგენა, ბაკურიანის სამთო-სათხილამურო კურორტის აშენება, მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრების რეაბილიტაცია, რესპუბლიკური საავადმყოფოს კეთილმოწყობა, ქობულეთში გასართობ ცენტრ „ციცინათელას" და ბათუმის დელფინარიუმის მოწყობა. ის ყოველთვიურ დახმარებას აძლევს ძველ ინტელიგენციას, მათ, ვისაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა რამდენიმე წლის წინ „ჩარეცხილები" უწოდა.

„2008 წელს, როცა ჟურნალის პროფილზე მუშაობისას საკაშვილს შევხვდი, ვკითხე, რა იცოდა ამ იდუმალ ბიზნესმენზე", – იხსენებს ჟურნალისტი ვენდელ სტივენსონი. „ივანიშვილზე?", – წამოიძახა პრეზიდენტმა, – „ის გრაფ მონტე კრისტოს ჰგავს, მხოლოდ ერთხელ შევხვდი. მას სძულს საჯაროობა." საკაშვილმა გაიცინა, შემდეგ კი დაამატა: „და მას არ აქვს პოლიტიკური მისწრაფებები, ერთიც კი".

ივანიშვილის პოლიტიკურ მისწრაფებებს მისი წარმომადგენლები ახლაც დაჟინებით უარყოფენ. თუმცა, ოლიგარქის კრიტიკული წერილების გამოქვეყნება უცნაურად დაემთხვა ოპოზიციური პარტიების მიერ გამოცხადებულ საპროტესტო აქციებს. „ქართუ ჯგუფში" „ლიბერალს" განუცხადეს, რომ ეს უბრალო დამთხვევაა და რომ ეპისტოლარული „შაირობა" ბიძინა ივანიშვილმა კი არა, შალვა ნათელაშვილმა დაიწყო.

„საქართველოს ახალ ხელისუფლებას არც მხარს ვუჭერ და არც მის წინააღმდეგ გამოვდივარ. პოლიტიკურ მოღვაწეებთან კავშირი არ მაქვს", – ამბობდა ბიზნესმენი 2005 წელს – „ურთიერთობა მაქვს მხოლოდ ნათესავებთან და ახლო მეგობრებთან, პოლიტიკური ამბიციები არ მაქვს. მინდა, მშვიდად ვიცხოვრო ჩემს ოჯახთან ერთად".

როგორც ჩანს, ცნობილ ბიზნესმენს საქართველოში მშვიდად ცხოვრება არ უწერია: ის ამისთვის ძალიან მდიდარია.

ფოტოები ბარბარა ქორბაშვილის

ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა რუსთაველის თეატრისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობების სარესტავრაციო სამუშაოები.

"ანტიამერიკული ჰიტლერია ის ნიშნავს პროფესიულობას"

ინტერვიუ კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის ასოცირებულ პროფესორთან,
ლინკოლნ მიტჩელთან

„ქართულმა პარტიამ“ ამერიკის საელჩოსთან აქცია გამართა და მოითხოვა ამერიკისგან, რომ სააკაშვილის რეჟიმის მიმართ პოლიტიკა შეცვალოს. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, აშშ საქართველოს მოქალაქეებს თავისუფლებას ართმევს. რა არის ანტიამერიკული სენტიმენტების მიზეზი და რა როლი ითამაშა ამერიკის პოლიტიკამ მათ გაღვივებაში?

ამ დემონსტრაციების გაცხადებული მიზეზი არის ის, რომ აშშ-ის მთავრობა მხარს უჭერს სააკაშვილის რეჟიმს და არა ქართველ ხალხს. გულწრფელად რომ ვთქვათ, ამაში არის რაღაც ისტორიული სიმართლე. ძალიან კარგია, რომ ქართველი ხალხი გამოხატავს თავის აზრს. ვფიქრობ, ასეთია ამერიკის საელჩოს პოზიციაც: მათ უნდათ, რომ ხალხმა აზრი გამოხატოს. ოქრუაშვილი ალბათ საუკეთესო ვარიანტი არ არის და მისი ენაც ცოტა მძიმეა, მაგრამ მაინც კარგია, რომ ქართველები აფიქსირებენ თავიანთ აზრს.

საქართველოს მთავრობის სტრატეგია, ამ შემთხვევაში, ნათელი იყო: მათ ოპოზიციური პროტესტი დაგმეს და უწოდეს „პრორუსული“. რამდენად რეალურია იმის თქმა, რომ ანტიამერიკული სენტიმენტები უდრის პრორუსულ სენტიმენტებს?

ასე ვერ ვიტყოდი. საქართველოში არის პოლიტიკური სივრცე ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც არიან პროდასავლურები და ამავე დროს, არ აკმაყოფილებთ ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხი. მათ, ვინც ეუბნება ამერიკის მთავრობას, რომ ისინი უნდა უჭერდნენ მხარს ქვეყანას და არა პრეზიდენტს, ამის ლეგიტიმური უფლება აქვთ.

სწორი იქნება თუ არა იმის თქმა, რომ თუ აქ ამერიკის გავლენა შემცირდება, მაშინ რუსეთის გავლენა გაიზრდება?

ეს დემონსტრაციები არ არის სერიოზული მოვლენა. არავინ ამბობს: „დასავლეთო, წადი!“, ამბობენ, „დასავლეთო, უკეთ მოიქეცი!“ და ეს სრულიად განსხვავებული მესიჯია, რაც არ გამოიწვევს რუსეთის გავლენის გაზრდას, უფრო პირიქით.

ოპოზიციის სტრატეგიას პრაქტიკული გადმოსახედიდან შევხედოთ: რამდენად პრაგმატულია ანტიამერიკული პოზიციის დაკავება?

ოპოზიციაში ბევრი პოლიტიკოსი არ იზიარებს ანტიამერიკულ პოზიციას. მაგალითად, მე არ მომისმენია, რომ გიორგი თარგამაძე, ირაკლი ალასანია ან დავით უსუფაშვილი რაიმე ანტიამერიკულს აცხადებდნენ. ჩემთვის ესენი ამჟამად ყველაზე გამორჩეული ოპოზიციური ლიდერები არიან. ვფიქრობ, პრობლემა ის არის, რომ თუ ეს ოპოზიციური ძალებიც გადაწყვეტენ საელჩოსთან წასვლას და მოთხოვნას, რომ აშშ-მ მხარი დაუჭიროს ქართველ ხალხს და არა რეჟიმს, მათაც მიაკერებენ ანტიამერიკულის იარლიყს.

რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ის, რომ მიხეილ სააკაშვილი აღარ დარჩეს ხელისუფლებაში 2013 წლის შემდეგ?

საქართველოსთვის ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანია მისი სწრაფვები ნატოსა და ევროკავშირისკენ. თუ სააკაშვილი დარჩება ხელისუფლებაში, ამ ორგანიზაციებში საქართველოს გაწევრიანების შანსები უფრო მეტად შემცირდება, ვიდრე ახლა. თუმცა, არც იმის გარანტია არსებობს, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ სიტუაცია აუცილებლად გამოსწორდება. არსებობს რეალური შანსი, რომ საქართველო შეიძლება სააკაშვილის გარეშე კიდევ უფრო ნაკლებად დემოკრატიული გახდეს.

საქართველოს პრეზიდენტი არ არის ხისტად ავტორიტარული მმართველი. ამ ხელისუფლებაში არის ხალხი, ვინც მასზე მეტად ხისტები და ავტორიტარულები არიან. ბიუროკრატიულ-კორპორატივისტული მთავრობა, რომელსაც მართავს ძლიერი ნაციონალური მოძრაობა, მისი ლიდერები და ძლიერი ძალოვანი სტრუქტურები, ნაკლებად დემოკრატიული იქნება.

რატომ უჭერს ამერიკა მხარს საქართველოს?

საქართველოს, პირველ რიგში, მხარს ვუჭერთ იმიტომ, რომ ზოგადად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას ვუჭერთ მხარს. თუმცა, ბოლო პერიოდში საქართველო მნიშვნელოვანი იმით გახდა, რომ შექმნა ე.წ. დემოკრატიის ნარატივი.

უცნაურია, მაგრამ ამ ნარატივმა („დემოკრატიის შუქურა“ – გ.ც.) შეაჩერა საქართველოს განვითარება. ამერიკისთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა საქართველოს დემოკრატიული მიღწევების ზეიმი, ვიდრე ჩავარდნების სერიოზულად განხილვა.

ახლაც და ადრეც, საქართველო მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ ის თანამშრომლობდა ამერიკასთან საკვანძო უსაფრთხოების საკითხებზე: ტერორიზმთან ბრძოლა, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთის შეკავება, ახლო აღმოსავლეთში ამერიკის მხარდაჭერა... საქართველოს წინა და ახლანდელი პრეზიდენტები ამ კარტებით მშვენივრად თამაშობდნენ. შევარდნაძე და სააკაშვილი აგზავნიდნენ ჯარებს ერაყში. სააკაშვილი ასევე აგზავნის ჯარებს ავღანეთში. ახლა ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს მიმართ უფრო მეტად უსაფრთხოების საკითხებზეა კონცენტრირებული.

ეს კონკრეტულად რას გულისხმობს?

ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენად მნიშვნელოვანია აშშ-სთვის, საქართველო რომ 1000 ჯარისკაცს აგზავნის ავღანეთში. საქართველო თანამშრომლობს ამერიკასთან სხვა გლობალურ თემებზე. ეს ახლა, ჩემი აზრით, მთავარი პარადიგმაა, რადგან დემოკრატიის პარადიგმა არ შეიძლება სერიოზულად მივიღოთ.

რა როლი დარჩა დემოკრატიის თემას საქართველოს მიმართ ამერიკის პოლიტიკაში? რატომ უსვამს ხაზს ჰილარი კლინტონი გამუდმებით დემოკრატიის საჭიროებას?

საქართველო და ამერიკა მჭიდროდ თანამშრომლობენ უსაფრთხოების საკითხების გარშემო. საქართველოს რუსეთისგან საკმაოდ სერიოზული საფრთხეები ემუქრება. ამერიკა თვლის, რომ უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის გზა არის ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანება. საქართველო კი ახლანდელი დემოკრატიული ჩავარდნებით ალიანსში ვერ შევა. ნატოს წევრი სახელმწიფოების ნაწილს უნდა საქართველოს კლუბში მიღება, ნაწილს – არ უნდა. აშშ ვერ მოახერხებს საქართველოს ნატო-ში შეყვანაზე საფრანგეთისა და გერმანიის დათანხმებას, თუ სააკაშვილი მოიქცევა პუტინივით. სწორედ ამას ამბობს ხალხი ვაშინგტონში. ჩვენ ვერ ვეტყვით ჩვენს 60-წლიან მოკავშირეებს, რომ დაეხმარონ საქართველოს, თუ ის თავის თავს არ დაეხმარება. ამიტომაც უსვამს ხაზს ჰილარი კლინტონი დემოკრატიის საჭიროებას.

ესაუბრა გიორგი ცხადაია.

თუ სააკაშვილი დარჩება ხელისუფლებაში, ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების შანსები უფრო მეტად შემცირდება, ვიდრე ახლა.

ლიბერალი

სპეციალური შეთავაზება

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ თქვენი ჟურნალი ყოველ ორშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: (899) 48 62 41 ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: subscribe@liberali.ge

ფოტო მარიას ქოჩიაშვილი

ძველი თბილისის ხედი, მაისი 2011

ქალაქი ბიზნესის სამსახურში

მათი ქალაქი

რუსუდან ფანოზიშვილი, მარიკა ქოჩიაშვილი

როცა დედაქალაქთან ხანგრძლივად განშორებული თბილისელები ისევ ბრუნდებიან, როგორც წესი, აღფრთოვანებას ვერ მალავენ. რესტავრირებული სახლები, შეღებილი ფასადები, მოწესრიგებული გადასასვლელები, თანამედროვე მაღალსართულიანი ბიზნესცენტრები და სავაჭრო კომპლექსები სასიამოვნო მოულოდნელობაა მათთვის, ვინც საქართველო წლები წინ დატოვა. თუმცა, ქალაქთან გაშინაურების შემდეგ, განწყობა ნელ-ნელა იცვლება. ემოციურ შეძახილებს – „როგორ გაულამაზებიათ ქალაქი“ – ცვლის გაკვირვებული კითხვები – „ადრე აქ ძველი, ლამაზი შენობა იყო, რა იქნა?“ ან „ამ პარკის გაუქმება რატომ დასჭირდათ?“

ძველი ქალაქისა და კულტურული მემკვიდრეობის დამცველები ამბობენ, რომ თბილისი თვალსა და ხელს შუა იცვლება. ქალაქის ისტორიული იერსახე თანდათან კარგავს ავთენტურობას და იმ უნიკალობას, რის გამოც თბილისს ლამაზ ქალაქად იხსენიებდნენ.

რაც მთავარია, უკანონოდ თითქმის არაფერი ხდება. ქალაქში რაიმე ურბანული პროექტის განხორციელებამდე, როგორც წესი, ძველი კანონმდებლობა საგანგებოდ იცვლება, ახალი კი ახალ პროექტს ერგება.

ამიტომ ურბანისტ აქტივისტებს სულ უფრო უჭირთ, ქალაქის იერსახის დასაცავად კანონმდებლობა მოიშველიონ და ხელისუფლებასთან სამართლებრივი დავა გამართონ.

ისტორიები, რომელთაც ჟურნალის ამ ნომერში მოვუყარეთ თავი, „ლიბერალის“ ძველ ნომრებში უკვე გავაშუქეთ. თუმცა ამჯერად კანონდარღვევების, კანონის უგულებელყოფის თუ კანონმდებლობის შეცვლისა და ბიზნესინტერესებზე მორგების შემთხვევები ერთად დავალაგეთ იმისთვის, რომ გვეჩვენებინა – როგორ შენდება ახალი თბილისი.

დავით აღმაშენებლის გამზირი - ქუჩა-ძეგლი

ფოტო: მარიამ ქურციკაძისა

2010 წელი კიდევ ერთი გრანდიოზული ურბანული პროექტის პრეზენტაციით დაიწყო. დავით აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის გეგმა საზოგადოებას პირადად პრეზიდენტმა წარუდგინა. 70-მდე სახლის გამაგრება და გადახურვა, ფასადების განახლება, ბაღებისა და სკვერების გამწვანება, გარე განათების დამონტაჟება, მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლა და ტროტუარების მოწყობა – ეს სამუშაოები თამარ მეფის გამზირიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე არსებულ მთელ პერიმეტრზე დაიგეგმა.

„აქ წარმოდგენილი პროექტები მეტყველებს იმაზე, რომ დავით აღმაშენებლის გამზირს იერსახე დაუბრუნდება, რითაც ის ძალიან ჰგავს პარიზს“, – აღნიშნა სააკაშვილმა პროექტის პრეზენტაციისას.

ხელოვნებათმცოდნეები და არქიტექტორები ფიქრობენ, რომ აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციისას მთავარი პრობლემა სწორედ ამ ამბიციის გამო გაჩნდა – ის აუცილებლად უნდა დამსგავსებოდა პარიზს. ამ ხელოვნურად დასახული მიზნის მისაღწევად კი აღმაშენებლის გამზირზე, ურბანისტთა მტკიცებით, სრულიად არასაჭირო დეტალების დამონტაჟება გახდა საჭირო, მაგალითად, როგორიც იყო ისტორიულ შენობებზე მანსარდების დამატება.

თუმცა, რეაბილიტაციის პროცესი რომ არ გასცდენოდა კანონიერების ფარგლებს, კანონში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მორიგი ცვლილება შევიდა და მუხლში, რომელიც ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების ტიპებს ეხება, დაემატა ქვეპუნქტი – „უძრავი ძეგლის ცვლილება“: ეს ნიშნავს ძეგლის ცვლილებას, როგორიცაა მისი „მოცულობის შეცვლა, რაც შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ აკნინებს, ან არ ჩრდილავს ძეგლის ისტორიულ და კულტურულ ღირებულებას, ან ხელს არ უშლის მის სათანადო ინტერპრეტაციასა და დაფასებას“.

„ახალი ქვეპუნქტის ეს განმარტება ძალიან ბუნდოვანია. მაგალითად, რა კრიტერიუმით განისაზღვრება, უშლის თუ არა ხელს ძეგლის ცვლილება მის ინტერპრეტაციას, ან ვინ აფასებს საერთოდ უშლის თუ არა?! ვერ შეედავები, დაადგამს მანსარდს, თქვენ ეტყვით,

დინამოს პროექტები

რომ არ მოგწონთ, მაგრამ ის დაიწყებს მტკიცებას, რომ ლამაზია, თქვენ კი ვერ უჩივლებთ, რადგან კანონი მას არ ზღუდავს და ვარიაციების საშუალებასაც აძლევს“, – აცხადებს „ჰამქრელი“ თამარ ამაშუკელი და დასძენს – სწორედ ამ გაურკვეველი მუხლის – „უძრავი ძეგლის ცვლილების“ – ქვეშ გავიდა მთელი აღმაშენებელი“.

„ჰამქრელები“ განმარტავენ, რომ ეს ცვლილება ინვესტორს მართლაც სრულ თავისუფლებას აძლევს. ახლა უკვე ნებისმიერ მათგანს შეუძლია, მარტივად ჩამოშალოს ფასადი და თავიდან გადაღებოს, შენობას დაადგას მანსარდები, სართულები, მიაშენოს ოთახები.

„ის, რაც აღმაშენებელზე გააკეთეს, არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა წარმართთო რესტავრაცია და როგორ შეიძლება, გადააქციო ძეგლი არაღირებულ ობიექტად. აქ დაანგრიეს და შეცვალეს ის ყველაფერი, რის გამოც აქაურობა ღირებული იყო. აღმაშენებლის გამზირი კი ფასობდა მისი ავთენტურობის გამო. აქ შენარჩუნებული იყო ძველი ეპოქის სტილი, მასალა, რეაბილიტაციის პროცესში კი ეს ყველაფერი დაარღვიეს და თავიანთი აზრით, შეალამაზეს. როგორ შეიძლება ელიავას მუშა ხსნიდეს ფასადს და შემდეგ იაფფასიანი ცემენტით ღესავდეს კედლებს?“ – დასძენს თამარ ამაშუკელი.

სწორედ საკანონმდებლო ცვლილების გამო, საზოგადოების ნაწილს, რომელიც აღმაშენებლის გამზირზე მიმდინარე სამუშაოებს აპროტესტებდა, საკუთარი არგუმენტების დაცვა გაუჭირდა. თუმცა, პროტესტს რამდენიმე ხელშესახები შედეგი მაინც მოჰყვა, მათ შორის ყველაზე დიდ მიღწევად ხელოვნებათმცოდნეები ყოფილ კინოთეატრ „აპოლოს“ ასახელებენ, რომელიც, საბოლოო ჯამში, სიმაღლეში ისე აღარ გაზარდეს, როგორც ეს პროექტში ეწერა.

აღმაშენებლის გამზირზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დღემდე მიმდინარეობს. გეგმის მიხედვით, სახეცვლილი ისტორიული გამზირი, რომელიც თითქმის თავიდან ბოლომდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გახლდათ, 26 მაისს საზეიმოდ უნდა გაიხსნას.

დიღმის პარკის მსგავსად, თბილისის კორტებს გასხვისებისა და მშენებლობებისგან სამი მნიშვნელოვანი სტატუსი იცავდა. პირველი „სპორტულ-რეკრეაციული“ ზონის სტატუსი იყო. გარდა ამისა, ეს ადგილი ეკუთვნოდა თბილისის ისტორიულ ზონასაც და ის ითვლებოდა „ისტორიულად გაუნაშენიანებელ“ ტერიტორიად, სადაც მშენებლობა იკრძალებოდა.

2010 წლის დეკემბერში კანონში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ სწორედ ეს მუხლი შეიცვალა და ახლა უკვე თბილისის მერიას შეუძლია „გასცეს ნებართვა ისეთი ტერიტორიის განაშენიანებაზე, რომელიც ისტორიულად არ ყოფილა განაშენიანებული“.

ამ საკანონმდებლო ცვლილებიდან მალევე, თბილისის კორტების ტერიტორიაზე მშენებლობა დაიწყო. ოფიციალური ინფორმაციით, აქ იუსტიციის სამინისტროს ახალი დაწესებულება – იუსტიციის სახლი აშენდება, რომელიც თბილისელებს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება და დაინტერესებულ მოქალაქეებს სხვადასხვა სტრუქტურებიდან – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ეროვნული არქივიდან, აღსრულების ეროვნული ბიუროდან და და ნოტარიუსთა პალატიდან – ოპერატიულად მიაწვდის ინფორმაციას.

კორტებს იქ მასშტაბური მშენებლობის გაჩაღებისგან უკვე აღარ იცავს არც „სპორტულ-რეკრეაციული ზონის“ სტატუსი.

„ეს არის იმის მაგალითი, თუ როგორ ცვლიან ჩვენს ქალაქში კანონებს საკუთარი ქმედებების განსახორციელებლად. უმეტეს შემთხვევაში, ეს ასე ხდება: ოღონდ ინვესტორმა იყიდოს,

„ხომ შეიძლება, 21-ე საუკუნის თბილისი ისტორიული უბნების გარეთ ავაშენოთ და არ დავარღვიოთ კულტურული მემკვიდრეობა. რა საჭიროა, მაინცდამაინც კორტებთან, ან კალაში ჩადგა თანამედროვე კორპუსი?“

ფოტო: მარიას ქერანავილი

მაღალსართულიანი კორპუსები ისტორიულ უბნებში

და რასაც ის მოისურვებს, ყველაფერს ვაკეთებთ“, – ამბობს ხელოვნებათმცოდნე, ცირა ელისაშვილი და დასძენს, რომ კორტების შემთხვევაში არა კერძო ინვესტორისთვის, არამედ სრულიად ღიად – სახელმწიფოს ინტერესების გასატარებლად შეიცვალა კანონი.

წინათ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებულ პარკში 9 ღია და 2 დახურული კორტი იყო განთავსებული. აქაურობა მწვანე საფარითაც გამოირჩეოდა: 180 მუქწიწვოვანი და ეგზოტიკური ხე, მათ შორის, ჩინური აკაცია, იშვიათი ჯიშის პალმა, მუხა, წიფელი და ა.შ. ახლა კორტების ტერიტორიაზე ამ ხეების ნაწილი უკვე გაჩეხილია, ტერიტორია კი ღობითაა შემოსაზღვრული.

იმ რეკრეაციული და ეკოლოგიური ფუნქციის გარდა, რომელსაც ეს ადგილი იუსტიციის სახლის აშენების შემდეგ დაკარგავს, ურბანისტები თბილისის ლანდშაფტის დარღვევაზეც ღელავენ: კორტებთან აშენებული ნაგებობებით მტკვარზე გასასვლელი იკეტება. „ასე ხომ ვიზუალურად ვკეტავთ სივრცეს. ეს ადგილი ზუსტად ისე დაფარავს ყველაფერს, როგორც „ავლაბრის“ მეტროსთან მდგარი კორპუსი მალავს მის უკან მდებარე ქედს“, – ამბობს ცირა ელისაშვილი.

თბილისის შუაგულში, ისტორიულ ზონაში აგებული კიდევ ერთი სახელმწიფო დაწესებულება თბილისის „დეცენტრალიზაციის პოლიტიკასაც“ ეწინააღმდეგება. „ამ წამოწყების კარგი მაგალითი იყო შსს-ს შენობის გადატანა აეროპორტის გზატკეცილზე. ხომ შეიძლება, 21-ე საუკუნის თბილისი ისტორიული უბნების გარეთ ავაშენოთ და არ დავარღვიოთ კულტურული მემკვიდრეობა; გავიტანოთ გარეთ ახალი არქიტექტურა და არქიტექტორებს ფანტაზიის თავისუფლება მივცეთ. ეს იქნება 21-ე საუკუნის თბილისი. რა საჭიროა, მაინცდამაინც კორტებთან, ან კალაში ჩადგა თანამედროვე კორპუსი?“ – ამბობს „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელი თამარ ამაშუკელი.

2008 წელს თბილისის მერიასთან არსებულმა ზონალურმა საბჭომ ახალი დადგენილება მიიღო: თბილისის ნებისმიერ რაიონში მაღალი შენობის აგების მსურველ კერძო თუ იურიდიულ პირს სპეციალური კოეფიციენტის შესყიდვა შეუძლია.

კოეფიციენტი – ეს კანონით განსაზღვრული ნორმაა, რითაც ახალი შენობების სიმაღლე რეგულირდება იმ კონკრეტული უბნის არქიტექტურის გათვალისწინებით, რომელშიც ის უნდა აშენდეს. ეს რეგულირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისტორიულად განაშენიანებულ ზონებში იყო.

თუმცა მას შემდეგ, რაც „კოეფიციენტის“ შესყიდვა გახდა შესაძლებელი, გრიბოედოვის ქუჩაზე, სადაც მანამდე ხუთსართულიანზე მაღალი შენობის აგება იკრძალებოდა, კომპანია „უორვიკ ესტეიტ ლიმიტედი“ ახლა შვიდსართულიან ნაგებობას სრულიად კანონიერად აღმართავს.

გარდა ამისა, სწორედ ეს კანონი უმაგრებს ზურგს პირველი გიმნაზიის უკან აღმართულ 12-სართულიან შენობასაც, და ასევე მშენებლობას, რომელიც ლესელიძის ქუჩისა და თავისუფლების მოედნის კუთხეში მიმდინარეობს.

ერთადერთი, რაც კოეფიციენტის შესასყიდად და საჭირო ნებართვის მოსაპოვებლად, მშენებელ კომპანიას ახლა ევალება, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან არსებულ ზონალურ საბჭოში დოკუმენტაციის წარდგენაა.

ამ დეტალებს ახლა არქიტექტურის შესახებ კანონზე თანდართული აქტი არეგულირებს და მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობას ისტორიულ უბნებშიც სრულიად ლე-

ფოტო: ბარბარა ქოროლელი

გიტიმურს ხდის. თუმცა, ხელოვნებათმცოდნეების თქმით, ეს პრაქტიკა, ამავე დროს, რადიკალურად ეწინააღმდეგება მეორე კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, დღემდე მკაცრი დაცვის ზონაში შედის მთაწმინდის რაიონი და ასევე ზემელსა და აბანოთუბანს შორის მოქცეული ტერიტორიაც.

გამოდის, რომ თუ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში გაშენებულ ისტორიულ უბნებში მრავალსართულიანი ნაგებობების ჩადგმა ერთი კანონის მიხედვით დასაშვებია, ამით ირღვევა მეორე, რომელიც ისტორიულად დაცული ზონების ახალი განაშენიანებით გადაფარვას კრძალავს.

■ თბილისის ისტორიული ძეგლები უკვე აღარ მიეკუთვნება ვიზუალური და ფიზიკური დაცვის ზონას, რაც ინვესტორებს მაქსიმალურ თავისუფლებას ანიჭებს.

სართულების განსაზღვრისთვის საჭირო კოეფიციენტის მინიჭების საკითხს, საბოლოო ჯამში, კულტურის სამინისტროსა და მერიის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ერთობლივი საბჭო იღებს. ამიტომ, ხელოვნებათმცოდნეები მიიჩნევენ, რომ ქალაქის ისტორიული ზონების ბედიც არა კანონზე, არამედ ამ კომისიის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

თბილისის ისტორიული ძეგლების მაღალსართულიანი შენობებით გადაფარვას კიდევ ერთი, 2008 წლით დათარიღებული საკანონმდებლო ცვლილება უწყობს ხელს: ამ ინიციატივის მიხედვით, თბილისის ისტორიული ძეგლები უკვე აღარ მიეკუთვნება ვიზუალური და ფიზიკური დაცვის ზონას, რაც დეველოპერებსა და ინვესტორებს მშენებლობების დაგეგმვისას მაქსიმალურ თავისუფლებას ანიჭებს. მაგალითად, თბილისის პირველი გიმნაზია დღემდე ისტორიულ ძეგლად მიიჩნევა, თუმცა, თბილისში ვიზუალური და ფიზიკური დაცვის არეალი ახლაც რომ იყოს განსაზღვეული, მერია სკოლის მიმდებარედ მაღალსართულიანი შენობის აღმართვის უფლებას არავის მისცემდა.

სწორედ ვიზუალური და ფიზიკური დაცვის ზონების შექმნით ევროპის ბევრ ქვეყანაში ისტორიულ უბნებსა და ძეგლებს მაქსიმალური სიზუსტით ინარჩუნებენ. მაგალითად, უძრავი ქონების ყიდვის შემთხვევაში, ხშირად მყიდველი ბინასთან ერთად, ხედსაც ყიდულობს. კულტურული ძეგლების შესახებ საკანონმდებლო გარემო ევროპის ბევრ ქვეყანაში ისეა მოწესრიგებული, რომ თითოეულ მესაკუთრეს აძლევენ გარანტიას – მაგალითად, მომავალი 50 წლის განმავლობაში ხედი მისი ფანჯრიდან, რომელიც ურბანულ ფასეულობას წარმოადგენს, არ შეიცვლება.

პურის მოედანი

მეცხრამეტე საუკუნეში დაპროექტებულ პურის მოედანზე, ჯერ კიდევ 3 წლის წინ, იდგა ორი სახლი, რომელთაც კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ჰქონდათ. ისინი მოედნის ავთენტურობას განსაზღვრავდნენ და ძველი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდნენ. ურბანისტები განსაკუთრებით გამოჰყოფდნენ ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც ე.წ. „სამყურა აივანი“ ჰქონდა – ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი ურბანული აქსესუარი, მაგრამ დღეს უკვე იშვიათობად ქცეული. ექსპერტების თქმით, ეს სახლი პურის მოედანზე, თუნდაც ამ აივნის გამო, უნდა მდგარიყო.

თუმცა 2008 წელს პურის მოედნის №1-სა და №2-ში მდებარე ძეგლი-სახლები დაინგრა. ნგრევის მიზეზი, ერთი შეხედვით, სიძველე და მათი ცუდი მდგომარეობა გახდა, ურბანისტთა მტკიცებით კი – ინვესტორის განზრახ ჩადენილი დანაშაული და თბილისის მერიის გულგრილობა.

ხსენებული ორი სახლი 2008 წელს გასხვისდა. კანონის მიხედვით, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს იცავს, ინვესტორს შენობების დემონტაჟის უფლება არ ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენლების თქმით, ერთ-ერთი სახლის მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. ამიტომ სახლების დემონტაჟის უფლება ინვესტორმა სხვა გზით „მოიპოვა“. „ჰამქრელების“ მტკიცებით, კომპანიის წარმომადგენლებმა ეზოში წყლის ვინტილი გახსნეს და წყალი გაუშვეს. წყალი ერთი თვის განმავლობაში სახლების სარდაფებში ჩაედინებოდა. გარდა ამისა, სახლს საყრდენებიც გამოაცალეს. „მერიის ზედამხედველობის სამსახურს წერილს წერილზე ვწერდით, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყეს“, – აცხადებს „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელი ცირა ელისაშვილი.

როგორც „ტფილისის ჰამქარში“ ამბობენ, ეს რთულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლის თავიდან მოშორების აპრობირებული მეთოდია. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, არც სტატუსის მოხსნაზე იდავო ურბანისტებთან, არც მოიძიო ექსპერტები, რომლებიც იტვირთავენ პასუხისმგებლობას და იტყვიან, რომ შენობა ღირებული აღარაა და ძეგლი, უბრალოდ, დანგრევის პირას მიიყვანო. შემდეგ კი, როცა შენობა უკვე ადგილობრივი მოსახლეობისთვის გახდება სახიფათო, ინვესტორს შენობის დემონტაჟში დაეხმარო.

ცირა ელისაშვილის თქმით, პურის მოედანზე სწორედ ეს მოხდა – ორი ძეგლი ისე განადგურდა, რომ დამნაშავე არც მერიაა და არც – ინვესტორი: ძეგლებს დასანგრევად ინვესტორი ბულდოზერით არ მიდგომია – სახლები თვითონ დაინგრა. მერიას დემონტაჟის უფლება არ გაუცია, თუმცა არც ზედამხედველობის სამსახური გაუგზავნია მდგომარეობის გადასამოწმებლად.

რა აშენდება ისტორიულ პურის მოედანზე, ჯერ არავინ იცის. ინვესტორის პირველი პროექტი ქალაქის არქიტექტურის სამსახურმა არ დაამტკიცა. დღეს კი, როცა შენობები დანგრეულია, კომპანიას შეუძლია, თავისუფლად იმოქმედოს.

ფოტო: ბარბარა ქორბაშვილი

გუდიაშვილის ბაღი

ურბანისტები და არქიტექტორები ამტკიცებენ, რომ კანონდარღვევის თავიდან აცილების მიზნით, ინვესტორი ხშირად მიმართავს მსგავს ხერხს – ელოდება, როდის დაინგრევა შენობა, ან დანგრევაში მას თვითონაც „ეხმარება“, თბილისის ხელისუფლება კი უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით, ნებას რთავს კომპანიას, შენობის დემონტაჟი განახორციელოს.

„ტფილისის ჰამქარში“ ამბობენ, რომ ასე მოხდა გუდიაშვილის ბაღის გარშემო განთავსებული ისტორიული შენობებისა და იერუსალიმის მოედნის შემთხვევაშიც. „ახლა ინგრევა გუდიაშვილის №8-ში მდებარე სახლი, ლერმონტოვის და გუდიაშვილის ქუჩების კუთხეში მდებარე შენობაზეც ამბობენ, რომ დიდხანს ვეღარ გაძლებს. ყველა თვალს ხუჭავს და სულგანაბული ელოდება – სახელმწიფოც და ინვესტორიც – როდის დადგება ეს დღე, როდის ჩამოიშლება თავისით, მაგალითად, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის შენობა გუდიაშვილის მოედანზე, რადგან ამ ძეგლს, რომელიც ყველა წიგნში, მარშრუტსა და სახელმძღვანელოშია შესული, მართლა ვერაფერს უშვრებიან“, – ამბობს თამარ ამაშუკელი.

"იმელის" შენობა

ფოტო: მაია ქორიაშვილი

ერთ-ერთი საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, შესაძლებელი გახდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაყიდვა. ურბანისტები ამ ცვლილებას არ აპროტესტებენ, თუმცა ამტკიცებენ, რომ საჭიროა კონკრეტული ძეგლის გაყიდვისას მყიდველ კომპანიასთან სახელმწიფომ საკმაოდ მკაცრად გაწერილი ხელშეკრულება დადოს.

„მთელ მსოფლიოში ძეგლი სწორედ იმიტომ, რომ ძეგლია, ღირს იაფი. შეიძლება, ერთ ევროდაც კი იყიდო შენობა, მაგრამ მას თან ვალდებულებების უზარმაზარი პაკეტი მოჰყვება – აუცილებლად უნდა გაუკეთო რესტავრაცია, რაც ძალიან ძვირი ჯდება, არ შეუცვალო ფასადი და სტრუქტურა... ქალაქს უღირს, რომ ძეგლი სიმბოლურ ფასად გაყიდოს, ანდა ფული საერთოდ არ აიღოს, მაგრამ სამაგიეროდ, ეცოდინება, რომ შენობა პატრონს ჩააბარა და ის მოუვლის. ჩვენთან 1 ევროდ კი არა, ის უნდათ, რომ რაც შეიძლება ძვირად გაყიდონ, ვალდებულებებს კი ინვესტორს ზოგჯერ საერთოდ არ აკისრებენ", – ამბობს „ტფილისის ჰამქრის" წარმომადგენელი თამარ ამაშუკელი და დასძენს, რომ კულტურული მემკვიდრეობის მიმართ გამოჩენილი გულგრილობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი „იმელის" შენობაა, რომელიც მერიამ ჯერ უკანონოდ გაყიდა (მაშინ ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა ძეგლის სტატუსის მქონე შენობის გასხვისება), შემდეგ კი სტატუსი თითქმის დაუსაბუთებლად მოუხსნა.

ზოგადად, ძეგლის სტატუსის მოხსნა ორი მთავარი მოტივითაა შესაძლებელი: თუ ძეგლი ისეა განადგურებული, რომ შეუძლებელია მისი პირვანდელი სახით აღდგენა, ან თუ უხეში ჩარევის შედეგად ძეგლს ის მახასიათებლები დაეკარგა, რომელთა გამოც მას ძეგლის სტატუსი ჰქონდა. „იმელი", რომელიც გასხვისებამდე პერიოდში, უცვლელი სახით იდგა რუსთაველის გამზირზე, არც ერთ ამ კატეგორიაში არ ჯდებოდა. მიუხედავად ამისა, ცნობილი არქიტექტორის, ალექსეი შჩუსევის მიერ აგებულ შენობას, რომელიც ხელოვნებათმცოდნეების თქმით, თავიდან ბოლომდე ძეგლი იყო – ინტერიერ-ექსტერიერის, აქსესუარებისა და განლაგების თვალსაზრისითაც კი – სტატუსი 2007 წლის ივნისში მაინც მოუხსნეს.

კულტურული მემკვიდრეობის მიმართ გამოჩენილი გულგრილობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი „იმელის" შენობაა.

ფორმალური იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომა, რომელზეც, წესით, კულტურის მინისტრს გადაწყვეტილების მიღებამდე სპეციალისტების რეკომენდაციები უნდა მოესმინა. არქიტექტორებისა და ხელოვნებათმცოდნეების უმრავლესობა ძეგლის სტატუსის მოხსნას წინ აღუდგა, კენჭისყრის პროცედურა კი ჩაიშალა, თუმცა, გადაწყვეტილება სტატუსის მოხსნის შესახებ კენჭისყრის გარეშე მიიღეს. „იმელი" რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი აღარ არის, ეს, ალბათ, მთავრობის გადაწყვეტილება იყო", – ამბობს კოკა ამირეჯიბი „ლიბერალთან" ინტერვიუში, 2010 წელს.

დღეს „ტფილისის ჰამქრის" წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ თბილისის მერიაცა და „იმელის" დღევანდელი მეპა-

ტრონეც შენობის დანგრევას უმოქმედოდ ადევნებენ თვალს. ეს ის შემთხვევაა, როცა საზოგადოების აღშფოთების თავიდან აცილების მიზნით, მის პირდაპირ დემონტაჟს ერიდებიან, თუმცა, არც შენობის გადასარჩენად აკეთებენ რამეს.

მარტში პარლამენტში გამართულ სამთავრობო კვირეულზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ საზოგადოებას განუცხადა, რომ რუსთაველზე, „იმელის“ შენობის ადგილას, „კემპინსკის“ 38-სართულიანი გამჭვირვალე სასტუმრო აშენდება. მინისტრმა დეპუტატებს თვალსაჩინოებისთვის სასტუმროს მაკეტიც წარუდგინა. „ტფილისის ჰამქრის“ ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით კი, ამ პროექტს, სავარაუდოდ, იტალიელი არქიტექტორი, მასიმილიანო ფუქსასი გააკეთებს, რომელიც ასევე რიყეზე დაგეგმილ მუსიკისა და დრამის თეატრსა და საგამოფენო დარბაზსაც აპროექტებს. „ეს არქიტექტორი შუშის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულითაა ცნობილი. „იმელის“ შემთხვევაშიც ვიცი, რომ გვერდითა ფასადების დატოვებას, შუაში კი „ივერიაზე“ მაღალი შუშის შენობის ჩადგმას აპირებენ. ეს ფასადის შენარჩუნებაა? ამას ხომ ისევ, ჯობია, დაანგრიონ და ეს კიჩი არ შექმნან“, – ამბობენ დღეს კულტურული მემკვიდრეობის დამცველები.

„ზარია ვოსტოკა“

სპეციალისტების თქმით, ძეგლის სტატუსის მოხსნის გამო დაზარალდა „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის ყოფილი შენობაც. თუმცა, ამ შემთხვევაში საზოგადოებრივმა პროტესტმა შედეგი გამოიღო და ძეგლის წინა და გვერდითი ფასადი დანგრევას მაინც გადაურჩა. „კომპანიამ შენობის დემონტაჟი დაიწყო და მივხვდით, რომ ამის უფლება სახელმწიფომ მისცა, რადგან სხვაგვარად არ ხდება. თბილისში ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ თუ რამეს აკეთებ, მწვანე შუქს ხელისუფლება გინთებს. ხმა რომ არ ამოგვეღო, 2 კვირაში „ზარია ვოსტოკას“ ადგილზე არაფერი აღარ იქნებოდა“, – ამბობს „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელი თამარ ამაშუკელი.

მირზა შაფის ქუჩა

მირზა შაფის ქუჩის შემთხვევა ქალაქის დამცველთა ყურადღებას სახელმწიფო გადაწყვეტილებაზე მორგებული კანონმდებლობით კი არა, კანონმდებლობის უხეში დარღვევით იპყრობს. ადამიანები, რომლებიც ამ ქუჩის ისტორიას იცნობენ, ამტკიცებენ, რომ რეაბილიტაციის დროს კანონი მრავალჯერ დაირღვა. თუმცა ამ დარღვევების გამო, ქუჩის დემონტაჟში მონაწილე კომპანიისთვის პასუხი არავის, მათ შორის, არც თბილისის მერიას მოუთხოვია. პირიქით, დემონტაჟიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ იმავე კომპანიის წარმომადგენლებს თბილისის მერიამ რეკონსტრუქციისთვის სხვა უბნებიც ჩააბარა.

მირზა შაფის ქუჩა ძველ თბილისში, მეტეხსა და ნარიყალას შორის ფერდობზე, ისტორიულად მკაცრი დაცვის ზონაში, 34 900 კვ. მ.-ის ფართობზე იყო გაშენებული. მის უნიკალობას ორი საუკუნისწინანდელი არქიტექტურა, ურბანული განაწილება და ლანდშაფტიც განსაზღვრავდა.

შპს „აპოლო“ მირზა შაფის ქუჩაზე 2008 წელს გამოჩნდა და იქ რეკონსტრუქციის დასაწყებად რამდენიმე სახლი იყიდა, იმავე წლის ნოემბერში კი სახლების დანგრევაც დაიწყო.

ფოტო: მარიკა ქორიაშვილი

დღემდე გაურკვეველი რჩება, რა ნებართვის საფუძველზე დაანგრია შპს „აპოლომ“ მირზა შაფის ქუჩის შენობები. შენობის დემონტაჟის ნებართვას, წესით, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური გასცემს. თუმცა იქ ადასტურებენ, რომ ქუჩაზე მდებარე სახლების, ასევე №16 ნომერში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დემონტაჟის ნებართვა მათ სამსახურს არ გაუცია.

მოსახლეობასთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან ისიც ირკვევა, რომ „აპოლომ“ თვითნებური დემონტაჟის დროს ისეთი შენობებიც

„აპოლომ“ თვითნებური დემონტაჟის დროს ისეთი შენობებიც დაანგრია, რომელთაც ჯერ არ ფლობდა. ასეთებს შორის იყო მირზა შაფის № 16-ში მდებარე სახლი, რომელსაც ისტორიული ძეგლის სტატუსი მოხსნილიც კი არ ჰქონდა.

დაანგრია, რომელთაც ჯერ არ ფლობდა. ასეთებს შორის იყო მირზა შაფის № 16-ში მდებარე სახლი, რომელსაც ისტორიული ძეგლის სტატუსი მოხსნილიც კი არ ჰქონდა. ეს კიდევ ერთი უხეში კანონდარღვევა იყო.

მირზა შაფის მცხოვრებლები 2010 წელს „ლიბერალთან“ ინტერვიუში იხსენებენ, რომ იქ სახლების დემონტაჟი 2008 წლის 15 ნოემბრიდან 4 დეკემბერამდე გრძელდებოდა და დღე-ღამეში 4-5 სახლს ანგრევდნენ.

„აპოლო გ.ს.“-ს დირექტორი შოთა ევგენიძე მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს 2008 წლის 10 დეკემბერს ოფიციალურად აცნობებს, რომელი სახლები დაანგრია, მათი „მიწერილობების შესრულების მიზნით“. ევგენიძის წერილიდან ჩანს, რომ რამდენიმე სახლი მის კომპანიას „შემოენგრა“, რაც თითქოს წინასწარ დაგეგმილი არ ჰქონიათ, ხოლო დანარჩენი სახლების დემონტაჟი იმიტომ გახდა საჭირო, რომ ისინი სხვა სახლებს უქმნიდნენ საფრთხეს.

თბილისის მერიამ მირზა შაფის ქუჩაზე შექმნილი გაურკვევლობების გამოკვლევის ნაცვლად, „აპოლო“-სთან თანამშრომლობა გააგრძელა და 2008 წელს ახალ საინვესტიციო კომპანიასთან ერთად, სწორედ მას მიანდო მირზა შაფის განაშენიანების პროექტი. ამ პროექტის დამტკიცებას კულტურის სამინისტროსა და მერიის ერთობლივი საბჭოს რამდენიმე წევრი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა იმ მიზეზით, რომ იგი „უმასშტაბო ბუტაფორიულ გარემოსა“ და „კიჩურ ეკლექტურობას“ ქმნიდა. მათი კრიტიკული განწყობის გამო, პროექტის დამკტიცება რამდენეჯერმე გადაიდო და საბოლოოდ, გეგმა მაშინ დამტკიცდა, როცა საბჭოდან მოწინააღმდეგე წევრები დაითხოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონისა და სპეციალისტების აზრის უგულებელყოფის შედეგად, მირზა შაფის პროექტი ახლა უკვე დამტკიცებულია, ამ ისტორიულ უბანში მშენებლობა დღემდე არ განახლებულა. მირზა შაფიდან გასახლებული თბილისელები კი დაპირებულ ბინებს დღემდე ელიან.

ლეონიძის ქ. N2

ფოტო: მარიკა ქორიძეშვილი

მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში ლეონიძის 2 ნომერში 2-სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა. ძველი ფოტომასალის მიხედვით, წლების შემდეგ, სახლს კიდევ ერთი სართული დაემატა, თუმცა შენობა მოედნის ურბანულ ქსოვილს მაინც ბუნებრივად მოერგო და პაექრობას არ უწევდა არც მოედნის ყველაზე დიდ და საინტერესო ნაგებობას – საკრებულოს ახლანდელ შენობას.

სახლი კიდევ უფრო ფასეული მას შემდეგ გახდა, რაც 1991 წელს, თბილისის ომის დროს, ყოფილი სასახლის შტაბის შენობიდან ლეონიძის კუთხემდე არსებული შენობები დაიწვა; შემდეგ კი ლესელიძის ქუჩისა და თავისუფლების მოედნის კუთხეში არსებული ძეგლი-შენობა ავარიულობის გამო დაინგრა.

ხელოვნებათმცოდნეები და არქიტექტორები დიდხანს ითხოვდნენ ლეონიძის ქუჩის ძველი, მაგრამ საკმაოდ კარგ მდგომარეობაში მყოფი ნაგებობისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებას, მაგრამ სახლმა ეს სტატუსი მაინც ვერ მიიღო, ამიტომ 2007 წელს ინვესტორ კომპანიას მისი დემონტაჟისთვის საჭირო კანონიერი ნებართვის მოპოვება არ გასჭირვებია.

საბოლოოდ, დეველოპერულმა კომპანია „რედიქსმა“ ლეონიძის №2-ში მდებარე სახლში ბიზნეს-ცენტრის გახსნა დაგეგმა.

ლეონიძის N2-მა ძეგლის სტატუსი ვერ მიიღო. ამიტომ ინვესტორ კომპანიას მისი დემონტაჟისთვის საჭირო კანონიერი ნებართვის მოპოვება არ გასჭირვებია.

მოსახლეობის, არასამთავრობო სექტორისა და პროფესიონალების აქტიური პროტესტის შედეგად კი, მხოლოდ ის მოხერხდა, რომ მფლობელმა პროექტი შეცვალა და შვიდსართულიანი შენობის ნაცვლად, 4 სართული დატოვა.

დღეს ლეონიძის 2 ნომერს, რომელსაც მისამართიც შეეცვალა და „ტაბიძე 1“-ის სახელით გახდა ცნობილი, „ბანკი რესპუბლიკა“-ს სათავო ოფისია განთავსებული. ბიზნეს-ცენტრის პრეზენტაციაზე „რედიქსის“ გენერალურმა დირექტორმა ლაშა პაპაშვილმა აღნიშნა, რომ შენობა ტექნიკური მახასიათებლებით სრულად შეესაბამება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს, თუმცა ახალი ნაგებობების შექმნისას აუცილებელია ქალაქის კოლორიტული იერსახის შენარჩუნებაც.

ხელოვნებათმცოდნეების ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ამ პროექტით სწორედ ძველი უბნის კოლორიტული იერსახის უგულებელყოფა მოხდა. ახლად აგებული შენობა მართალია, ძველის ასლს წარმოადგენს, მაგრამ ღირებული კულტურული მემკვიდრეობა უკვე აღარ ჰქვია. „ჩვენ დავანგრიეთ ძეგლი და ავაშენეთ ბუტაფორია“, – ასკვნის „ჰამქრელი“ ცირა ელისაშვილი.

ძველი თბილისის კულტურული ძეგლების დამცველების თქმით, ლეონიძის №2-ის ისტორია იმის მაგალითია, თუ როგორ გაურკვეველ კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს სახელმწიფო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, როგორ არჩევს ძეგლსა და ინვესტორს შორის, ამ უკანასკნელს და როგორ ეხსნება ინვესტორ კომპანიას ხელ-ფეხი იმ შენობის დასანგრევად, რომელიც ქალაქის ისტორიის ნაწილია.

„ინტერკონტინენტალის“ ნაცვლად

სწორედ ძეგლის სტატუსის უქონლობა გახდა კოსტავას ქუჩაზე მდებარე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი შენობის გაყიდვის საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ეს შენობა საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არქიტექტურულ ნიმუშად მიიჩნევა, ექსპერტებმა კი ორი კვლევის საფუძველზე დაადგინეს ის, რომ შენობა სტატუსის მინიჭებას იმსახურებდა, ის კულტურულ მემკვიდრეობად მაინც არ აღიარეს.

„როცა ნაგებობას ძეგლის სტატუსი აქვს, ეს ინვესტორს ჩარჩოებს უქმნის. ყოველი შემთხვევისთვის უქმნიდა იმ დროს, როცა ეს შენობა გაიყიდა. იმ პერიოდში კანონში ძალიან მკაცრად იყო გაწერილი ყველაფერი. ამ ნაგებობას სტატუსი სწორედ ამიტომ არ მისცეს – ინვესტორისთვის რომ არ შეეკრათ ხელ-ფეხი, თან ასე, უსტატუსოდ, უფრო ძვირად გაჰყიდდნენ ობიექტს“, – ვარაუდობს თამარ ამაშუკელი.

დღეს სასტუმრო „ინტერკონტინენტალის“ მშენებლობა დროებით შეჩერებულია. თავდაპირველი გეგმის მიხედვით, ინვესტორს საბჭოთა ნაგებობის დანგრევა არ სურდა მას სასტუმრო რესტავრირებულ შენობაში უნდა განთავსებინა. თუმცა, ახლა როგორი გეგმაც არ უნდა დასახოს მფლობელმა კომპანიამ უსტატუსოდ დარჩენილი შენობის შესახებ, კანონით მის სურვილებს ვერავინ გააპროტესტებს.

დიღმის ტყე-პარკი

1934 წელს 75 ჰექტარზე გაშენებული და უნიკალური ნარგავებით სავსე დიღმის ტყე-პარკის 80 პროცენტი გაჩეხილ-გაყიდულია. ამ ტერიტორიაზე წლების განმავლობაში გაჩაღებული უკანონო მშენებლობები 2009 წელს თბილისის საკრებულოს დადგენილებამ დააკანონა. დადგენილებამ პარკის 8 პროცენტს რეკრეაციული ზონის სტატუსი მოუხსნა. არადა, სწორედ ეს სტატუსი - „რეკრეაციული ზონა 1“ - იყო ის ბერკეტი, რაც ტყე-პარკს გასხვისებისა და მშენებლობებისგან ქაღალდზე მაინც იცავდა. „საზოგადოებრივ საქმიანი ზონის“ სტატუსის მინიჭების შემდეგ კი პარკის ტერიტორიაზე სამრეცხაოების, რესტორნების, ბენზინგასამართი სადგურების გახსნა დაკანონდა.

დღეს 75 ჰექტრიდან პარკი მხოლოდ 20.5 ჰექტარზეა დარჩენილი, დანარჩენი ფართი კერძო პირების ხელშია. სტუდია „მონიტორის“ 2010 წელს ჩატარებული გამოძიების მიხედვით („ლიბერალი“, 26 ივლისი, 2010), პარკის ტერიტორიების მფლობელებს შორის არიან: პარლამენტის წევრი, „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატი კახაბერ ოქრიაშვილი, ამავე პარტიის მაჟორიტარი, კობა კურდღელაშვილი, „ნაციონალური მოძრაობისა“ და პარლამენტის წევრი, გიორგი გოგუაძე, რომლის შპს-მაც, რეკრეაციული სტატუსის შეცვლიდან 2 თვეში, 2009 წლის ნოემბერში, ტყე-პარკში თავისი ქონება „თიბისი ბანკს“ მიჰყიდა.

თუმცა ის, რაც 2009 წელს ხელისუფლებამ ოფიციალურად დააკანონა, 2003 წელს მათთვის შევარდნაძის მთავრობის ჩინოვნიკებთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი იყო. 2003 წელს პრეზიდენტი სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის პოსტიდან წერილობით ჰპირდებოდა დიღმელებს „ამ უნიკალური პარკის“, „როგორც თბილისში შემორჩენილი ერთ-ერთი უკანასკნელი მწვანე ზოლის“, შენარჩუნებას. ის იმავე წერილში „კორუმპირებულ მოხელეებს“ უწოდებდა თბილისის მერიის თანამშრომლებს, რომლებიც ქრთამის სანაცვლოდ პარკს ნაკვეთებად ჰყიდდნენ. „ამ ხალხის უკან დგანან ყოფილი და მოქმედი მინისტრები. მოვა დრო და, მექნება შესაბამისი ძალაუფლება, რათა უზრუნველვყო ამ ხალხის ციხეში მოხვედრა“, – ოცნებობდა საკრებულოს თავმჯდომარე.

თავის მხრივ, სააკაშვილის განცხადებიდან 4 წლის თავზე, თბილისის მერი, გიგი უგულავაც დებდა დიღმის ტყე-პარკის გადარჩენის პირობას: „აი, აქ არცერთი სახლი არ აშენდება, ამის გარანტიას მე გაძლევთ... და ვინც გაბედავს რაიმე აგურის დადებას, იმას ის აგური მოხვდება თავში“, – ამბობდა 2007 წელს თბილისის მერი გიგი უგულავა.

თუმცა 2009 წელს, „ერთიანი კომისიის“ საფუძველზე საკრებულომ დიღმის ტყე-პარკს სტატუსი შეუცვალა. იმ ადამიანებისთვის კი, რომლებიც წლების განმავლობაში იცავდნენ პარკს, უამრავი მცდელობის მიუხედავად, დღემდე უპასუხოდ რჩება კითხვები:

- ვის მიერ და როდის იყო შექმნილი „ერთიანი კომისია“, რომელმაც სტატუსის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილება საკრებულოს დაუსაბუთა;
- რატომ წერია საკრებულოს დასკვნაში, რომ სტატუსი შეეცვალა აღმაშენებლის ხეივნის გასწვრივ მდებარე ტყე-პარკის 1 ჰექტარს, ხოლო იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტში (საკრებულოს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად იუსტიციის სამინისტროში გაიგზავნა), სტატუსშეცვლილ ადგილად 8 ჰექტარია მითითებული;
- სტატუსის შეცვლის დროს რატომ უგულებელყო საკრებულომ საქართველოს პარლამენტის 1998 წლის დადგენილება, რომლის მიხედვითაც პარკების ხელყოფა და გასხვისება აკრძალულია, პარკების ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობა კი დაუყოვნებლივ დემონტაჟს ექვემდებარება.

რეკრეაციული ზონა აღარ არის:

2009 წელს ქალაქის საკრებულოში შესული მერის ინიციატივის საფუძველზე, საკრებულომ დიღმის ტყე-პარკთან ერთად რეკრეაციული ზონის სტატუსი მოუხსნა კიდევ 40-მდე ობიექტს: დიდი დიღმის მარცხენა და ლისის ტბის, მახათას მთის, გლდანის ტბის, გლდანისხევის, წყნეთის, კაიროს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებს, ზღვის უბანს, სოფელ ქვემო ლისს, ალექსიძის ქ. №1-ს, ნუცუბიძის ფერდობს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, ტაბახმელას, დიღმის ტყე-პარკის მნიშვნელოვან ნაწილს, დიღმის ტყე-პარკის მოპირდაპირე მხარეს, წყნეთის გზატკეცილის მიმდებარე და სხვა ტერიტორიებს.

ფოტო: ბარბარა ქორბაშვილი

ადამიანის უფლებები

წინასწარი პატიმრობა - უალტერნატივო განაჩენი

მიუხედავად კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და სტრასბურგის არაერთი მითითებისა, ქართული სასამართლოები კვლავ განაგრძობენ წინასწარ პატიმრობის დაუსაბუთებლად შეფარდებას და მისი ვადების გახანგრძლივებას. წინასწარი პატიმრობა დღემდე აღკვეთის ღონისძიების ყველაზე გავრცელებულ სახედ რჩება.

სალომე ცეცხლაძე, სტუდია „მონიტორი“

წინასწარი პატიმრობა

2007 წლის 6 ნოემბერს სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე „ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ“ მიღებულ ვერდიქტში დაადგინა, რომ ფაცურიას წინასწარი პატიმრობა უკანონოდ შეეფარდა და მის მიმართ კონვენციის მეხუთე მუხლის მესამე პუნქტი დაირღვა. სახელმწიფომ გია ფაცურიასთან 3 ათას 670 ევრო წააგო.

მანამდე, ქართული სასამართლოს საბოლოო განაჩენში მოსამართლე თემურ ტაბატაძემ მიუთითა, რომ ფაცურიას მიერ განხორციელებული ქმედებით რაიმე ზიანი არ დამდგარა. მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობა კი ასე დაასაბუთა: „ფაცურიას მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სიმართლის დადგენისთვის ხელის შეშლას. შესაძლო მკაცრი სასჯელის გათვალისწინებით, ის შეიძლება მიიმალოს“.

სტრასბურგის სასამართლომ ფაცურიას საქმეზე დაწერა: „სასამარ-

თლო გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს უფრო მყარი საფუძველი, რომელიც დაადასტურებდა არამხოლოდ გონივრული ეჭვის არსებობას, არამედ... გადაწონიდა ადამიანის თავისუფლების უფლებას“.

2009 წელს საქართველომ სტრასბურგში წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით საქმე გიორგი ნიკოლაიშვილთანაც წააგო.

„ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდებისას წინასწარ შემუშავებული სტანდარტული ფორმის ბრძანებებს იყენებს... სასამართლო დაეყრდნო და შემოიფარგლა პატიმრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების წინასწარ შემუშავებული და წინასწარ დაბეჭდილი შაბლონებით, მასში ჩაწერილი აბსტრაქტული დებულებებით“, – მითითებულია ნიკოლაიშვილის საქმეში.

იურისტებმა ნინო ხაინდრავამ, ბესარიონ ბოხაშვილმა და თინათინ ხიდაშელმა საქართველოში წინასწარი პატიმრობების შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი გააკეთეს. კვლევის მიხედვით, მოსამართლეები წინასწარი პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილებას ისე იღებენ, რომ ამას ჯეროვნად არც კი ასაბუთებენ.

„როდესაც მიმალვის საფრთხის მოტივით პირს აგზავნიან წინასწარ პატიმრობაში, სასამართლომ ძირისძირობამდე უნდა შეისწავლოს პირის ინდივიდუალური გარემოებები, მისი ცხოვრების წესი, აქვს თუ არა სამუშაო, პერმანენტული საცხოვრებელი. ჰყავს თუ არა პირს ოჯახი, შვილები, ხელი მიუწვდება თუ არა საზღვარგარეთ გამგზავრებაზე, უკონტროლო ტერიტორიებზე, რომელზე გადასვლის შემდგომაც ხელისუფლების ორგანოებს ამ პირის მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა გაურთულდება“, – განმარტავს ექსპერტი ადამიანის უფლებათა საკითხებში ბესარიონ ბოხაშვილი.

ადვოკატი მანანა კობახიძე ამბობს, რომ ასეთი ჩაძიება ქართულ სასამართლოს არ სჩვევია: „ხშირად ეტყობა კიდევაც, რომ ბრძანებაში რაღაც ტექსტები, უბრალოდ, „კოპი-პეისტით“ არის გადმოტანილი, იცვლება მხოლოდ ბრალდებულის გვარი და სახელი, იცვლება საქმის ნომერი და რიცხვი.“

კანონი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების შემდეგ სახეებს: გირაო, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა, პატიმრობა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

სასამართლოს არცერთ საქმეზე არ დაუსაბუთებია, თუ რატომ არ შეიძლებოდა სხვა, უფრო მსუბუქი ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება. ეს კი ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გარდა, ქართული კანონმდებლობის დარღვევაც არის.

2010 წელს აღკვეთის ღონისძიება თითქმის 15 ათას ადამიანს შეეფარდა. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას პატიმრობა, გირაო ან გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით შეეფარდა. აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეებს სასამართლომ მხოლოდ რამდენჯერმე მიმართა: პირადი თავდებობა შეეფარდა სულ 84 ადამიანს, მეთვალყურეობის ქვეშ გადაეცა 5 არასრულწლოვანი ბრალდებული, ხოლო 4 ადამიანს სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა შეეფარდა.

ქართულ სასამართლოს არცერთ საქმეზე არ დაუსაბუთებია, თუ რატომ არ შეიძლებოდა სხვა, უფრო მსუბუქი ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება. ეს კი ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გარდა, ქართული კანონმდებლობის დარღვევაც არის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მითითებულია:

„აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა“.

სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში წინასწარი პატიმრობების შეფარდებასთან დაკავშირებით წერია, რომ სასამართლოები ხშირად იყენებენ ფრაზებს:

„არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ბრალდებულმა თავი აარიდოს წინასწარ გამოძიებას და სასამართლოს“, „გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა, გაანადგუროს მტკიცებულებები“... თუმცა არ არის განმარტებული, თუ რით არის ეს ვარაუდები „დასაბუთებული“.

კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ წინასწარი პატიმრობის ვადას, რომელიც, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ოთხი თვიდან 60 დღემდე შემცირდა, ქართული სასამართლო პროკურორის მოთხოვნისთანავე ახანგრძლივებს.

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით, 2008 წელს წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებაზე 191 შესული შუამდგომლობიდან 190 ანუ 99.5 პროცენტი, ხოლო 2009 წელს 100-ვე პროცენტი დაკმაყოფილდა.

ევროპული სასამართლო მკაფიოდ მიუთითებს, რომ ის საფუძვლები, რომლებიც შეიძლება საკმარისი იყოს პირის პირველი დაპატიმრებისას, არ არის საკმარისი მისი პატიმრობის ვადის გაგრძელებისთვის და პროკურატურამ ძალიან საფუძვლიანი არგუმენტები უნდა წარმოადგინოს, თუ რატომ არის აუცილებელი პირის მიმართ პატიმრობის ვადის გაგრძელება.

ფაცურიას საქმეში ევროპულმა სასამართლომ პატიმრობის ვადის გაგრ-

ძელება განსაკუთრებით სერიოზულ დარღვევად მიიჩნია და აღნიშნა:

„სასამართლო განსაკუთრებით არის შეშფოთებული იმ ფაქტით, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის სამართალში მიცემისას გადასინჯა და გააგრძელა პატიმრობის ვადა... იმის ნაცვლად, რომ აღესრულებინა საკუთარი ვალდებულება, დამაჯერებელი დასაბუთება მიეცა გაგრძელებული პატიმრობისთვის, იგი დაეყრდნო წინასწარ დადგენილ ფორმას და მის აბსტრაქტულ დებულებას.“

იურისტ გია ფაცურიას თქმით, წინასწარი პატიმრობის ვადის გახანგრძლივება ეჭვმიტანილის „გატეხის“ ბერკეტია:

„როდესაც ადამიანი მოხვედრილია ციხეში, მისი პირველი აზრია, რომ რამენაირად თავი დააღწიოს ამ სიტუაციას და თუნდაც უდანაშაულო იყოს, ხშირად, ნებისმიერ რამეს იბრალებს.“

ამის მაგალითია საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გახმაურებული 2007 წელს მომხდარი ამბავი.

მწყემსი ლაშა ჩოფიკაშვილის გაუჩინარებიდან 1 კვირის შემდეგ მისი მკვლელობის ბრალდებით ფერმაში მომუშავე ალექსი ბახუტოვი დააკავეს. დაკავებულს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. ბახუტოვმა და მისმა გერმა ირაკლი ციციშვილმა გამოძიებას აღიარებითი ჩვენება მისცეს — დეტალურად აღწერეს, როგორ მოკლეს ჩოფიკაშვილი და დამარხეს მეტრნახევარ სიღრმეზე. თუმცა მათ მითითებულ ადგილზე პოლიციამ გვამი ვერ იპოვა. ახალ ჩვენებაში ბახუტოვმა განაცხადა, რომ გვამი ცხენის ურმით წაიღო და მდინარე სტორში გადააგდო, რაშიც სამი ახალგაზრდა დაეხმარა. ჩვენებაზე დაყრდნობით სამივე ახალგაზრდა დაკავეს.

თავდაპირველად ბრალდებული ახალგაზრდები ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებდნენ, მაგრამ ბოლოს მათაც აღიარეს მკვლელობაში მონაწილეობა.

„მოკლული“ ლაშა ჩოფიკაშვილი რამდენიმე კვირის შემდეგ სახლში დაბრუნდა. აღმოჩნდა, რომ ჩოფიკაშვილი ცხვარში მწყემსად იყო წასული და კონტაქტზე ვერ გამოდიოდა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები არავის გაუთავისუფლებია. მათ ციხეში 5 თვე დაჰყვეს და საბოლოოდ, სამივე მათგანს სასამართლოსთან თანამშრომლობის გამო საპროცესო შეთანხმება გააუფორმდა. ბახუტოვმა კი ჩვენება კიდევ ერთხელ შეცვალა და ამჯერად მკვლელობის მცდელობა აღიარა.

ჩოფიკაშვილის გამოჩენის შემდეგ ბახუტოვი ციხეში კიდევ 6 თვე იჯდა, რის შემდეგაც ისიც საპროცესო შეთანხმებით გაათავისუფლეს. ჩაუდენელი დანაშაულისთვის ბახუტოვი ახალგაზრდებთან ერთად პირობით სასჯელს დღემდე იხდის.

„თუ არ ვაღიარებდი, ალბათ, დამტოვებდნენ, ან სამუდამო პატიმრობას მომცემდნენ, ან რა ვიცი მე, თვითონ რას მოიფიქრებდნენ და რას გამიკეთებდნენ, უკვე იმათზე იყო დამოკიდებული, იმათ ხელში ვიყავი და მე რა შემეძლო“, – ამბობს დღეს ალექსი ბახუტოვი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსის, მარიამ გაბედავას თქმით, წინასწარ პატიმრობაში მყოფ ადამიანზე ისიც ახდენს დიდ გავლენას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების მხოლოდ 0.1 %-ია გამამართლებელი. ამიტომ ბრალდებული მცირე სასჯელის სანაცვლოდ, პროკურატურის მიერ შეთავაზებულ ნებისმიერ პირობაზე თანახმაა იმ შემთხვევაშიც, თუკი დამნაშავე არაა.

სახალხო დამცველის, გიორგი ტუღუშის თქმით, წინასწარი პატიმრობის ხშირი გამოყენება სასჯელაღსრულების დაწესებულების გადატვირთვის მთავარი მიზეზია.

საქართველოში 2004 წელს სულ 7 867 პატიმარი იყო, 2006 წელს „ნულოვანი ტოლერანტობის“ გამოცხადებამ ეს რიცხვი 15 465-მდე გაზარდა, 2008 წელს 18 659-მდე, ხოლო 2010 წლის მონაცემებით, 23 684 ადამიანი იხდის სასჯელს.



სტატია დაფინანსებულია „ევროკომისიის“, „ღია საზოგადოება-საქართველოს“ და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ მიერ.

ჯი.მარტი იუბილარია - სუპერმარკეტების ქსელი 1 წლისაა

ინტერვიუ კომპანია ჯი.მარტის გენერალურ დირექტორთან, ეკატერინე ჩხაბერიძესთან

1 წელი გავიდა რაც ჯი.მარტი ბაზარზე შემოვიდა, როგორი იყო ეს წელი და რამდენად მოახერხა ქსელმა ბაზარზე დამკვიდრება.

მაისის ბოლოს 1 წელი ხდება, რაც ჯი.მარტი ქართულ ბაზარზე შემოვიდა და ამ მცირე მონაკვეთში საკმაოდ წარმატებულად დამკვიდრდა. სულ ახლახან კომპანიამ წარმატებული დებიუტისთვის ოქროს ბრენდის ტიტულიც მიიღო. გახსნის დღიდან „ჯი.მარტის“ მთავარი პრიორიტეტი ხარისხიან პროდუქტის მიწოდებასთან ერთად ხელმისაწვდომი ფასების შეთავაზება იყო. ახალი სუპერმარკეტის გამოცდილ მენეჯერთა ჯგუფს კარგად ჰქონდა გააზრებული მომხმარებლის საჭიროება. ხარისხთან, სერვისსა და ასორტიმენტის მრავალფეროვნებასთან ერთად მომხმარებელი პროდუქციის ღირებულებას აუცილებლად გაითვალისწინებდა. ჩვენი სტრატეგია გამართლებულია: ვფიქრობ, მომხმარებლის ნდობა მოვიპოვეთ და დავაჯერეთ, რომ საფასო პოლიტიკა არ იყო მხოლოდ ერთჯერადი, ბაზარზე დასამკვიდრებელი კამპანია. ეს ჩვენი სტრატეგიაა და შესაბამისად, მუდმივი ხასიათი ექნება.

რა არის კომპანიის მთავარი ღირებულება, რითი განსხვავდება ჯი.მარტის კონცეფცია სხვა მსგავსი ტიპის ობიექტებისგან.

ჯი.მარტი ბაზარზე საკმაოდ ამბიციური განაცხადით შემოვიდა. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის პირველი ნამდვილი სუპერმარკეტების ქსელი საქართველოში, რომელიც აკმაყოფილებს მთელ რიგ პარამეტრებს: ორივე სუპერმარკეტი 2700კვ/მ-ფართს იკავებს. ორივე ობიექტში წარმოების ხაზი (მზა საჭმელი, საკონდიტრო ნაწარმი, პურ-ფუნთუშეული) დამოუკიდებლად ფუნქციონირებს, რაც იმის გარანტია, რომ ყოველდღიურად მომხმარებელს ახალი პროდუქტი მიეწოდება. ქსელი აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით, განახლებული პროგრამირებით და უახლესი ტექნოლოგიებით. ჯი.მარტის სამი პრიორიტეტია:

უმაღლესი ხარისხის კონტროლირებული პროდუქტის შეთავაზება.

სწორად შერჩეული მიზნობრივი სეგმენტი და მათთვის კომფორტული შესყიდვის ხელმისაწვდომობის შეთავაზება.

კვალიფიცირებული კადრების გადამზადება, რომელთა პროფესიონალიზმით მომსახურების მაღალ სერვისს ვთავაზობთ მომხმარებელს.

ამბობთ, რომ თქვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, მომსახურების მაღალი კულტურაა. ზოგადად საქართველოში კი ამ მომსახურების საკმაოდ დიდი დეფიციტია. როგორ ახერხებთ მომხმარებლის მოხიბლვას და მათი კმაყოფილების მიღწევას?

როგორც აღვნიშნე, სუპერმარკეტების ბიზნესი მარტივი სამართავი არ არის, მომხმარებელი სამართლიანად ითხოვს ხარისხს, სერვისს, მომსახურების მაღალ კულტურას. ვცდილობთ, მათი მოთხოვნები გავითვალისწინოთ. მუდმივად ვიკვლევთ ბაზარს, ვიწვევთ მომხმარებელს ფოკუს ჯგუფებსა თუ სხვადასხვა გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად. ვიკვლევთ მათ საჭიროებას. ამ საჭიროების განსაზღვრის შემდეგ კი ვნერგავთ მომსახურების სტანდარტებს, ვუტარებთ თანამშრომლებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს, ვაკვირდებით მათ ქცევას და ვცდილობთ მინიმუმამდე დავიყვანოთ მომხმარებლის პრეტენზიები.

გასულ წელს „ჯი.მარტმა“ საკუთარი სწრაფი კვების ობიექტი გახსნა. გაამართლა თუ არა „პანორამამ“ და ხომ არ იგეგმება მისი ფილიალების გახსნა?

ჩვენი სწრაფი კვების რესტორანი ინოვაციური პროექტია. აქ გაერთიანებულია როგორც ბუფეტის თვითმომსახურება, ასევე ბარის და პიცერიის მენიუ. ცალკე ხაზია სალათების მაგიდა, სადაც მომხმარებელი თავადაა ჩართული მომზადების პროცესში. აღნიშნული ობიექტი რამდენიმე თვეა გავხსენით. ჯერჯერობით ციფრებსა და ანალიზზე საუბარი ნაადრევია. ყველანაირ ბიზნესს წარმატებისთვის დრო სჭირდება. შეფასება მხოლოდ ამ დროის გასვლის შემდეგ ხდება. სამომავლოდ კი ჩვენს ქვებრენდს აუცილებლად გავაფართოებთ და „პანორამა ბუფეტს“ მომხმარებელი თბილისის ცენტრალურ უბნებშიც იხილავს.

ერთი წელი გავიდა, მომხმარებელი ბევრ სიახლეს ელის თქვენგან. რას ჰპირდებით მათ სამომავლოდ?

წელს ჯი.მარტის ქსელს დაემატება 1 ჰიპერმარკეტი (9000კვ/მ) თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე და 2 სუპერმარკეტი ბათუმში. გაფართოვდება ასევე ჩვენი ქვებრენდიც – „პანორამა ბუფეტი“. ამ გეგმის მიხედვით ჩვენი ქსელი დამატებით 600 ადამიანს დაასაქმებს. გვექნება განახლებული და ექსკლუზიური სასაქონლო ჯგუფები. ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებლებთან. ჩვენ გრძელვადიანი გეგმები და კვალიფიციური თანამშრომელთა გუნდი გვყავს, რომლებიც ამ გეგმის შესრულებისთვის თავდაუზოგავად შრომობენ.

ჯი.მარტი

ილუსტრაციის ავტორი: გიორგი ბერიძე

მოჩვენებითი ლიბერალიზაცია

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სულ უფრო მეტ ადამიანს უფარდებენ პირობით მსჯავრს, ციხეებში პატიმრების რაოდენობა არ იკლებს.

ნინო ბექიშვილი

2010 წლის 23 ოქტომბრის საღამოს საქართველოს ერთ პატარა ქალაქში სამი ახალგაზრდა: 19 წლის გიორგი კ., 20 წლის კობა ზ. და 16 წლის ზურა ბ. ცხრა სართულიანი სახლის ეზოში მდებარე გაუქმებული სტადიონის ღობეს ხსნიდნენ, რათა იქვე, ეზოს მეორე მხარეს გადმოეტანათ – ეზოს ნაწილის შემოღობვას და საზაფხულო ფანჩატურის მოწყობას აპირებდნენ. ამ დროს პატრული მოვიდა, უბრძანა, დაეყარათ იარაღი, რომელიც მათ არ ჰქონდათ და სამივე დააპატიმრა.

დაპატიმრებულები მეზობელი ქალაქის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ადვოკატის დაქირავების საშუალება არც ერთის ოჯახს არ ჰქონდა, მაგრამ რადგან ერთ-ერთი დაპატიმრებული არასრულწლოვანი გახლდათ, სახაზინო ადვოკატი დაუნიშნეს. საქმეში ეწერა, რომ მათი ქმედებით სახელმწიფოს 50 ლარი ზარალი მიადგა. საპროცესო გარიგება 48 საათში შედგა: თითოეულს – 5000 -5000 ათასი ჯარიმა და 4 წელი პირობითი სასჯელი მიუსაჯეს.

ერთ-ერთი დაზარალებულის დედის, მაია კ.-ს თქმით, მისი ოცი წლის შვილმა ოთხი წლის განმავლობაში ყოველ ორშაბათს პრობაციის ბიუროს უნდა მიაკითხოს და ხელი მოაწეროს.

„პრობაციონერის თავისუფლების შეზღუდვა, ძირითადად, მაინც მის მიერ ინფორმაციის მიწოდებაში გამოიხატება: ის პერიოდულად უნდა ცხადდებოდეს პრობაციის ბიუროში და აბარებდეს ანგარიშს – რას აკეთებდა, როგორი კატეგორიის ადამიანებთან ჰქონდა ურთიერთობა. მისი საქმიანობა კონტროლდება. მას შეიძლება შინაც მიაკითხოს პრობაციის ოფიცერმა, რომ დარწმუნდეს პრობაციონერი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს არ სჩადის“ – ამბობს საია-ს იურისტი გიორგი გოცირიძე.

მიუხედავად იმისა, რომ მუდმივადაა საუბარი სასჯელაღსრულების სისტემის ლიბერალიზაციაზე, საქართველოს ციხეები დღემდე გადატვირთულია. პატიმრების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება: პატიმრობის საერთაშორისო ინდექსით 2010 წელს ყოველ 100 ათას მოსახლეზე საქართველოში 505 პატიმარი მოდიოდა. ამ რაოდენობით საქართველომ მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა. შედარებისთვის სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითიც კმარა – სომხეთში 100 ათას მოსახლეზე 149 ადამიანი იხდიდა სასჯელს და აზერბაიჯანში – კი 240.

„ლიბერალიზაციაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, თუ ციხეები პირობით სასჯელმისჯილთა ხარჯზე განიტვირთება. დღეს საპირისპირო ვითარებაა – ერთნაირად იზრდება პატიმართა და პრობაციონერთა რიცხვი“.

პატიმრების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება პირობითი მსჯავრდადებულების რაოდენობაც – სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, 2003 წელს მსჯავრდადებულების მხოლოდ 43 პროცენტს შეეფარდა პირობითი მსჯავრი, 2009 წელს – 49 პროცენტს, 2010 წელს მათმა რიცხვმა 52 პროცენტს გადააჭარბა. 2010 წლის იანვარში 28 029 ადამიანი იხდიდა პირობით სასჯელს, იმავე წლის ოქტომბერში კი – 32 404.

პირობით სასჯელმისჯილთა დიდი წილი სწორედ მათზე მოდის, ვინც სახელმწიფოსთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა. ამ ადამიანებს ბუნებრივია, საკუთარი ნებით დადებული შეთანხმების გასაჩივრების უფლება არა აქვთ და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება თავს დაჩაგრულად თვლიდნენ, მაინც გაჩუმებას ამჯობინებენ.

ადვოკატ ლია მუხაშავრიას თქმით, საქართველოში სერიოზული პრობლემაა სამართლებრივი კულტურის არარსებობა და ერთგვარი მოქალაქეობრივი ინფანტილიზმი. რითაც, როგორც წესი, სამართალდამცავი ორგანოები სარგებლობენ.

როდესაც პირობით სასჯელსა და საპროცესო გარიგების რაოდენობის ზრდაზეა საუბარი, ხელისუფლება მუდმივად აპელირებს იმით, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციას ახდენს.

„ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის“ დირექტორის, უჩა ნანუაშვილის აზრით, „ლიბერალიზაციაზე მხოლოდ მაშინ შევძლებდით საუბარს, თუკი ციხეები პირობით სასჯელმისჯილთა ხარჯზე განიტვირთებოდა. დღეს საპირისპირო ვითარებაა – დაახლოებით ერთნაირად იზრდება პატიმართა და პრობაციონერთა რიცხვი“.

საქართველოს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ხშირად აკრიტიკებენ არა მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსები და ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობოები, არამედ დასავლელი პარტნიორებიც.

2011 წლის 18 მაისს, საქართველოში ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა დემოკრატიათა თანამეგობრობის საპარლამენტო ფორუმის შეხვედრაზე განაცხადა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში მრავალი პრობლემაა – საპატიმროები გადატვირთულია, არ იცვლება პრეზიდენტის მიერ ჯერ კიდევ გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა და ასევე, პრობლემად რჩება ისიც, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების 99 პროცენტი სრულ თანხვედრაშია პროკურატურის მიერ მოთხოვნილ სასჯელთან.



მარტოობის საუკუნე

„ჩვენ მარტონი ვიბადებით, მარტონი ვცხოვრობთ და მარტონი ვკვდებით. მხოლოდ სიყვარულითა და მეგობრობით დროებით ვიქმნით ილუზიას, რომ მარტონი არ ვართ.“ *ორსონ უელსი*

მარიკა ქოჩიაშვილი

ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

უკაცრიელ კუნძულზე ვარ სრულიად მარტო. ირგვლივ პალმები, ოქროსფერი ქვიშა და ფირუზისფერი ზღვაა. სიჩუმეს მხოლოდ ტალღების შრიალი არღვევს. არ არის ტელეფონი, ტელევიზორი, ინტერნეტი. არ მაქვს არავითარი პასუხისმგებლობა არავის წინაშე.

გეოგრაფიას, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს. უკაცრიელი კუნძულის ნაცვლად, შესაძლოა, დაბურული ტყე, თოვლიანი ჯუმოლუნგმა ან მეზობელ რაიონში ნაქირავები ერთოთახიანი ბინა იყოს ის ადგილი, რომელსაც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ირჩევს განმარტოებისთვის.

ნებისმიერ ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც უფიქრია ამაზე.

თუმცა, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ხშირად ის, ვინც გარშემორტყმულია კოლეგების, ოჯახის წევრებისა და მეგობრების ხმაურიანი კამპანიით, ფიზიკური იზოლაციით სწორედ სულიერი მარტოობის განცდის დაძლევას ცდილობს.

„მარტოობა ხალხმრავლობაში“ – ყველაზე რთულია მარტოობის ფორმებს შორის და, როგორც წესი, უფრო მეტად დიდი ქალაქების ბინადრებს ტანჯავს.

ამას სპეციალისტები იმით ხსნიან, რომ დიდ ქალაქს არაბუნებრივი ცხოვრების რიტმი აქვს, რომელიც ურთიერთობებისთვის დროს არ ტოვებს. ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ მეგაპოლისში მცხოვრები ადამიანები, რომლებსაც მარტოობა აწუხებთ, მთელ დროს სახლსა და სამსახურში კომპიუტერის კლავიატურაზე კაკუნში ატარებენ. პირიქით, მათ დღის განმავლობაში სხვა ადამიანებთან გადაჭარბებულადაც კი აქვთ კონტაქტი – ბევრ დროსა და ენერგიას ხარჯავენ სამსახურებრივ შეხვედრებზე, შემთხვევით ადამიანებთან ურთიერთობაზე. ზედაპირული კავშირებით ასეთი დოზით ინტოქსიკაციის შემდეგ, მათ უბრალოდ აღარ რჩებათ დრო, ააწყონ ნამდვილი ურთიერთობობი, იპოვონ მეგობრები, რომლებიც მათ სულიერი მარტოობისგან დაიცავენ.

„თუ დღის განმავლობაში ჩიპსებს შეჭამ, საღამოს გემრიელი ოჯახური სადილის სურვილი აღარ გექნება... რაც უფრო ხშირია იძულებითი კონტაქტები, რაც უფრო მეტი ადამიანია გარშემო, მით უფრო ხშირია ადამიანის გაუცხოება რეალური ურთიერთობების მიმართ. ადამიანს უჩნდება სურვილი გაექცეს ამ რეალობას და ფიქრობს, რომ ფიზიკური მარტოობა, შესაძლოა, გამოსავალი იყოს,” – ამბობს ფრანგი ფსიქოლოგი მიშელ ანრი.

მარტოობა – სხვებისგან იზოლაციის განცდაა და მას ბევრად მეტი ზიანი მოაქვს ადამიანისთვის, ვიდრე რეალურ იზოლაციას. შეიძლება გყავდეს უამრავი მეგობარი, კოლეგა, ყოველდღე დადიოდე საინტერესო შეხვედრებსა თუ წვეულებებზე, მაგრამ ვერც ერთმა ამ ფაქტორმა ვერ გიხსნას მარტოობისგან, რადგან პრობლემა ურთიერთობების რაოდენობაში კი არა, მათ ხარისხშია.

მარტოობა 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საგანგაშო პრობლემაა, რომელსაც ფსიქოლოგებმა საუკუნის სენი უწოდეს.

ბრიტანული საქველმოქმედო ფონდის Mental Health Foundation -ის კვლევის თანახმად, 1972 წლიდან 2008 წლამდე იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც თავს მარტო გრძნობენ, გასამმაგდა.

თბილისელი თამუნა 32 წლისაა. ნახევარი წლის წინ მან წარმატებული კარიერა, მეგობარი ბიჭი, მშობლიური ქალაქი მიატოვა და ერთი ჩემოდნითა და ზურგჩანთით ჩიკაგოში გაემგზავრა.

„რაიმე კონკრეტული მიზეზი რომ მკითხოთ, ვერ დაგისახელებთ, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოდან გავიქეცი, – ჰყვება თამუნა, – კარგი სამსახური მქონდა, ხელფასიც. სულ მეგობრების ხმაურიან გარემოცვაში ვიყავი. მაგრამ რაღაც ეტაპზე მივხვდი, რომ ასე ცხოვრება აღარ შემეძლო. საღამოს სახლში რომ მივდიოდი, ვაცნობიერებდი, რომ უბრალოდ თავს ვიტყუებ და რეალურად ძალიან მარტოსული ვარ. ახლა აქ ვარ, სრულიად მარტო უცხო ქვეყანაში, მაგრამ მაინც არ ვნანობ... მომწონს, რომ არავის არ ვიცნობ და არავინ ყურადღებას არ მაქცევს...“

ფიზიკური იზოლაცია, რომელიც თამუნამ აირჩია, მძიმე სამუშაო დღე ჩიკაგოში და ახალ გარემოსთან ადაპტაციის რთული პროცესი მას მთელ დროსა და ენერგიას ართმევს, ამიტომ მარტოობაზე ფიქრისთვის დრო არ რჩება.

„ისეთი გრძნობა მაქვს, რომ თავქუდმო-

გლეჯილი გავრბივარ სადღაც და მთავარია, არ გავჩერდე.... ალბათ, ეს გამოსავალი არ არის, რადგან ოდესმე ხომ მომიწევს ტემპის შენელება და აღმოვაჩენ, რომ გვერდით ისევ არავინაა, მაგრამ ამ ეტაპზე, ეს ნამდვილად გამოსავალი იყო", – ამბობს თამუნა.

სპეციალისტების აზრით, სულიერი მარტოობისკენ მიდრეკილ ადამიანებს, რომლებიც ამავე დროს ფიზიკურ იზოლაციას ირჩევენ, მარტოობის სწორი მენეჯმენტი უნდა შეეძლოთ, წინაალმდეგ შემთხვევაში, მათი სულიერი მდგომარეობა, შესაძლოა, კიდევ უფრო გართულდეს.

განსაკუთრებით მწვავედ მარტოობას სწორედ უქმეებსა და დღესასწაულებზე გრძნობენ – ამ დროს, ადამიანი, რომელიც სამსახურში არ მიდის და სხვა საქმე არა აქვს, მიდრეკილია გააანალიზოს თავისი ცხოვრება, გამოიტანოს გარკვეული დასკვნები – ფიქრობს ცხოვრების არსზე, იმაზე, თუ ვინ არის და საით მიდის.

ხშირად ამ კითხვებზე პასუხი მარტოსულ ადამიანებს არ აქვთ.

„თუ გადავხედავთ სუიციდის სტატისტიკას განვითარებულ ქვეყნებში, ძალიან ბევრი თვითმკვლელობა სწორედ დასვენების დღეებში ხდება, როცა ადამიანი სამსახურში არ მიდის. უქმეები ნამდვილი სატანჯველია მარტოსული ადამიანებისთვის", – ამბობს ფსიქოთერაპევტი ლევან შატბერაშვილი.

საქართველოში მარტოსული ადამიანების გამოსავლენად სპეციალური კვლევა არ ჩატარებულა, თუმცა, ქართველი ფსიქოლოგები ამბობენ, რომ მათ იშვიათად მიმართავენ პაციენტები ჩივილით, რომ თავს მარტო გრძნობენ.

„ადამიანები ხშირად არც აღიარებენ ან ვერ აცნობიერებენ, რომ მათი „ცუდად ყოფნის" მიზეზი მარტოობაა. ადამიანები სხვა ჩივილებით მოდიან. მაგალითად, ხშირად ამბობენ, რომ სამყაროს არ ენდობიან და სამყაროში მათი ადგილი არ არის, რომ მათი არავის ესმის. ეს მარტოობაა", – ამბობს შატბერაშვილი.

ამერიკელი ნეირობიოლოგი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ კაჩოპო თავის წიგნში „მარტოსულობა: ადამიანის ბუნება და სოციალური კავშირების მოთხოვნილება" მარტოობის ტკივილს იმ ბიოლოგიურ მექანიზმებს ადარებს, რომლებიც ადამიანებს მოქმედებისკენ უბიძგებს – მაგალითად, ფიზიკურ ტკივილს ან წყურვილისა და შიმშილის გრძნობას. „მარტოობა გამაფრთხილებელი ნიშანია, რომელიც ადამიანის ევოლუციის პროცესში იჩენს თავს. ის მიანიშნებს, რომ რაღაც სასწრაფოდ უნდა შევცვალოთ".

კაჩოპო თავის წიგნში ამტკიცებს, რომ ადამიანი თავისი ბუნებით არ არის ეგოისტი და მარტოობა მისთვის არაბუნებრივი მდგომარეობაა, თუმცა აბსოლუტური ბოროტება სულაც არ არის. პირიქით, მისი აზრით, ბევრი ადამიანისთვის მარტოობის განცდა იმის შეხსენებაა, რომ რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ზოგჯერ

საზოგადოება მოგებულიც კი რჩება იმის გამო, რომ ადამიანებს მარტოობის განცდა სჩვევიათ, მიიჩნევს კაჩოპო, რადგან „მარტოსული ადამიანები, როგორც წესი, სოციალურად უფრო აქტიურები არიან. ხშირად მოხალისე აქტივისტები ხდებიან და დიდ დახმარებას უწევენ საზოგადოებას".

იგი სპეციალისტებს ურჩევს, არასოდეს ეცადონ მარტოობის მქონე პაციენტებისთვის მედიკამენტოზური მკურნალობის ჩატარებას:

„არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევებრძოლოთ მექანიზმს, რომელიც მარტოობის გრძნობას გამოიმუშავებს. ეს იგივეა, რომ, მაგალითად, შევეცადოთ შიმშილის გრძნობისგან ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდეთ. თუ ეს გავაკეთეთ, მაშინ საიდან გავიგებთ, რომ ორგანიზმს მოშივდა და საკვები სჭირდება?"

„რამდენი ახლო მეგობარი გყავთ?" – ფსიქოლოგებმა ამერიკელებს ეს კითხვა პირველად 1985 წელს დაუსვეს და შემდეგ კი – 2004-ში. პირველი გამოკითხვის დროს უმეტესობამ უპასუხა – „სამი", ოცი წლის შემდეგ კი პირველ ადგილზე იყო პასუხი „არც ერთი".

მარტოობის ერთ-ერთ მთავარ მაპროვოცირებელ ფაქტორად მეცნიერები თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინტერნეტს ასახელებენ. 21-ე საუკუნე სრულიად ახალი ტიპის ურთიერთობებზეა აწყობილი. მეგობრის მოსაკითხავად არ არის აუცილებელი სახლიდან გახვიდე და იგი პირადად ნახო. ამისთვის ფეისბუკზე შესვლაც საკმარისია.

მართალია, ერთი მხრივ, ტექნოლოგიები კომუნიკაციას ბევრად უფრო აიოლებენ, მაგრამ მეორე მხრივ, ადამიანებს ვირტუალურ სამყაროზე დამოკიდებულს ხდიან. თუ თქვენ „ფეისბუკზე" 4 ათასი მეგობარი გყავთ, რომელიც თვალით არ გინახავთ, ეს მხოლოდ მოჩვენებითი ურთიერთობებია, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებს თქვენს მარტოობას.

„მარტოსულ ადამიანებს „ფეისბუკის" მეგობრების მხიარული სტატუსები კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ არიან წარმატებული ადამიანები, რომლებსაც ჰყავთ პარტნიორი, მეგობრები, ერთობიან და სავსე ცხოვრებით ცხოვრობენ", – ამბობს კაჩოპო.

25 წლის ლელა თბილისში 7 წლის წინ ჩამოვიდა, როცა უნივერსიტეტში ჩააბარა. მას შემდეგ მარტო ცხოვრობს. იმდენად მიეჩვია მარტოობას, რომ სასწავლებლად ჩამოსულ უმცროს ძმასთან ბინის გაყოფაც გაუჭირდა და ცალკე გადავიდა.

როცა საღამოს სამსახურიდან სახლში ბრუნდება, კომპიუტერს რთავს და სოციალური ქსელების „წყალობით" მარტო აღარ არის. ეს მისთვის სრულიად საკმარისია. ასე გრძელდება უკვე წლებია. ის არც მეზობლებს ეკონტაქტება, კარზე კაკუნის ხმაც არ უყვარს და სახლის ტელეფონსაც არ პასუხობს. მეგობრებს თითქმის არასდროს ეპატიჟება სახლში. ურჩევნია თვითონ წავიდეს, ვიდრე თავის პირად სივრცეში, რომელიც „თავის გემოზე აქვს

არეულ-დარეული“, ვინმე შემოუშვას.

„ისეთი სიჩუმეა, ხანდახან, რაღაც პოსტზე ხმამაღლა თუ გამეცინა, მე თვითონ შევხტები ხოლმე“, – ამბობს ლელა.

„ჩემი ცხოვრება მომწონს. თუმცა, ზოგჯერ რომ ვუყურებ ჩემი მეგობრების ფოტოებს ფეისბუკზე – ლაშქრობებში რომ დადიან ან სადმე კლუბში რომ ერთობიან ან ბავშვების ფოტოებს რომ დებენ, ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ ღირდეს რაღაც შევცვალო...“

ამერიკელი მეცნიერი ჯონ კაპოჩო ამტკიცებს, რომ ამ ქვეყნად არ არსებობს ადამიანი, რომელიც დაზღვეულია მარტოობის განცდისგან.

„ვიდრე კვლევას დავიწყებდი, ვშიშობდი, რომ მისი შედეგი ტრივიალური იქნებოდა: მარტოობა – იმ ადამიანთა ხვედრია, რომლებსაც ჭარბი წონა აწუხებთ, არავჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევენ და თავდაჯერებულები არ არიან. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის“.

კვლევამ, რომელშიც ოჰაიოს უნივერსიტეტის 5 ათასი სტუდენტი მონაწილეობდა, გამოავლინა, რომ მარტოობასა და რაიმე კონკრეტულ გარეგნულ მიზეზებს შორის – მაგალითად ფიზიკურ ნაკლს შორის, არავითარი კორელაცია არ არის.

როგორც წესი, დაქორწინებული ადამიანები, თავს უფრო ნაკლებად გრძნობენ მარტოსულებად, ვიდრე მარტოხელები, მაგრამ არც ისინი არიან დაზღვეული მარტოობის განცდისგან. „თუ თქვენ ბევრს მუშაობთ, არ გაქვთ დრო სათანადო ყურადღება დაუთმოთ თქვენს მეუღლეს, ოჯახს, მაშინ გაფრთხილდით, იცოდეთ, რომ აქედან იწყება გაუცხოება და მარტოობა,” – ამბობს კაჩოპო.

კაჩოპო იმასაც ამტკიცებს, რომ არც ფიზიკურ მარტოობასა და მარტოსულობას შორისაა პირდაპირი კავშირი. „თუ მარტოხელა ხარ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად მარტოსული უნდა იყო. უბრალოდ, მათ, ვისაც პარტნიორი არ ჰყავს, მეტი შანსია, მარტოობის განცდა დაეუფლოს“.

51 წლის დავით ვაჩნაძე 3 წელია, მარტო ცხოვრობს. ეს მისი არჩევანი არ ყოფილა, მაგრამ „ასე მოხდა“. მისი ბინიდან მეზობლებს არც ბავშვების ჟივილ-ხივილი აწუხებთ და არც მეგობრული ან ოჯახური გაუგებრობები.

მიუხედავად ამისა, დავითი თავს მარტოსულად არ გრძნობს, რადგან მისი ცხოვრება აქტიური და საინტერესოა.

დავითს დიდი, ძველებური ბინა აქვს. საყვარელი ნივთები – წიგნები, ჟურნალები, კინო და მუსიკალური ცენტრი ის არის, რაც მას საღამოობით მარტოობას უვსებს.

ხშირად თავისი ბინის ერთ-ერთ ოთახს უცხოელ მეგობრებს უთმობს. ზურგჩანთას მოიკიდებს და ქალაქში ველოსიპედით დადის. აკვირდება ადამიანებს, ქუჩებს, შენობებს, ფოტოებს იღებს და შემდეგ ეს შეგრძნებები ელექტრონულ ფურცელზეც გადააქვს.

„ცხვირი რომ არ ჩამოუშვა და მარტოობა არ იგრძნო, მნიშვნელოვანია, არ დაკარგო ინტერესი და სულ ცნობისმოყვარე იყო. ანუ ზრდა არის მთავარი მომენტი. არ უნდა შეწყვიტო ზრდა და არა აქვს მნიშვნელობა, ახლა მარტო ხარ თუ არა“, – ამბობს დავითი.

ფსიქოლოგი მარინა ჭავჭანიძე ამბობს, რომ ადამიანი რეალურ თავისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს, თუ აღიარებს, რომ მარტოა და ამ მარტოობის შიშს გადალახავს:

„მარტოობას მკურნალობა არ სჭირდება. მას თავად ადამიანი უნდა შეებრძოლოს. იგი უნდა გადაწყვიტო ან შეეგუო მას. ცხადია, მარტოობის განცდასთან შეგუება რთულია... ადამიანი მარტო იბადება და მარტო კვდება. თუ შეძლებ ამის გაცნობიერებას, ყველაფერს სხვა თვალით დაინახავ... თითქოს უფრო შემწყნარებელი და მიმტევებელი ხდები. ხვდები, რომ შენ გარდა, მეორე ადამიანი არსებობს დამოუკიდებელ მარტოობაში. მაგრამ თუ მარტოობას არ აღიარებ, ყოველთვის ყავარჯნები დაგჭირდება სხვისი სახით – იქნება ეს არანორმალური შეყვარებულობა, თუ სხვა ადამიანი, რომელზეც დამოკიდებული იქნები“.

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ მარტოობასთან ბრძოლა სერიოზულ ინტელექტუალურ და ემოციურ სამუშაოს მოითხოვს, მაგრამ შედეგი ამად ღირს – თუ ადამიანი მარტოობის განცდის დამარცხებას შეძლებს, ის ცხოვრებისეულ სირთულეებს ბევრად უფრო ძლიერი შეხვდება და რა გამოცდაც უნდა მოუმზადოს ცხოვრებამ, შეუძლია ფეხზე მყარად იდგეს.

ჰაიზი - მარტოობის დედაქალაქი

2010 წელს, შობის წინა დღეებში ფრანგი სოციოლოგების მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ფრანგების 30 პროცენტი მარტოსულია. ამასთან პარიზში, იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მწვავედ განიცდიან მარტოობას, 45 პროცენტია. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა პიიონმა ამ კვლევის შემდეგ მარტოობასთან ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის რანგშიც კი აიყვანა. „დადგა დრო, გავაცნობიერით, რაოდენ მაღალია ამ სოციალური ბოროტების ხარისხი. მარტოობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ, ჯერჯერობით, უძლურები ვართ,” – თქვა მან.

მარტოსულების "დიეტა"

მეცნიერების აზრით, ადამიანები, რომლებიც თავს მარტო გრძნობენ, უფრო აგრესიულები არიან. სხვებზე მეტად ეტანებიან ტკბილეულსა და ცხიმიან საკვებს. ხშირად აქვთ პრობლემები სისხლის მიმოქცევასთან. მარტოსული ადამიანების ორგანიზმი უფრო მეტ კორტიზოლს – „სტრესის ჰორმონს” გამოყოფს, რაც იმუნიტეტის დასუსტებას უწყობს ხელს.

ტექსტი სხვა სხოვრებიდან

რა არის ხარვეზები, რომლებიც საატესტატო გამოცდების ტესტირების პროცესში გამოვლინდა? რატომაა შეუძლებელი ამ ინსტრუმენტით კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი ახალგაზრდების აღზრდა?

სიმონ ჯანაშია

გთხოვთ, გაიხსენოთ, რა ტიპის პროფესიული თუ ყოფითი ამოცანების გადაჭრა გიწევთ ყოველდღიურად? რა მეთოდებით ცდილობთ მათ დაძლევას? ინდივიდუალურად წყვეტთ ამ პრობლემებს, თუ სხვებთან ინტერაქციით? რა ტიპის უნარებსა და ცოდნას იყენებთ ამ დროს? ასევე შეიძლება, დავფიქრდეთ – რა ინსტრუმენტებს (ჩანაწერებს, ლიტერატურას, კომპიუტერს, საექსპერტო რჩევებს) ეყრდნობით წარმატების მისაღწევად? იცით თუ არა წინასწარ, რა იქნება თქვენი წარმატების კრიტერიუმები?

ადამიანები, ძირითადად, სხვებთან ინტერაქციით, ზოგადი კომუნიკაციის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების და სხვადასხვა დამხმარე ინსტრუმენტის გამოყენებით აგვარებენ მათ წინაშე მდგარ პრობლემებს. თუ გვინდა, რომ ჩვენი განათლების სისტემა რეალური ცხოვრებისთვის ამზადებდეს ჩვენს ახალგაზრდებს, მათ სწორედ ამ უნარების განვითარებაში უნდა დავეხმაროთ.

ამგვარი ცოდნის მიღებასა და უნარების განვითარებას კი მოსწავლეები იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ მათ სათანადო გარემოთი უზრუნველვყოფთ. ასეთი გარემო გულისხმობს საგანმანათლებლო ინსტრუმენტების სწორ და ურთიერთშეთანხმებულად შერჩევასა და გამოყენებას. სასწავლო პროცესი, სასწავლო რესურსები და შეფასების სისტემები ერთი მიზნისკენ უნდა იყოს მიმართული. საქართველოში ყველა გაცხადებული მიზანი სწორედაც, რომ უნარიანი, მცოდნე, კრიტიკული, შემოქმედებითი, ანალიტიკური აზროვნებისა და ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების მქონე ადამიანების აღზრდას გულისხმობს, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მიზნის მიღწევას განათლების სისტემის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ეწინააღმდეგება. ასეთი ინსტრუმენტია წელს შემოღებული ერთიანი დამამთავრებელი სკოლის საატესტატო გამოცდები.

საატესტატო გამოცდები საქართველოში 23 მაისს იწყება. ტესტირება ჩატარდება რვა სავალდებულო საგანში. გამოცდების დაწყებამდე თვენახევრით ადრე, საზოგადოებას მიეცა საშუალება, გაცნობოდა ტესტის საცდელ დავალებებს. მას შემდეგ, ფაქტობრივად, ტესტირებამდე დარჩენილი ბოლო კვირის ჩათვლით, სკოლებში სხვადასხვა ტესტის აპრობაცია მიმდინარეობდა.

სწორედ წინასწარი ტესტირების პროცესსა და შინაარსზე დაკვირვება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვივარაუდოთ: გამოცდები, სამწუხაროდ, საკმაოდ ცუდადაა ორგანიზებული, ტესტირების შინაარსი კი ეწინააღმდეგება გაცხადებულ მიზანს, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა, მოსწავლეებს რეალური ცხოვრებისთვის ვამზადებთ.

საცდელი ტესტირების პირველივე დღეს ტესტის შემცველი საიტი გაიჭედა. პერიოდულად შეფერხებები იყო სხვა დღეებშიც. ოფიციალური ტესტირების დაწყებამდე სამი კვირით ადრე, გამოცდების ცენტრმა გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი პორტატული კომპიუტერი სჭირდება თითოეულ სკოლას იმისთვის, რომ გამოცდები შეუფერხებლად ჩატარდეს (საერთო ჯამში, 12000-მდე კომპიუტერი). გამოქვეყნდა ნეტბუქების კონფიგურირების ინსტრუქციებიც.

თუმცა, გარდა ამისა, ტესტირება ყველა სკოლაში სტაბილური ინტერნეტის არსებობასაც მოითხოვს. ამავდროულად, 2500-მდე სკოლაში ტესტირების ობიექტურად ჩატარება საჭიროებს ათასობით მომზადებული დამკვირვებლისა და ადმინისტრატორის ჩართვას. როგორც ჩანს, სერიოზულ ტექნიკურ და ლოჯისტიკურ პრობლემებთან გვაქვს საქმე, რომელთა

გადაჭრაც გამოცდების ცენტრს საკუთარი რეპუტაციის შელახვის გარეშე შესაძლოა, გაუჭირდეს.

გასათვალისწინებელია ეს გარემოებაც: კომპიუტერული პროგრამა ტესტის სირთულის ადაპტირებას მოსწავლეების მიერ გაცემული პასუხების მიხედვით ახდენს. კომპიუტერული ტესტი სპეციალური ალგორითმით მზადდება, რომელიც მოსწავლის უნარებსა და კომპეტენციებს სხვადასხვა დონეებთან მიმართებაში ზომავს. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვაჩვენებს, ასე დამზადებული ტესტების მაქსიმალური ქულების რაოდენობა ყოველთვის წინასწარ ისაზღვრება. ტესტის ჩამბარებელმა ტესტირების დაწყებამდე იცის, რა არის კონკრეტული მიზნის მისაღწევად სასურველი მინიმალური ზღვარი. ჩვენთან კი, სტატიის დაწერის მომენტში, ანუ ტესტირების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენქულიანია ტესტი და რა იქნება მინიმალური ზღვარი, ლეგიტიმური მოლოდინის მიუხედავად, არ გამოქვეყნებულა.

გამოცდები ცუდადაა ორგანიზებული, ტესტირების შინაარსი კი ეწინააღმდეგება გაცხადებულ მიზანს, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა, მოსწავლეებს რეალური ცხოვრებისთვის ვამზადებთ.

საცდელი ტესტირების პროცესში გავეცანით ტესტური დავალებების შინაარსსაც. სამწუხაროა, რომ უმეტესად, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ქართულის ტესტებში, მთავარი აქცენტი გაკეთებულია ინფორმაციის დამახსოვრებაზე. მაგალითად, ქართულის საცდელი ტესტი შეიცავდა 24 კითხვას ლიტერატურიდან და მათგან 19 იწყებოდა სიტყვით „გაიხსენეთ“:

„გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“. რა მოიმოქმედეს, პირველ რიგში, ქისტებმა, როდესაც ზვიადაურის სოფელში ყოფნა გაიგეს?

შესაძლო პასუხები:

- გააგზავნეს ჯოყოლასთან მზვერავი.
- ზვიადაური სასაფლაოზე წაიყვანეს.
- მიცვივდნენ ზვიადაურის შესაპყრობად.
- ჯოყოლას ხელ-ფეხი შეუკრეს“.

ქართულის ტესტში, ლიტერატურის გარდა, არის ნაწილი, რომელიც ენობრივ კომპეტენციებს ამოწმებს. თუ მასში გარკვეული ცოდნის გამოყენების უნარიც მოწმდება, ისტორიის საცდელ ტესტში ვითარება უფრო მძიმეა. ამ ტესტებში 48 კითხვიდან ასივე პროცენტი მხოლოდ ფაქტების გახსენებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ საბუნებისმეტყველო და მათემატიკის საგნების კითხვებში ნაწილი ცოდნის გამოყენებაზე იყო ორიენტირებული, რეალური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები მინიმალურად შეგვხვდა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა გეოგრაფიის ტესტებში. უცხო ენის ტესტებში კი, საბედნიეროდ, ძირითადად, ისეთი ენობრივი კომპეტენციების შემოწმება ხდება, რაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს ამ ენების პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისითაც.

ტესტი 100 წუთს გრძელდება. მოსწავლეს თითოეული საკითხის საპასუხოდ 2 წუთი აქვს. ტესტი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსწავლე ადრე გაცემულ პასუხს დაუბრუნდეს და კიდევ ერთხელ გადახედოს მას, რაც სიტუაციას განსაკუთრებით ამძაფრებს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ატესტატის მიღება სწორედ ამ გამოცდაზეა დამოკიდებული.

რას შეიძლება, ველოდოთ ამ საგამოცდო ინსტრუმენტისგან მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში?

ამგვარი შინაარსის ტესტები სერიოზულ საფრთხეს უქმნის სასწავლო პროცესისა და სასწავლო რესურსების შექმნისას ბოლო 7 წლის განმავლობაში დაწყებულ სასიკეთო ცვლილებებს. სწავლება, რომელიც ძირითადად ორიენტირებული იყო დაზეპირებაზე და ფაქტების კრიტიკული ანალიზის გარეშე გადმოცემაზე, ნელ-ნელა იცვლებოდა. ამას ახლებურად ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნები და შესაბამისი რესურსები უწყობდა ხელს. დღეს მასწავლებლებისა და მოსწავლეების წარმატების წინაპირობა კვლავ მეხსიერების ვარჯიში ხდება. წესების, ფაქტების, ფორმულების გაზეპირება კი პირდაპირი გზაა კრიტიკულ აზროვნებასმოკლებული, შემოქმედებითი უნარების არმქონე ახალგაზრდობის გაზრდისკენ.

მოცულობითი ინფორმაციის დაზეპირების მცდელობა კი, სინამდვილეში, ხელს საჭირო ინფორმაციის დამახსოვრებასაც კი უშლის. მოსწავლეს აღარ აქვს შესაძლებლობა, სასწავლო პროცესიდან გამომდინარე, დისკუსიებისა თუ ანალიზის საფუძველზე გადაწყვიტოს ინფორმაციის მნიშვნელობა, მოახერხოს საკუთარი პრიორიტეტების დასახვა სხვადასხვა საჭიროების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია, რომ ამ გამოცდაზე წარმატების მოპოვება არანაირად არ ჰგავს იმ პროცესს, რომელიც რეალურ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად უნდა გაიაროთ. გამოცდაზე თქვენ მარტო ხართ. არ გაქვთ დამხმარე ინსტრუმენტები. ისიც კი არ იცით, თუ რა დონე უნდა დაძლიოთ. წარმატების მისაღწევად, უმეტეს შემთხვევაში, დაგჭირდებათ არა რაიმე მაღალი დონის უნარის გამომჟღავნება, არამედ უბრალოდ რაიმეს გახსენება.

ამიტომ მიმაჩნია, რომ სასწავლო პროცესზე უარყოფითი გავლენა რომც არ ჰქონდეს, ეს გამოცდები მაინც ხარვეზებითაა სავსე. პირველ რიგში, ძვირადღირებულია და, ამავე დროს, ცხოვრებისთვის მოსამზადებლად არაეფექტურ და კონტრპროდუქტიულ გაკვეთილს სთავაზობს მოსწავლეებს.

გამოსავალი კი ის არის, რომ გამოცდები იმგვარი შეფასების სისტემებით შეიცვალოს, რომლებიც ახალისებს მოსწავლეებში მრავალმხრივი უნარების განვითარებას. ეს გულისხმობს სკოლებში გამოფენების, პრეზენტაციების, წერის, პროექტების ორგანიზებას, სკოლის ყოველდღიური შეფასებებისთვის მეტი მნიშვნელობის მინიჭებას. სახელმწიფოს წარმომადგენლები და საზოგადოება კი უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ საგაკვეთილო პროცესის გაჯანსაღების გარეშე სწავლის ხარისხის გაუმჯობესება შეუძლებელია. ტესტირებების შემოღება კი საყოველთაო განათლების თითქმის ორასწლიანი გამოცდილების მანძილზე არსად ყოფილა ამ ცვლილების მიღწევის ეფექტური მექანიზმი.

ისედაც ყველამ ვისით, რომ ჯიქმლი სუდია

მარკ მალენი

თითქმის ყოველდღე, ხელისუფლების მიერ მართულ მედიაში აჩვენებენ ისტორიას, რომელიც სხვადასხვა გზებით ასაბუთებს, თუ როგორი კორუმპირებული, იმპერიალისტური, არაკომპეტენტური და რასისტულია კრემლი. ჩვეულებრივ, ეს არის ხოლმე რეპორტაჟი რომელიმე საერთაშორისო განცხადებაზე ან კომენტარზე.

გასულ შაბათ-კვირას ტალინში ვიყავი, სადაც ამერიკელი და ევროპელი ავტორიტეტული პირები რეგიონის პრობლემებს არჩევდნენ (ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, რატომ მიმიწვიეს, მაგრამ მიმიწვიეს). სიტუაციის შეფასებისას საქართველოსთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი გამოიკვეთა.

პირველ რიგში, ყველა გარკვეული წონის მქონე პირი მსოფლიოში თანხმდება რუსეთის შეფასებაზე. მსოფლიოში არც ერთი სერიოზული ანალიტიკოსი არ არის, ვინც იტყვის, რომ რუსეთის მთავრობა არ არის კორუმპირებული, იმპერიალისტური, არაკომპეტენტური ან რასისტული. ევროპაში და სხვაგანაც კრემლი პიარში უზარმაზარ თანხებს ხარჯავს და ამის შესახებ ყველამ იცის. რუსეთის პრობლემებზე შეთანხმება იმდენად არის გამჯდარი გეოპოლიტიკაზე საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებებში, რომ ბევრი აღარაფრის თქმა აღარ შეიძლება. ცოტა ადამიანი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ითანამშრომლონ რუსეთთან, ყველა იმაზე საუბრობს, თუ როგორ გაუმკლავდნენ მას ან უბრალოდ შეამცირონ მისგან გამოწვეული ზიანი.

არსებობს სხვა საკითხები, რომელსაც საერთაშორისო შეხვედრებზე განიხილავენ და რომლებიც საქართველოში ცუდად ესმით. პირველი საკითხი არის ის, რომ რუსეთი ნაკლებად მნიშვნელოვანია. საქართველოსთვის რუსეთი კარის მეზობელია და, ალბათ, ძნელი დასაჯერებელია,

რომ დღეს დასავლეთში რუსეთზე გაცილებით უფრო ნაკლებს საუბრობენ, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მსოფლიო დინამიკურია და სწრაფად იცვლება, არსებობს კონსესუსი, რომ რუსეთის გავლენა და ძლიერება მომდევნო ათწლეულების მანძილზე საგრძნობლად შემცირდება. დღესდღეობით, მისი ძლიერება მთლიანად დამყარებულია ფიქალის გაზის მოპოვებაზე. გაზის პროდუქციის ზრდას რუსეთში ცუდი მომავალი აქვს. ბუნებრივი აირის და სხვა არაკონვენციური გაზის მოპოვების შედეგად რუსეთის გავლენა ევროპაზე უკვე შემცირდა და მომავალშიც ასე გაგრძელდება. ყველა გრძელვადიანი პროგნოზი აჩვენებს, რომ წარმოებისა და მოპოვების ექსპერტიზის მქონე საერთაშორისო კომპანიებისთვის ხელის შეშლისა და კორუფციის გამო რუსეთში ბუნებრივი აირის პროდუქცია დაეცემა. ნაციონალიზმის შედეგად რუსეთში იმიგრაცია ნაკლებია, და რუსეთის განათლებული საშუალო ფენაც მაშინვე ემიგრაციაში მიდის, როგორც კი საშუალება მიეცემა. რუსეთს აქვს მსოფლიოში ყველაზე დაბალი შობადობის მაჩვენებელი. პაკისტანს, ბანგლადეშს და ნიგერიას დღეს უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს, მაშინ, როდესაც რუსეთი ძლივს ახერხებს ციმბირის დასახლებების სუბსიდირებას.

თუ ამ ყველაფრის დამადასტურებელი საბუთი გინდათ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების მოლაპარაკებებს დააკვირდით. წარმოუდგენელია, რომ მსოფლიოს იმდენად ნაკლებად აღელვებს რუსეთის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება, რომ მთელ გადაწყვეტილების უფლებას საქართველოს უტოვებს. წარმოუდგენელია, მაგრამ ასეა.

საქართველოში ბევრი სიამოვნებას მიიღებს იმ ბნელი მომავლის წარმოდგენით, რაც რუსეთს ელოდება. მაგრამ რას ნიშნავს ეს ყველაფერი საქართველოსთვის? პირველ რიგში, ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო, როგორც რუსეთის საპირწონე, დაკარგავს მნიშვნელობას. საქართველოს დღეს აქვს არასწორი პოზიციონირება. ნარატივი, რომ საქართველო არის პატარა მამაცი დავითი, რომელიც გოლიათ რუსეთს უპირისპირდება, ნაკლებად მიმზიდველი გახდება მაშინ, როდესაც შეთანხმდებიან, რომ გოლიათი არც ისეთი ძლიერი და მნიშვნელოვანია, როგორადაც თავი მოაქვს.

კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ არის კრემლის სიცუდის ასე ხშირად ხაზგასმა არასასურველი – მავანი იფიქრებს, რომ ეს გამიზნულად კეთდება. თუ ადამიანი გამუდმებით და ხმამაღლა გამოთქვამს პრეტენზიებს თავის მეზობელზე (რომელიც სამეზობლოში არავის მოსწონს), ხალხი იფიქრებს, რომ მას სურს რამენაირად გამოასწოროს მეზობლის პრობლემა. თუ ასე არ არის, მაშინ რატომ ხარჯავს ამდენ დროს მეზობლის გასაკრიტიკებლად? და ყველას აღელვებს ის, რომ საქართველომ რამე არ მოიმოქმედოს ახლანდელი სიტუაციის შესაცვლელად. თუმცა ყველა თანხმდება, რომ ეს სიტუაცია არის სერიოზული და უსამართლო.

გამუდმებით იმაზე საუბარი, თუ როგორი ცუდია რუსეთი (რაც მთელმა მსოფლიომ ისედაც იცის), ნიშნავს სხვა საკითხებზე ნაკლები ყურადღების მიპყრობას. ახლა სახელმწიფოების მეთაურები, საგარეო საქმეთა მინისტრები და მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებით დაინტერესებული ადამიანები საუბრობენ იმაზე, თუ რა ხდება ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. ეს თემები ქართულ მედიაში იშვიათად განიხილება და ისიც მხოლოდ ფაქტობრივი მასალების მოწოდებით და არანაირი ანალიზით. ამავე დროს, რუსეთის შესახებ ანალიზი გამუდმებით იწერება. მაგალითად, უბრალოდ, აცხადებენ შემდეგნაირად: „ალეპოში მიტინგები გაიმართა...“ და ა.შ. მაგრამ რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის? რადგან „რუსთავი 2“ და „იმედი“ ამას არ ამბობენ, მე ვიტყვი. ეს ნიშნავს იმას, რომ ახლა დემოკრატია უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ადრე. მდიდარი ქვეყნები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ამ ნაწილში დემოკრატიის განვითარებაზე დიდი ხნის მანძილზე არ ფიქრობდა, ახლა კი შეშფოთებულია თავისი ძველი დამოკიდებულებით. ამჟამად ცდილობს გაიაზროს, რომ ხალხის აზრი მთავრობაზე ძალიან მნიშვნელოვანია.

ასე რომ, კიდევ ერთხელ როდესაც გვეტყვიან, თუ რა ცუდია რუსეთი, გაგვიხარდეს, რომ ამის შესახებ უკვე ყველამ იცის. და დავიწყოთ სხვა ისეთ თემებზე დისკუსია, რომელიც მსოფლიოს აწუხებს და ჩვენ ყურადღების მიღმა გვრჩება. ასეთი თემები უამრავია და მათი განხილვა უფრო სასარგებლოა, ვიდრე ძველი, კარგად ნაცნობი თემის.

საქართველოში ბევრი სიამოვნებას მიიღებს იმ ბნელი მომავლის წარმოდგენით, რაც რუსეთს ელოდება. მაგრამ რას ნიშნავს ეს ყველაფერი საქართველოსთვის? პირველ რიგში, ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო, როგორც რუსეთის საპირწონე, დაკარგავს მნიშვნელობას.

ფალოცენტრიზმის დასასრული

პედრო ალმოდოვარის ახალი ფილმის შესახებ

გიორგი გვახარია, „რადიო თავისუფლება“, სპეციალურად „ლიბერალისთვის“



პედრო ალმოდოვარის ახალ ფილმს საფრანგეთში ორი წელია, ელოდნენ. ყველაზე მეტად სწორედ საფრანგეთში, რადგან ორი წლის წინ, კანის კინოფესტივალზე თანამედროვე კინოს ნომერმა პირველმა პოსტმოდერნისტმა გამოაცხადა, რომ იწყებს მუშაობას სცენარზე პოპულარული ფრანგი მწერლის, ტიერი ჟონკეს მოთხრობის მიხედვით. ჟონკეს „ლიტერატურული ტრილერები“ კი უაღრესად პოპულარულია საფრანგეთში და ათასნაირი ვარიაციის საშუალებას იძლევა. ახალ ფილმს ალმოდოვარმა დაარქვა „კანი, რომელშიც ვცხოვრობ“, ხელახლა დაუბრუნდა ანტონიო ბანდერასს, რომელიც სურათში შვილმკვდარი ქირურგის როლს ასრულებს. მისი ქალიშვილი, ნორმა გააუპატიურეს, რის შემდეგაც გოგონას მამაკაცები შესძულდა, მოგვიანებით კი თავი მოიკლა. ბანდერასის გმირი შურისძიებას გადაწყვეტს – მოძებნის მოძალადეს, მოიტაცებს და პლასტიკურ ოპერაციას გაუკეთებს – უფრო სწორად... ქალად გადააქცევს... ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ კი შეუყვარდება თავისი მსხვერპლი.

დანარჩენს აღარ მოვყვები. ჟონკეს მოთხრობა წაკითხული მქონდა და სიუჟეტის ცოდნამ პირადად მე ისეთი ინტერესით აღარ მაყურებინა ალმოდოვარის ახალი ფილმი, როგორც საერთოდ, ვუყურებ ხოლმე მის ფილმებს. მათ შორის, მის ყველაზე სუსტ ფილმებს. აქვე უნდა ვაღიაროო, რომ „კანი, რომელშიც ვცხოვრობ“ ემოციებისგან თითქმის დაცლილია. ყოველ შემთხვევაში, პერსონაჟების მიმართ თანაგრძნობა არ გიჩნდება (როგორც მაგალითად, მის საუკეთესო ფილმებში „ესაუბრე მას“ და „ყველაფერი დედაჩემის შესახებ“). ამ თვალსაზრისით, ალმოდოვარი თითქოს თავის ახალგაზრდობას უბრუნდება, ან სურს, რომ დაუბრუნდეს. ფილმში ჩნდება „მატადორის“ და „კიკას“ პირდაპირი ციტატები, იმ ფილმებისა, რომელშიც ალმოდოვარი უკეთესად ყვებოდა ამბავს, ვიდრე გმირებს ახასიათებდა, ატმოსფეროს უფრო ქმნიდა, ვიდრე გმირების პორტრეტებს.

60 წლის კაცი ახალგაზრდობაში დაბრუნებას რომ მოინდომებს, მთლად ნორმალური არაა, ცხადია. მაგრამ ვინა თქვა, რომ პედრო ალმოდოვარი ისაა, რასაც ჩვენ „ნორმალურს“ ვეძახით?

კანის წლევანდელ კინოფესტივალზე ძალადობის წინააღმდეგ მიმართული არაერთი ფილმი ვიხილეთ – ძალადობა ბავშვებში, უფროსების ძალადობა ბავშვების მიმართ, ძალადობის ვნება ახალგაზრდებში, ძალადობა ოჯახში, „კოსმიური ძალადობაც“ კი ვნახეთ ლარს ფონ ტრიერის ფილმში, სადაც პლანეტა სახელად „მელანქოლია“ ეჯახება დედამიწას და სამყაროს არსებობაც სრულდება. მაგრამ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში არავინ ყოფილა ისეთი რადიკალური, როგორც პედრო ალმოდოვარი! ხუმრობა ხომ არაა, ძალადობის მთავარ ინსტრუმენტად მან, არც მეტი, არც ნაკლები, მამაკაცის ფალოსი გამოაცხადა!

ალმოდოვარს ადრეც ბევრი უხუმრია ფალოცენტრიზმზე. ჩემს ყველაზე საყვარელ ფილმში „მთრთოლვარე სხეული“ მან ინვალიდის სკამში ჩასვა ხავიერ ბარდემის მაჩო-პოლიციელი და ასე იძია შური ყველაზე, ვინც ძალის კულტს ქადაგებს. მაგრამ არასდროს, თავის არცერთ სხვა სურათში არ ყოფილა იგი ასეთი სასტიკი მამაკაცთა სქესის მიმართ. უფრო მეტიც, საერთოდ, სქესობრივი აქტის მიმართ; ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ფილმში „კანი,

კადრი ფილმიდან „კანი, რომელშიც ვცხოვრობ“

ფილმში „კანი, რომელშიც ვცხოვრობ“ ალმოდოვარი უკვე თავად სექსუალურ აქტს აცხადებს ძალადობის „კლასიკურ გამოვლინებად“ და ამტკიცებს, რომ სწორედ სექსი გამოხატავს ერთი ადამიანის „დომინაციას“ მეორეზე, სადიზმის, დამცირების ვნებას.

რომელშიც ვცხოვრობ“ ალმოდოვარი უკვე თავად სექსუალურ აქტს აცხადებს ძალადობის „კლასიკურ გამოვლინებად“ და ამტკიცებს, რომ სწორედ სექსი, იმ გაგებით, რომელიც დაამკვიდრა ფალოცენტრულმა კულტურამ, გამოხატავს ერთი ადამიანის „დომინაციას“ მეორეზე, სადიზმის, დამცირების ვნებას. ლიტერტურული პირველწყაროსგან განსხვავებით, გაუპატიურების სცენაში ნორმა (ალმოდოვართან სახელი არასდროს არაა შემთხვევითი) თავიდან თანხმდება გაუზიაროს ვნება მოძალადეს, მოსწონს კიდეც ალერსი... მაგრამ როგორც კი შეხება გადაიქცევა „შეჭრად“, როდესაც ორი ადამიანის ურთიერთობა სცილდება „კანის საზღვრებს“, როგორც კი ნორმა ტკივილს იგრძნობს, იგი წინააღმდეგობის გაწევას იწყებს, მაგრამ მარცხდება – ახალგაზრდა ქალი უძლურია დაამარცხოს მამაკაცური ძალა და აგრესია. ფალოცენტრიზმის დამარცხება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ქალად გადაქცეული მოძალადე თავის თავში „გააერთიანებს“ ორ სქესს, წარმოგვიდგება, როგორც „მესამე სქესი“ – ოდესღაც შიდსის მსხვერპლი ალმოდოვარის ფილმში „ყველაფერი დედაჩემის შესახებ“. ახლა კი მკვდრეთით აღდგენილი და გამარჯვებული.

პოსტმოდერნისტული „სალათების“ მოყვარულთათვის ალმოდოვარის ახალი ფილმის ნახვა ერთი სიამოვნებაა; მოქმედება ტოლედოში ხდება და წამსვე ჩნდება ასოციაციები ამ ქალაქის „შავ ისტორიასთან“, მერე კი რა აღარ ახსენდება მაყურებელს – პიგმალიონის მითი, დოქტორი ფრანკენშტეინი, კანის სიმბოლიკა ფროიდთან, ლაკანთან, „მესამე სქესის“ და კემპის კონცეფცია! ბანდერასის სახლი, ტიციანის და რუბენსის „ვენერებით“ კედელზე და უზარმაზარი ეკრანებით, რომელზეც მსხვერპლის „მთრთოლვარე სხეული“ ჩნდება ერთგვარი პოსტმოდერნისტული ბაროკოა, შიშველი მანიერიზმი, დაცლილი გრძნობისგან და ფსიქოლოგიზმისგან. მთავარი მხოლოდ და მხოლოდ კასტრაციის რიტუალია, რომელსაც პედრო ალმოდოვარი მთელ თავის ფანტაზიას, ნიჭს და ცხოვრებისეულ გამოცდილებას სწირავს.

„ალმოდოვარი დაბერდა!“ – ამას რომ მეუბნებიან, სულ მინდა ხოლმე ვუპასუხო, „თქვენც დაბერდებით“. თანაც, თუკი წლევანდელ კანის კინოფესტივალზე კლასიკოსებმა, ტერენს მალიკმა და ლარს ფონ ტრიერმა „კოსმოსური ფილმები“ წარმოგვიდგინეს სამყაროს შექმნაზე და დასასრულზე, რატომ არ არის ვითომ აპოკალიფსი თუნდაც ქალწულობის დაკარგვა? ვითომ რატომ არ ჰგავს ეს აქტი ორი პლანეტის შეჯახებას? და თუ აქამდე ვფიქრობდით, რომ ამ აქტით სიცოცხლეს ეყრება საფუძველი, იქნებ ყველაფერი პირიქითაა? იქნებ ამ აქტით მთავრდება ის, რასაც სიცოცხლეს და თავისუფლებას ვუწოდებთ?

დაღოსეთ ჰოლეტაჰი მგლები და ნითელქუდა ფემინისტები!

დავით ბუხრიკიძე, ბერლინი

იქნებ ლოგიკურია, რომ ბერლინის ცნობილი კინოფესტივალის მსგავსად, არანაკლებ პოპულარული „თეატრალური შეხვედრები“ (გერმანულად „ტეატერტრეფენ“) საგანგებოდ ინარჩუნებს და „უფრთხილდება“ რევოლუციურ-მემარცხენე სივრცეს. გარდა სოციალური ან თეატრალური თამაშის ფორმისა, ეს გარკვეული ეგზისტენციური მდგომარეობაცაა; ერთგვარი ნიშანი, რომელიც გარეშე დამკვირვებლისათვის გერმანიის კულტურულ და სოციალურ იმიჯს წარმოაჩენს.

არც ისაა შემთხვევითი, რომ ფესტივალი (რომელიც დღემდე ყველაზე მნიშვნელოვან თეატრალურ ფორუმად რჩება გერმანიაში) ორად გაყოფილ ბერლინში 1963 წელს, დიდი რეჟისორის, რევოლუციონერისა და სცენის რეფორმატორის, ერვინ პისკატორის ძალისხმევით დაარსდა. თუმცა არც 60-70-იანი წლების ცნობილ პოლიტიკოსს, ვილი ბრანდტს დავუკარგავთ დამსახურებას, რომელსაც დასავლეთ გერმანიის კანლერობამდე ცოტაღა რჩებოდა...

სცენა სპექტაკლიდან „კომივოიაჟორის სიკვდილი“

გერმანული თეატრის მუდმივი სწრაფვა სიახლისკენ (დრამატურგია, სცენოგრაფია, რეჟისურა) მართლაც რომ თვალსაჩინოა. ეს წლევანდელმა, რიგით 47-ე ფესტივალმაც დაადასტურა. ხმაურიანი ჩანდა უკვე დასაწყისი: ავსტრიელი ნობელიანტი მწერლის, ელფრიდე იელინეკის პატარა პიესებისგან შემდგარი ტრილოგია „ნაწარმოები“ /„ავტობუსში“/„დაცემა“, კიოლნის „შაუშპილჰაუზმა“ ისეთი მონდომებით წარმოადგინა, რომ კატასტროფათა ჟამთააღმწერლის მონათხრობი გეგონებოდათ. ქალბატონ იელინეკის პიესა სწორედ რეალურ ფაქტებს ეყრდნობა.

„ნაწარმოები“ ალპებში მომხდარ კატასტროფას აღწერს, როცა სამძებრო სამუშაოებისას წყალმა გვირაბშიც გაჟონა და იქ მყოფი ადამიანები გარემოსგან მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ. მეორე ნაწილი „ავტობუსში“, 1994 წელს მიუნჰენში მომხდარ უბედურ შემთხვევას აღწერს, როდესაც მეტროს ახალი სადგურის გაყვანისას მიწა ჩაინგრა და ავტობუსი მგზავრებიანად თან ჩაიტანა. ნოველა „დაცემა“ კი ქალაქ კიოლნში 2003 წელს, არქივის ჩამონგრევის ფაქტს განზოგადებულ და აპოკალიფსურ მნიშვნელობას ანიჭებს.

სხვათა შორის, სპეტაკლის რეჟისორიც ქალია – გერმანიაში საკმაოდ პოპულარული კარინ ბაიერი. ეს თავად იელინეკის მოთხოვნა იყო, რომელიც საჯაროდ არასდროს ჩნდება და შესაბამისად, რეჟისორსაც და მხატვარსაც მხოლოდ ელექტრონული ფოსტით უკავშირდებოდა...

მეორე ნაწილში თეთრპერანგიანი მამაკაცების გუნდი ანტიკურ ქოროს ემსგავსება, ხოლო სპექტაკლის მთავარი პერსონაჟები – რეკვიემის სოლისტებს. ამ ყველაფერს კი დარბაზში მდგომი დირიჟორი ხელმძღვანელობს. ძალიან ეფექტურია თითქმის 30-წუთიანი პოლიფონიური ყვირილის მოსმენა და მისი ტექსტში „გადაყვანა“, რაც სცენაზე არასდროს მომისმენია და მინახავს.

მესამე ნოველაში ჩამონგრეულ არქივს წყალი ავსებს და დასველებული ურიცხვი ფურცლები და წიგნები მართლაც აპოკალიფსს ჰგავს. რეჟისორი (და ცხადია, დრამატურგიც) პუბლიკას თითქოს საგანგაშო და

უპასუხო, უფრო „დოკუმენტური დრამის“ სივრცეში ამყოფებს, საიდანაც თავდახსნა შეუძლებელია...

კიდევ ერთი მეამბოხე ქალბატონი, ვინც მშვიდ, მუსიკალურ და მითიურ ვენას საბურველი ჩამოხსნა, ასევე ავსტრიელი დრამატურგი კატრინ როგლაა. მისი პიესა „თანამონაწილენი“ წითელქუდას ზღაპარს ახალ, სასტიკ და ირონიულ განზომილებას სძენს. შტეფან ბახმანის სპექტაკლში, რომელიც ვენის „ბურგთეატრმა“ წარმოადგინა, ვიდეოინსტალაცია, მსხვილი პლანები, ვრცელი მონოლოგები, კინგ-კონგის სიუჟეტი და „მუსიკის ჰანგების“ ფრაგმენტები ერთმანეთს უწესრიგოდ ენაცვლება. არსებითი კი ისა, რომ პატარა და პროვინციელი გოგონა „წითელქუდა“, რომელიც სასტიკ, ცინიკურ და კულტურულ ვენაში ყველამ მოატყუა, შურისმაძიებლად იქცევა... და ფინალში, ყველას, ვინც შეურაცხყო მისი ღირსება, სამურაის ხმლით უსწორდება. საკმაოდ კარგი არტისტული „ინგრედიენტებით“ მომზადებული, ფემინისტური სპექტაკლი სამშვიდობო მონოდებით სრულდება – „ღმერთო, დალოცე პროლეტარი მგლებიც და შურისმაძიებელი წითელქუდებიც!“

ამგვარ ფონზე ვერ ვიტყოდით, რომ კლასიკოსები დაიჩაგრნენ. იბსენი, ჩეხოვი, შილერი და არტურ მილერი ისეთი რანგის დრამატურგები არიან, რომ მათთან გაპაექრება ყველა რეჟისორისათვის საპატიოა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჰენრიკ იბსენის ცნობილი დრამის, „ნორა, ანუ თოჯინების სახლი“ ინტერპრეტაციამ. ჰერბეტ ფრიტჩის რეჟისურა და სცენოგრაფია არა იმდენად კლასიკური ფემინისტური ტექსტის ახლებური ვერსიაა (დიდი ხანია დამკვიდრებულია აზრი, რომ იბსენმა ეს პიესა სწორედ ქალთა უფლებების დაცვას მიუძღვნა), რამდენადაც ამ კლიშესგან თავის დაღწევის სურვილი.

ალფრედ ჰიჩკოკის ფილმების ციტირება (როცა, მაგალითად, ფრაუ კრისტინა პირდაპირ იმეორებს „რებეკაში“ შაოსანი „საბედისწერო ქალის“ ხმასა და მანერებს), გოთიკური კოსტიუმები, საოცარი გრიმი, პლუს დრამატულ-პაროდიული მუსიკა, საოცარ განწყობას ქმნის. არტურ მილერის, ალბათ, ყველაზე ცნობილი პიესა „კომივოიაჟერის სიკვდილი“, რომელმაც დასტინ ჰოფმანს თავის დროზე დიდი აღიარება მოუტანა, რეჟისორმა შტეფან პუხერმა 50-იანი წლების გიგანტურ ავტოგასამართ სადგურზე გადაიტანა. სპექტაკლი, ფაქტობრივად, ამერიკული კინოს ინსპირაციაა, რომელშიც ყველაზე მნიშვნელოვანი სცენები და მონოლოგები „ლაივ-ვიდეოს“ დახმარებით ეკრანზე აღიბეჭდება.

სცენა სპექტაკლიდან „ალუბლის ბაღი“

ბერლინის ცნობილი ფესტივალი „ტეატერტრეფენ“ კლასიკას ანაყოფიერებს, მაგრამ ისევ აქტუალური, სოციალური და პოლიტიკური სპექტაკლების არენად რჩება.

დრეზდენის თეატრის მიერ წარმოდგენილი შილერის „დონ კარლოსი“ თანამედროვე დრამატულ შარჟს უფრო ჰგავს პოლიტიკოსებზე. ჩვენთვის აღსანიშნავი ისაა, რომ ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ის როლს ბურგჰარტ კლაუსნერი ასრულებს, რომელიც ჩვენს კინომანებს, ალბათ, ახსოვთ დიტო ცინცაძის ფილმიდან „კაცი საელჩოდან“. სხვათა შორის, ბატონი კლაუსნერი ფილმის პრემიერას თბილისშიც ესწრებოდა. გასულ წელს კი ის ცნობილმა ავსტრიელმა რეჟისორმა მიხაელ ჰანეკემ გადაიღო ფილმში „თეთრი ბაბთა“.

ჩეხოვის „ალუბლის ბაღმა“, რომელიც ასევე ქალმა-რეჟისორმა კარინ ჰენკელმა კიოლნის თეატრში დადგა, ერთგვარად შეაჯამა, ან შეაჯვარა თანამედროვე კაპიტალიზმისა და ფემინიზმის თემა – ცნობილ სცენაში, როცა ალუბლის ბაღი ლოპახინმა იყიდა, ძველი კარუსელი (ერთადერთი სცენოგრაფიული ნიშანი შავი მიწით მოყრილ სცენაზე) სადღაც ზემოთ უჩინარდება; ლოპახინი იღლიაში „ამოიჩრის“ ოდესღაც ამაყ, მაგრამ უკვე განადგურებულ რანევსკაიას (შესანიშნავი მსახიობი ლენა შვარცი) და ამბობს: „არა უშავს, ყველაფერს ვიყიდი“.

თუმცა წითელქუდები რომ არ „იყიდებიან“ და მოგვიანებით შურისმაძიებლები ხდებიან, ახალმა მემამულემ ჯერ არ იცის. არც იმას აცნობიერებს, რომ ისინი სიმართლის სახელით მოქმედ ტერორისტებად იქცევიან.

ვაშლიდან გინესამდე

კომპანია Apple-ის ორი ნაწარმი – iPhone 4 და დამატებების მაღაზია App Store გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. 2010 წელს, მაღაზიებში გამოჩენის პირველივე დღეს Apple-მა 1,5 მილიონი სმარტფონი გაყიდა და ამ მა-

ჩვენებლით iPhone 4 პორტატული საათამაშო მოწყობილობების ისტორიაში ყველაზე სწრაფად გაყიდვადი სმარტფონი გახდა. შედარებისთვის, 2005 წელს, ბაზარზე გამოსვლის დღეს, 200 000 ცალი Sony PlayStation Portable გაიყიდა.

Apple-ის დამატებების მაღაზია – App Store – ყველაზე პოპულარულ სერვისად დასახელდა. მაღაზიის გახსნიდან ამ წუთამდე დაახლოებით 6,5 მილიარდი დამატებაა ჩამოტვირთული, მათ შორის 37 362 თამაში.

„iPhone-ის გამოჩენამ სრულიად შეცვალა როგორც მობილური, ისე სათამაშო ინდუსტრია. App Store-ის უსაზღვრო ასორტიმენტთან ერთად კი მომხმარებლებს გართობა უკვე ნებისმიერ ადგილას შეუძლიათ“, – ამბობს გინესის წარმომადგენელი გას დივსი.

Samsung-მა 3D სათვალის ახალი მოდელები წარადგინა

Samsung Electronics მომხმარებლებს 3D სათვალის 3 ახალ მოდელს სთავაზობს. მოდელი SSG-3100 ელემენტებზე მუშაობს, SSG-3300 კი – აკუმულატორზე. რაც შეეხება SSG-3700-ს, ის ყველაზე ელეგანტურ მოდელად ითვლება და Samsung-თან ერთად მის დიზაინზე სათვალეების ცნობილი მწარმოებელი კომპანია Silhouette მუშაობდა.

ახალი მოდელების მთავარი უპირატესობა Bluetooth-ის ტექნოლოგიის მხარდაჭერაა, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ხარისხიან სამგანზომილებიან გამოსახულებას ტელევიზორის პირისპირ ჯდომის გარეშეც უყუროს. ერთ ტელევიზორთან 10-მდე ასეთი სათვალის მიერთებაა შესაძლებელი. Samsung-ის 3D სათვალეები 28 გრამს იწონის, თუმცა ამბობენ, რომ მოდელები საკმაოდ მყარია და 40 საათიან უწყვეტ გამოყენებაზეა გათვლილი.

iPhone 4S

iPhone-ის მომდევნო თაობას, რომელსაც Apple, სავარაუდოდ, უახლოეს თვეებში დააანონსებს, არა iPhone 5, არამედ iPhone 4S ერქმევა. გავრცელებული ინფორმაციით, მოწყობილობა iPhone 4-ისგან დიზაინით დიდად განსხვავებული არ იქნება. iPhone 4S-ის ტექნიკურ მახასიათებლებს შორის გაუმჯობესებული კამერა, ორბირთვიანი პროცესორი A5 და HSPA+ მობილური ქსელების მხარდაჭერა სახელდება.

ახალი iPhone-ის წარმოება ივლისში დაიწყება, ბაზარზე გამოსვლის თარიღად კი სექტემბერს ვარაუდობენ.

ახალი ტელეფონი Google-ისგან

2012 წლის დადგომის აღნიშნვას Google სმარტფონ Nexus-ის ახალი მოდელის გამოშვებით გეგმავს. ამის შესახებ კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა ენდი რუბინმა განაცხადა. ტელეფონის ტექნიკური მახასიათებლები არ სახელდება, თუმცა ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მოწყობილობა გაყიდვაში Android-ის ახალ ვერსიასთან ერთად გამოვა.

სმარტფონი Google-ის მესამე საფირმო მოწყობილობა იქნება. პირველი ტელეფონი კომპანიამ გასული წლის იანვარში გამოუშვა, მეორე კი – დეკემბერში.

პირველი Wi-Fi მაუსი

HP-მ კომპიუტერული აქსესუარების ახალი ხაზი წარადგინა. მოწყობილობებს შორის არის მაუსიც, რომელსაც Wi-Fi მოდულის მხარდაჭერა აქვს. კომპიუტერთან მიერთებისთვის მას სპეციალური USB-ადაპტერი არ

სჭირდება, დამუხტვის გარეშე კი დაახლოებით 9 თვე მუშაობს. ისევე, როგორც Bluetooth მოწყობილობები, Wi-Fi მაუსიც მონიტორიდან 9 მეტრის დაშორებით მუშაობს. მოწყობილობას 5 ღილაკი აქვს და მათი ფუნქციების შერჩევა მომხმარებელს საკუთარი სურვილით შეუძლია.

Wi-Fi მაუსის გაყიდვა ამერიკაში ივნისში დაიწყება და დაახლოებით 50 დოლარი ეღირება.

Amazon-ის პლანშეტი

Amazon-მა საკუთარი წარმოების პლანშეტური კომპიუტერის შექმნისთვის Samsung-თან კონტრაქტი უკვე გააფორმა.

Amazon-ის გენერალური დირექტორი ჯეფ ბეზოსი თვლის, რომ ამაზონ ტაბლეტ მრავალფუნქციურობის წყალობით iPad-ს რეალურ კონკურენციას გაუწევს. როგორც ცნობილია, Amazon-ის 9,7 დიუმიანი პლანშეტი Google Android-ის ბაზაზე იქნება აწყობილი და 400 დოლარად გაიყიდება.

Apple I „გაცოცხლდა“

ტურინის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში უცნაური პრეზენტაცია გაიმართა – სადემონსტრაციო დარბაზში 35 წლის წინანდელი კომპიუტერი Apple I ჩართეს. ასაკის მიუხედავად, კომპიუტერმა დავალებებს მშვენივრად გაართვა თავი – ექსპერიმენტის ინიციატორებმა მასში BASIC-ის ენაზე სპეციალური პროგრამა გაუშვეს და უნივერსიტეტს მიესალმნენ:

„Hello Polito“, დაიწერა ეკრანზე.

Apple I-ს კომპანია Apple-ის დამფუძნებლები სტივ ჯობსი და სტივ ვოზნიაკი 1976-1977 წლებში აწყობდნენ და ელექტრონიკის ადგილობრივ მაღაზიაში 500 დოლარად აბარებდნენ. კომპიუტერი სულ 200 ეგზემპლარად გამოვიდა, რომელთა უმეტესობამაც დღემდე ვერ მოაღწია: კომპონენტების სიმცირის გამო ჯობსი და ვოზნიაკი მომხმარებლებს Apple I-ის დაბრუნებას სთხოვდნენ და სანაცვლოდ Apple II-ზე ფასდაკლებას სთავაზობდნენ.

ბოლო Apple I 2010 წლის ნოემბერში Christie's-ის აუქციონზე იტალიელმა ბიზნესმენმა მარკო ბოლონემ იყიდა. მან 35 წლის კომპიუტერში რეკორდული თანხა – 133 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა და შედეგად Apple I აუქციონზე გაყიდულ კომპიუტერებს შორის ყველაზე ძვირადღირებული გახდა.

iPod Nano ისევ კამერით

ინტერნეტში Apple iPod nano-ს მეშვიდე თაობის ფოტოები გავრცელდა. „ჯაშუშურ“ ფოტოებზე კარგად ჩანს, რომ მოწყობილობის ახალ ვერსიას ფოტოკამერა ემატება, რომლის დახმარებითაც მომხმარებლები1,3 მეგაპიქსელიანი ფოტოების გადაღებას შეძლებენ. თავად ნანოპლეერი კი მოწყობილობის მეექვსე თაობის ფორმასა და ზომებს შეინარჩუნებს.

„+1“

ფუნქცია „+1“ Facebook-ის Like-ის ანალოგიურია და მას რამდენიმე ზომაც აქვს. არის პატარა, საშუალო, სტანდარტული და დიდი +1-ები. ეს ფუნქცია კომპანია Google-ის გამოგონებაა და ის სულ მალე ბევრ საიტზე გაჩნდება. ვებგვერდის ადმინისტრატორს თავად შეუძლია გადაწყვიტოს გამოიტანოს თუ არა ვებგვერდზე ღილაკზე დაჭერის მრიცხველი. ამჟამად სერვისი სატესტო რეჟიმში მუშაობს. „+1“ მთელი მსოფლიოს მასშტაბით რამდენიმე დღეში ამოქმედდება.

ფუნქცია „+1“Google-ს მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ძიების შედეგები Google Mail-ისა და Google Talk-ის კონტაქტებს გაუზიარონ. ყველა ბმული, რომელსაც მომხმარებელი „+1“-ით აღნიშნავს, მის პროფილში ცალკე გვერდზე აისახება. პერსპექტივაში ინტერნეტ-გიგანტი სისტემის ინტეგრირებას Twitter-ის და სხვა პოპულარული სოციალური სერვისების მონაცემთა ბაზებთანაც გეგმავს.

მოამზადა ნინო ნატროშვილმა.

ჰობოჰი ამინდი იქნება ხვალ?

გიო ახვლედიანი

ამ კვირის მთავარი ამბავი ყველას მოეხსენება.

ამ კვირის კი არა, მთელი სეზონისა.

შაბათს უემბლიზე „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ბარსელონა“ ჩემპიონთა თასს გაითამაშებენ.

ჭეშმარიტად დიდი ამბავია!

თვით უემბლის ბალახის პრობლემურობაც კი, როგორღაც, მეორე პლანზე გადავიდა.

ნუუუუ, „ბარსელონა“ გასაგებია. თანაც, მგონი საქართველო კატალონიას მიუერთდა ამ გუნდის სიყვარულის საკითხში. ლამაზი, ლამაზი, ულამაზესი. ჩემპიონთა თასის ბოლო ხუთ წელიწადში ორჯერ მომგები, მსოფლიოს ჩემპიონები, ევროპის ჩემპიონები და ზემოდან – ლეო მესი. მიდი და ეთამაშე!

ნუუუუუუუუუუ, „მანჩესტერიც“ გასაგებია. წელს ისეთი მოხდენილი ვერა, მაგრამ სრულიად მარადიული, გამოცდილებით სავსე და ალექს ფერგიუსონი, რომელიც გვაოცებს და გვაოცებს.

ორი წლის წინ, „ბარსელონამ“ „მანჩესტერს“ მოუგო ჩემპიონთა თასის ფინალი და თან – პირწმინდად. როგორც იტყვიან, ბურთი არ დაანახა. გიგზმა თქვა, არ დაგვანახესო და რომც არ ეთქვა, ყველამ დავინახეთ.

თავის მხრივ, ორივე გუნდს მოგებული აქვს ჩემპიონთა თასი სწორედ უემბლის სტადიონზე. ძველ უემბლიზე, რა თქმა უნდა. „მანჩესტერს“ მატ ბასბის დროს, 1968 წელს, და „ბარსელონას“ იოჰან კრუიფის ხელში, 1992 წელს.

სტადიონი იღბლიანი ჩანს ორივესთვის.

თავისებურება ამ ფინალისა კი ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით არავინ ამბობს, თუ რა ხერხებით და როგორ უნდა მოუგოს „ბარსელონამ“ „მანჩესტერს“, ყველა იმას მარჩიელობს, როგორ შეიძლება მოუგოს „მანჩესტერმა“ „ბარსელონას“.

ეს საინტერესოა.

ცნობილია, როგორ იგებს „ბარსელონა“: ხშირად ლაღად, ხანდახან კი, მაინც იგებს.

ისიც ცნობილია, როგორ იგებს ხოლმე „მანჩესტერი“, ხანდახან ლაღად, ხშირად კი მაინც იგებს.

ისიც ცხადია, რომ ფერგიუსონს ის წინა ფინალი მწარედ ახსოვს.

და არის რამე, რაც ფერგის მწარედ ახსოვს და პასუხი ვერ გაუცია?

არის ერთი რამე, ოღონდ ის ფეხბურთს არ ეხება, არამედ ცხენს, რომელსაც „გიბრალტარის კლდე“ ერქვა. ოღონდ ეგ ამ ჩვენს ამბავს არ ეხება.

რამდენად ემგვანება ახლანდელი ფინალი ორი წლის წინანდელს, მართლა ძნელი სათქმელია. ეგ იმდენად „ბარსელონაზე“ არ არის დამოკიდებული, რამდენადაც „მანჩესტერზე“.

ჰოდა, ყველაფერი იმაზეა, რა გამოუვა „მანჩესტერს“.

აი, მაურინიო რამდენს ეცადა. ის რთული თამაშები იყო, რელათა. ძალიან რთული „ბარსელონასთვის“. სილამაზე და ულამაზობა რომ გვერდით გადავდოთ, იქ იღბალიც „ბარსას“ მხარეს იყო.

საერთოდ, როგორც ერთმა ძველმა გულშემატკივარმა თქვა, „ბარსელონასთან“ წაგება სირცხვილი არ არის. არ უნდა გეწყინოს, მაგრამ წასაგებად თუ გამოხვედი, აუცილებლად სირცხვილს ჭამ.

ამასწინათ „ინდეპენდენტმა“ მოზრდილი სტატია გამოაქვეყნა: „რამდენიმე მიზეზი იმისა, რომ „მანჩესტერს“ შეუძლია „ბარსელონას“ დამარცხება“.

ამ მიზეზებს შორისაა უეინ რუნის კარგი ფორმა და ის, რომ თამაში მაინც ინგლისში, უემბლიზეა. გარემო მაინც შინაურულია, იმის მიუხედავად, რომ „მანჩესტერი“ ყველაზე საძულველი ინგლისური კლუბია ლონდონში. კიდევ ერთი მიზეზი სწორედ ფერგიუსონი შეიძლება იყოს, რომელსაც ნამდვილად გამოუტანია გაკვეთილი წინა დამარცხებიდან.

„მანჩესტერი“ არ არის დახურული თამაშის ტრფიალი, ღია თამაშში „ბარსელონასთან“ შებმა კი, ალბათ, ძალიან ლამაზია, მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება, ვინ იცის. ჩვეულებრივ, ცოტა ხანს გრძელდება ხოლმე.

ეს დიდი თამაშია.

შაბათი დღეა.

და როგორი ამინდი იქნება ლონდონში?

UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
PRAHA
MASKVA
LENINGRADAS
KIJEVAS
VARŠUVA
OSLO
LAHTI
BERLYNAS
ALMA ATA
TAŠKENTAS
MASKVA
KIŠINIOVAS
JEREVANAS
BUKAREŠTAS
STOKHOLMAS
BELGRADAS
ROSTOVAS
FRUNZE
BRIUSELIS
TBILISI
VIENA
RYGA
BRNO
LVOVAS
ROMA
HILVERSUMAS
MURMANSKAS
SIMFEROPOLIS
HELSINKIS
BRIUSELIS
SOFIJA
ČELIABINSKAS
LONDONAS
VARŠUVA
ATĖNAI
PRAHA
VIGRA
TEHERANAS
MASKVA II
STALINO
IB
VB
TBII
TBI
UTB

სასუხვეი ჩევოლუსიის მოლოდინში

კახა თოლორდავა

დღეს, როდესაც ჩვენ ყველა, და ეს სრულიადაც არაა ირონიულად ნათქვამი, ვცდილობთ, რაც შეიძლება ლამაზად „შევფუთოთ“ და „გავყიდოთ“ (არც ესაა საყვედურით თქმული) ჩვენი ქვეყანა და მისი ქალაქები, დედაქალაქის შეფუთვას და მისი ჩამოსული სტუმრებისათვის სარფიანად შეთავაზებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს არაა ადვილი საქმე, ბევრი მიზეზების გამო, მაგრამ არის ერთი რამ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ყველა ჩვენგანისთვის, კერძოდ კი, – როგორ „შევფუთოთ“ თბილისი, პირველ რიგში, ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს, ისე, რომ მოგვწონდეს და ვამაყობდეთ მისი არსებობით. პირადად მე, სიმართლე გითხრათ, ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ საკუთარი ქვეყნის ან დედაქალაქის „შეფუთვით“ ამაყი თბილისელი უკვე მხოლოდ თავის არსებობით ხდის მიმზიდველს იმ სივრცეს, სადაც ის ცხოვრობს. სამწუხაროდ, ყველა ჩემი საუბარი დიდთან თუ პატარასთან ერთი და იმავე სიტყვებით მთავრდება ხოლმე: ამ ქალაქში არაფერი ხდება! ეს განწყობა ახსნას საჭიროებს, – „ამ ქალაქში არაფერი ხდება!“ არ გულისხმობს იმას, რომ თბილისი მკვდარი ქალაქია; სინამდვილეში თბილისი გამოცოცხლებულია როგორც არასდროს, მაგრამ ინფორმაციით „გაძეძგილი“ ახალგაზრდა თაობისათვის ეს ფრაზა გულისხმობს იმას, რომ კულტურის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ის მაინც ზედმიწევნით მარგინალურად რჩება. მათი აზრით, ქალაქმა მხოლოდ ერთეულებისათვის მოახერხა შემდგომი ზ რ დ ი ს ა თ ვ ი ს აუცილებელი, რეგულარული მისამართების, მარშრუტების თუ ინიციატივების შეთავაზება. თბილისელების უმეტესობას ის ჯერ კიდევ ფრაგმენტულად სთავაზობს დღევანდელობისათვის ადეკვატურ ინიციატივებს თითქმის ნებისმიერ სფეროში და ასეთი ინიციატივების უქონლობა, უნდა ვაღიარო, მართლაც რომ „მოდუნებულ“ მდგომარეობაში ამყოფებს ქალაქს და ყველა ჩვენგანს.

რა თქმა უნდა, აქ სრულიად უსარგებლოა ერთმანეთზე რაღაცების გადაბრალება, ვინაიდან ასეთი ინიციატივების შემომთავაზებლები, სახელმწიფო იქნება ეს თუ კერძო სექტორი, წინანდელზე ბევრად უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურების საკითხებს, მაგრამ ყველაფერი ეს იმდენად მოკლებულია შეთანხმებულ ხედვას და პრიორიტეტებიც იმდენად მიმობნეულია, რომ თბილისის კულტურული ცხოვრება ვერა და ვერ ცდება „ლიმბურ“ მდგომარეობას, მიუხედავად იმისა, თუ როგორი სიჩქარით სქელდება „რა ვაკეთოთ-როგორ გავატაროთ დრო-თბილისში“ ტიპის გამოცემები.

მე თუ მკითხავთ, ამის ერთ-ერთი მიზეზი, ყველაფერთან ერთად, ქველმოქმედების არასწორად გაგებული ცნება, შემოქმედებით და ფინანსურ რ ი ს კ ს მოკლებული მიდგომა და ზოგადი გაუცნობიერებლობაა, ბოლო შემთხვევაში, განსაკუთრებით კერძო სექტორს ვგულისხმობ. არადა, ყველაფერი ეს სწორედ ისაა, რამაც თავის დროზე „ცხვირი ააწევინა“ კულტურულ ცხოვრებას დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში. რა თქმა უნდა, დასავლური ქვეყნებისათვის ეს პროცესი ბევრად უფრო ადრე და განსხვავებულ ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ ფინანსურ კონტექსტში დაიწყო, მაგრამ მას შემდეგ თამაშის წესები თამამი ინიციატორებისათვის დიდად არ შეცვლილა. მაგალითისთვის, თბილისში ახლად გახსნილი ჯაზ-კლუბი „ჯაზ-ანლიმითედ“ ასეთი ქცევის დადებითი თბილისური მაგალითია, ხოლო ის, რომ ქალაქს მხოლოდ ორი კინოთეატრი აქვს და იქაც მხოლოდ ფინანსურად მომგებიან ფილმებს უჩვენებენ – ნეგატიური მაგალითი. დღეს სითამამეს, ენთუზიაზმს და ინტელექტუალური ან თუნდაც ინფორმაციული ძალისხმევის შედეგად გაჩენილი ვალდებულებით ნაკარნახევ ინიციატივებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ და რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ისევე მნიშვნელოვანია, თუნდაც ზოგჯერ წარუმატებელი, ან არცთუ ისე წარმატებული, როგორც ხარისხი. ამ მხრივ, თბილისი მართლაც რომ დიდ, მძლავრ და ყველაზე სასურველ რევოლუციას ელოდება.

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



WWW.LIBERALI.GE